# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 იანვარი **ორშაბათი** 2011

№ 005 (13302) ფასი 60 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამო გლობუსიც დაატრიალა და ქართველებიც მოატრიალა

## ინგლისელი, ახალზელანდიელი, იტალიელ-ბულგარელი და ტატანაშვილი




დიმიტრი ტატანაშვილი



დანიელ ოდონელი



კრის ბრაიტი

2

## ვისი იქნება დღეს ფიესტა?





ინიესტა



მესი



ჩავი



## ნაზი პაიკიძე ამიერიდან საქართველოსთვის

11



## კალაძე: ტურის რჩეულის რჩევანი

## გააქვს და აქვს: დვალიშვილის უკვე სამი გოლი



ლადო დვალიშვილმა გუშინ ორი გოლი გაიტანა

3

ეროვნული ბიბლიოთეკა



● დინამო. სატრანსფერო ციებ-ცხელება

# დიდომში კასტინგი დაიწყო

## ბენიტესზე ნაწყენი ლივერპულელი და ახალზელანდიელი კონფედერატი

თბილისის "დინამომ" გასასინჯად ორი ისეთი ფეხბურთელი მიიწვია, რომლებსაც აქამდე ჩამოყვანილი ბევრი ფეხბურთელისგან განსხვავებით, საკმაოდ მაღალ დონეზე უთამაშია. "ლელო" ორივე მათგანს გაესაუბრა.

### დანიელ ოდონელი: ლივერპულში ახლაც ახსოვთ შოკი: დინამო!

**დანიელ ოდონელი**

დაიბადა 1986 წლის 10 მარტს ლივერპულში
სიმაღლე: 189სმ; პოზიცია: ცენტრალური მცველი



| კარიერა | | |
|---|---|---|
| **წლები** | **გუნდი** | **თამ. გოლი** |
| 2005-2007 | ლივერპული | 7 (0) |
| 2006-2010 | ქრიუ (ინგლისი, II დივ.) | 107 (8) |
| 2010 - | შრიუსბერი (ინგლისი, II დივ.) | 4 (1) |

**დანიელ ოდონელი** 16 წლის იყო, როდესაც "ლივერპულის" სელექციონერებმა ადგილობრივ სამოყვარულო ლიგაში შენიშნეს და 2002 წელს მსოფლიო ფეხბურთის გრანდში კონტრაქტი გაუფორმეს.

დანიელი "ლივერპულის" 18-წლიანთა გუნდს კაპიტნობდა და მის ერთ-ერთ უმთავრეს იმედად ითვლებოდა. 2005 წელს მთავარ გუნდში გადაიყვანეს და იმავე წელს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე წაიყვანეს, სადაც 5-ნომრიანი მაისურა მოირგო. თუმცა შემდეგ დაბალი დივიზიონის "ქრიუში" გაუშვეს. 2006 წელს წინასასეზონო მატჩებში "ქრიუს" წინააღმდეგ იმდენად კარგად ითამაშა, რომ კლუბმა მის ექვსთვიან იჯარაში 300 ათასი გირვანქა გადაიხადა. თუმცა ოდონელს "ლივერპულის" დატოვება არ სურდა.

"შრიუსბერიში" 2010 წელს ჩაირიცხა, კონტრაქტის დასრულების შემდეგ კლუბი დატოვა და საქართველოს მოაშურა.

**- დანიელ, თბილისის "დინამოზე" რაიმე გსმენია?**

- რა თქმა უნდა, წამოსვლამდე ინტერნეტში ბევრი რამ მოვიძიე. დიდი ტრადიციის კლუბია, ისეთის, რომლითაც აღმოსავლეთ ევროპაში ბევრი კლუბი თავს ვერ მოიწონებს. ლივერპულში ახლაც კარგად ახსოვთ და ვერ ივიწყებენ იმ შოკს, როდესაც თბილისის "დინამომ" "ლივერპულს" 3:0 მოუგო. ქართველის ხსენებაზე ინგლისში ყველას ახსენდება გიორგი ქინქლაძე, სასწაული ფეხბურთელი, თემურ ქეცბაიას მიერ "კროაციასთან" გატანილი გოლი და სარეკლამო ბანერზე დარტყმა. საერთოდ, ქართველი ფეხბურთელის ხსენებაზე აუცილებლად ტექნიკურ ფეხბურთელს წარმოიდგენენ. ვიმედოვნებ, აქ ტყუილად არ ჩამოვსულვარ, "დინამოს" ხელმძღვანელობას მოვეწონები და ჩავირიცხები.

**- "ლივერპულში" და თუნდაც მეორე ინგლისურ დივიზიონში ნათამაშევი ინგლისელი ახალგაზრდის საქართველოში ჩამოსვლა გაუგებარია – აქ რა პერსპექტივას ხედავ?**

- ეს ახალი შესაძლებლობები, ახალი არეალია, საიდანაც ევროპაში თამაშის და დაწინაურების პერსპექტივა ჩანს, "დინამოს" ისტორიაც ამაზე მეტყველებს. თან მითხრეს, რომ ახლა კლუბში გაძლიერებასა და ევროპაში ღირსეულად თამაშზე ფიქრობენ. ინგლისში სწორედ ეს პერსპექტივა ვერ დავინახე.

**- "ლივერპული" რატომ დატოვე, როდესაც მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის განაცხადშიც იყავი?**

- ჩემი ნებით არც წამოვსულვარ. ეს რაფა ბენიტესის "დამსახურებაა" და მას დღემდე "თბილად" ვიხსენებ. მაშინ 18 წლის ბიჭი ვიყავი, "ლივერპული" დიდი კლუბია და იმ ასაკში ძირითადში მოსახვედრად მზად არ ვიყავი, მაგრამ 1-2 წელი საკმარისი იქნებოდა. ვგრძნობდი, თამაში შემეძლო, მაგრამ მოვიდა ბენიტესი და კლუბის მმართველები დაარწმუნა, რომ ბავშვთა ფეხბურთსა და ახალგაზრდებზე გაუმართლებლად ბევრ ფულს ხარჯავდნენ, მზა ფეხბურთელები ვიყიდოთ, ვინც ძირითადში ვერ ხვდება, გავყიდოთო და პირველი მე გამყიდეს.

არადა, ჰიიპია პატარა ძმასავით მზრდიდა, ალონსოსთანაც კარგად ვიყავი. ტრაბახით არ ვამბობ, მაგრამ ამბობდნენ, რომ ჰიიპია მე უნდა შემეცვალა. სამწუხაროდ, ბენიტესმა ეს იმედები ჩამიკლა, "ქრიუ" და "შრიუსბერი" კი დაბალი დივიზიონში თამაშობენ და ყურადღებას თითქმის არ მაქცევდნენ. მესმის, უცნაურია ინგლისიდან საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ "დინამოში" ევროთასებზე გამოსვლას ვიმედოვნებ, რაც მაინც სხვა პერსპექტივაა. ამჟამად კი "ლივერპულთან" მხოლოდ ის მაკავშირებს, რომ ლივერპულში ვცხოვრობ და ჩემი საყვარელი კლუბია.

**- "დინამო" საინტერესო კლუბია, მაგრამ ლივერპულის შემდეგ თბილისი რამდენად მიმზიდველია?**

- კარგია, ჩემი ჩამოსვლა თქვენებურ შობას რომ დაემთხვა. მე და კრის ბრაიტმა თბილისი დავათვალიერეთ და გაოცებული დავრჩით, ლამაზ ქალაქში მოვხვედრილვართ. საღამოსაც ვისეირნე და გამიკვირდა, ხალხი გარეთ რა თავისუფლად დასეირნობდა. ლივერპულში ასე ვერ გაივლი, იქ საღამოს ქუჩაში მძარცველი რომ გადმოგიხტეს, ჩვეულებრივი ამბავია.

სხვათა შორის, ინტერნეტში საქართველოს ისტორიასაც გავეცანი და აღმოვაჩინე, რომ საინტერესო ქვეყანაში მოვდიოდი. არადა, ადრე, რუსეთი მეგონა. აქ თურმე სხვაგვარი ხალხია, ვიდრე რუსეთში, უჩვეულო სითბო ახასიათებთ. მეგობრებს ამას აუცილებლად ვეტყვი. ნამდვილად კარგად განვეწყვე.

### კრის ბრაიტი:

დაიბადა **1986 წლის 5 სექტემბერს ოკლენდში (ახალი ზელანდია)**

სიმაღლე: 189 სმ; პოზიცია: **თავდამსხმელი, შემტევი ნახევარმცველი**



| კარიერა | | |
|---|---|---|
| **წლები** | **გუნდი** | **თამ. გოლი** |
| 2004-2005 | ვაიტაკერ სიტი (ახ. ზელან.) | 22 (29) |
| 2005 | კენტერბერ იუნ. (ახ. ზელან.) | 4 (2) |
| 2005-06 | ნიუ ზილანდ ნაიტს (ახ. ზელ.) | (0) |
| 2006-07 | სიტარდი (ჰოლანდია) | 11 (1) |
| 2007-2008 | კრისტიანსუნდი (ნორვეგია) | 19 (21) |
| 2009 | პანსერაიკოსი (საბერძნეთი) | 6 (0) |
| 2009-2010 | შრიუსბერი (ინგ. II დივ.) | 29 (14) |
| **ახალი ზელანდიის ნაკრებები** | | |
| U-17 7 (6) | | |
| U-20 5 (5) | | |
| 2008 - ეროვნული 4 (1) | | |

**კრის ბრაიტმა** 2009 წელს სამხრეთ აფრიკაში გამართულ კონფედერაციათა თასზე ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ შეცვლაზე ითამაშა.

მისი მამაც ფეხბურთელი გახლდათ - **დეივ ბრაიტი** 1982 წელს ესპანეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე სამივე მატჩის განაცხადში იყო, მათ შორის, საბჭოთა კავშირის ნაკრებთანაც, რომელმაც ახალზელანდიელებს 3:0 მოუგო. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში ოთხი ქართველი იყო – **ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია** და **რამაზ შენგელია**. სულ მამა ბრაიტმა ახალი ზელანდიის ნაკრებში 8 შეხვედრა ჩაატარა, ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კი კარიერა დაასრულა.

**- თავის დროზე ნაკრების წევრის საბერძნეთის ჩემპიონატისა და ინგლისის მეორე დივიზიონის შემდეგ საქართველოში ჩამოსვლა ანომალიაა.**

- შესაძლოა, მაგრამ ვეთანხმები დანიელს, თბილისის "დინამოდან" ევროთასებზე თავის გამოჩენა შეიძლება. ამის იმედი საბერძნეთშიც მქონდა, მაგრამ ესპანელი მწვრთნელი დაგვინიშნეს, მოიყვანა ახალი ფეხბურთელები, მათ შორის, სამი თავდამსხმელი და გუნდი დაგვშალა. გადავედი ინგლისში, მაგრამ აქ საერთაშორისო დონეზე თამაშის სურვილით აღმოვჩნდი. ახალგაზრდა ვარ და მჯერა, ევროპაში მაღალ დონეზე თამაშს კიდევ მოვახერხებ და თუ "დინამოსთვის" და ევროთასებზე გოლებს გავიტან, ახალი ზელანდიის ნაკრებში კვლავ მიმიწვევენ. თუმცა ჯერ მთავარია, აქ მწვრთნელს მოვეწონო.

**- ქართულ ფეხბურთზე წარმოდგენა თუ გქონდა?**

- ვიცი, რომ „დინამო" ევროპაში ცნობილი კლუბია. საქართველოს ნაკრებზე კი ის ვიცი, რომ ორი წლის წინ ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა მოუგო. სხვათა შორის, აქ ჩამოსვლას ვყოყმანობდი და ნედ ზელიჩს დავუკავშირდი, რომელსაც ავსტრალიურ "ნიუკასლში" თამაშის პერიოდიდან ვიცნობდი. ვიცოდი, რომ "დინამოში" თამაშობდა და რჩევა ვკითხე. ზელიჩმა მითხრა, ჩადი, არ ინანებ, კარგი კლუბი და მაგარი ხალხიაო. უცებ ბევრი კარგი გავიგე ქვეყანაზე, რომელზეც აქამდე არაფერი ვიცოდი. დანიელს იმაშიც ვეთანხმები, რომ აქ კარგი ხალხია.

"დინამოში" ჩამოსული კიდევ ერთი ფეხბურთელი იტალიის მოქალაქე ბულგარელი **ანდრეა ტოდოროვია**. ის თბილისში გუშინ ჩამოვიდა.

**დაიბადა 1991 წლის 3 აპრილს რომში.**
მოქალაქობა: **იტალიის**
სიმაღლე: **185 სმ; წონა: 74 კგ.**
პოზიცია: **თავდამსხმელი, შემტევი ნახევარმცველი.**

**კარიერა**

**2002-2007 "ლაციოს" საფეხბურთო აკადემია**
**2007-2010 "პეტრიანა" (რეზერვისტების პირველობა)**
**ნაკრები – იტალიის U-17**

გადაწყვეტილი ამბავია: თბილისის "დინამოში" ითამაშებს თავდამსხმელი **დიმიტრი ტატანაშვილი**, რომელიც 2010 წლის სექტემბერს ზაპოროჟიეს "მეტალურგში" ჩაირიცხა, მაგრამ ნახევარწლიანი კონტრაქტი დაუსრულდა და საქართველოში დაბრუნდა. საქართველოში ტატანაშვილი თბილისის "სპარტაკსა" და "ამერში" თამაშობდა.

როგორც იქნა, საშველი დაადგა **გიორგი ციმაკურიძეს**, რომელიც სლოვაკური "ჟილინადან" გამოისყიდეს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი უნივერსალია და მარჯვენა მცველის, მარჯვენა ნახევარმცველისა და საყრდენის პოზიციაზე თამაში შეუძლია.

● გამოხმაურება

# ყველამ თავის და, რუსმა თავის რუს მამიდას მიხედოს

ინტერნეტგაზეთმა „რუსკი ბაზარმა" გამოაქვეყნა ვლადიმირ გოლოვინის სტატია ქართულ ფეხბურთზე, რომელიც ქვეტექსტებით ისევ და ისევ საქართველოს ძაგება იყო. ავტორი ჩვენს ფეხბურთზე, ფედერაციის მძიმე მდგომარეობაზე, სპონსორების არარსებობასა და თბილისის „დინამოს" ახალი მეპატრონის, რომან ფიფიას, მისი აზრით, საეჭვო წარსულზე წერს.

წერილში ბევრი რამ მართალია. ის, რომ ქართული ფეხბურთი კრიზისშია, ფედერაცია ახალ წელს კინაღამ ანგარიშგაყინული შეხვდა, რომ მას აზერბაიჯანული კომპანია დაეხმარა, რადგან ქვეყანაში სპონსორი აქამდე ვერ გამოიძებნა.

ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას ნათქვამი გოლოვინმა დაამახინჯა, თითქოს „ადგილობრივ კომპანიებში... საიმედო პარტნიორი ვერ მოიძებნა". არავის უთქვამს, საიმედო პარტნიორი ვერ მოვიძიეთო, უბრალოდ, სპონსორის ძებნა ჭირდა, ეს კი სხვადასხვა რამ არის, მაგრამ როდესაც საქართველოსთან დაკავშირებით მსგავს აზრს აქვეყნებ, ამით რუსულენოვან სამყაროს ამცნობ, რომ ზოგადად ამ ქვეყანაში საიმედო პარტნიორის მოძებნაა შეუძლებელი.

ახლა რომან ფიფიაზე:"ცნება „ცნობილ ბიზნესმენს" შეიძლება, სხვა, არცთუ ნათელი მხარეც ჰქონდეს. ქართველთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი 44 წლის რომან ფიფია გაგრაში დაიბადა. 17 წლისა სარატოვში გადავიდა და კვების მრეწველობაში დასაქმდა - „პერესტროიკის" პერიოდში ძეხვის ბიზნესს მიჰყო ხელი. ახალი რუსეთის ეპოქაში ქართველი ბიზნესმენი სარატოვის გუბერნატორს დმიტრი აიაცკოვს ისე დაუახლოვდა, პრესაში ტანდემად მოიხსენიებდნენ, თავად რომანს კი – „გუბერნატორის ჯიბედ". მას ეკუთვნოდა ხორბლის გადამამუშავებელი საწარმოები, ალკოჰოლური სასმელების ქარხნები, ავიაკომპანია „სარატოვის ავიახაზები" და კომერციული ბანკი „აგროროსი". ამავდროულად, ფიფია იყო საფეხბურთო კლუბ „სოკოლის" პრეზიდენტი.

თანამდებობიდან აიაცკოვის წასვლის შემდეგ ოლიგარქი ნიცის ლაჟვარდოვან სანაპიროზე გადაბარგდა, რადგან რუსეთში მას ბრალი დასდეს უკანონოდ კრედიტების მითვისება, დიდი ოდენობით თანხების მიტაცება და ფედერალურ ძებნილად გამოაცხადეს.

ამ მხრივ რომანს საქართველოში პრობლემები არ ექმნება, მისი ძმა პარლამენტარია. მეტიც, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ის სამშობლოში პურით დატვირთულ ეშელონს გზავნის, გულუხვად აფინანსებს სხვადასხვა პროექტს და ამჯერად „დინამოს" იძენს.

ერთი სიტყვით, დევნილი ოლიგარქი, რომლის ქონება, ქართული მასმედიის შეფასებით, ნახევარ მილიარდ დოლარად ფასდება, კლუბში რამდენიმე მილიონის ჩადებას აპირებს. რაც შეეხება გულუხვი ბიზნესმენის მორალურ უფლებასა და მისი ფულის „სისუფთავეს", ამით არავინ ინტერესდება და შესაბამისად, კითხვებსაც არავინ სვამს. სხვათა შორის, ასე იყო პატარკაციშვილის მილიონების შემთხვევაშიც, რომელიც ქვეყნის ეროვნული გუნდის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების საკვალიფიკაციო ციკლში გამოსვლას ერთპიროვნულად ასპონსორებდა. აღარაფერს ვამბობთ ქვეყნის მთელ ოლიმპიურ ნაკრებზე", - წერს გოლოვინი.

ჯერ ის ვთქვათ, უფრო უპრიანია, ყველამ თავის მამიდას მიხედოს; მეორეც, ორსაუკუნოვანი ოკუპაციის შემდეგ რუსეთმა საქართველო უმოწყალოდ რომ გაძარცვა, სამეფო და საეკლესიო ქონების უდიდესი ნაწილი გაიტანა, ერის საამაყო ნაწილი გაგვიწყვიტა. კიდევ ბევრი საშინელების გახსენება შეიძლება და ძალიანაც კარგი, ჩრდილოეთიდან თანხის მცირედი ნაწილი მაინც თუ დაგვიბრუნდება.

გოლოვინი არც იმაზე წერს, რა ფულებით აფინანსებენ რუსულ კლუბებს და ძალიან გვეეჭვება, "გაზპრომის" და მსგავსი ვეშაპებისგან ნაპატივები "ზენიტი", ცსკა, "სპარტაკი" და მათი ნაკრებები თეთრი შემოსავლებით იკვებებოდნენ. სტატიის ავტორს ფორუმში მიუთითეს კიდეც, "შავი ფული" მსოფლიო ფეხბურთის უბედურებაა, რაღა ქართველებს მიახტიო.

საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტიც, რომ რუსული ფეხბურთი და კორუფცია სინონიმებად იქცნენ, იქ ყიდვა-გაყიდვა და "შავი ფული" ჩვეულებრივი მოვლენაა. რაღა შორს წავიდეთ, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა ინგლისს როგორც წაართვეს, ყველამ კარგად იცის.

ამ დროს ქართული კლუბის მეპატრონის აუგად ხსენებაში პიროვნულად ფიფიას ზიზღი კი არა, საქართველოს ზიზღი იკითხება. თორემ თავადაც ვიცით, რომ ქართულ ფეხბურთში არსებული ვითარება ასეთებს საბაბს აძლევს, უამრავი პრობლემა გვაქვს, თუნდაც ფედერაციის მართვაში სახელმწიფოს ჩარევა, მაგრამ ეს ჩვენი გასარჩევია და არა რუსის.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ვლადიმერ პუტინმა რუსეთში მოსაქმიანე ბიზნესმენებს მოუსინჯა კბილი და ვინც ფეხები არ დაუკოცნა, ყველა გააკოტრა. ამ ურჩობას შეეწირნენ მიხეილ ხოდორკოვსკი, პლატონ ლებედევი, ბორის ბერეზოვსკი, ბადრი პატარკაციშვილი და სხვანი.

ცნობილია ისიც, პუტინმა პრეზიდენტად თავი რომ შეიგულა, მაშინვე დაიწყო რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენების გადაბირება, შემდგომ ისინი საქართველოში რომ გამოეყენებინა. სწორედ ამის გამო გამოიქცა რუსეთიდან ბევრი ქართველი, მათ შორის რომან ფიფია და როდესაც რუსი მას საეჭვო რეპუტაციის ბიზნესმენად აცხადებს, მსგავსი ბრალდების ტირაჟირება გაუგებარია – რუსის პოლიტიკოსთვის საეჭვო ის ქართველია, რომელიც მას არ ემსახურება.

სხვათა შორის, სტატიას ახლავს რუკა, სადაც საქართველოსგან გამოყოფილია აჭარა, აფხაზეთი და სამაჩაბლო, სათაური კი შეურაცხმყოფელია, "დაეხმარეთ ქართულ ფეხბურთს", ანუ მათხოვარს. ასეთი წერილსა და მისი ავტორის "ნააზრევს" პირადად მე დიდი ეჭვით ვუყურებ და გაუფილტრავად არ მივიღებ, თორემ არც ფიფიას ვიცნობ და არც ის ვიცი, ჰქონდა თუ არა საეჭვო ბიზნესი.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოძიეყენება აკრძალულია

საქართველოს ჩემპიონატი. სამზადისი

# სიხარულით სიხარულზე

## კვიცი გვარზეც ხტის და სახელზეც: ვალერი კილასონიას დაბრუნება

თემქის "სიხარულის" სტადიონი მოსამზადებელ ეტაპზე პოპულარული სარბიელი გახდა, რადგან საფეხბურთო სკოლა "ნორჩი დინამოს" არენაზე თამაშების ჩასატარებლად მშვენიერი პირობებია, მოედნის საფარი კი უფრო ხარისხიანია, ვიდრე სხვა არენებზე. ეს მატჩის შემდეგ ბოლნისის "სიონისა" და ცხინვალის "სპარტაკის" ფეხბურთელებმაც აღნიშნეს – მათ გუშინ "სიხარულზე" ამხანაგურად ითამაშეს.

მატჩი 1:1 დასრულდა. ანგარიში მე-7 წუთზე სპარტაკელმა **თემურ შონიამ** გახსნა, ტაიმის მიწურულს კი ბოლნისელთა შეტევა **ლადო უგრეხელიძემ** ზუსტი დარტყმით დაასრულა.

მეორე ტაიმში ორივე გუნდში ბევრი ცვლილება მოხდა, ორივე მხარე ცდილობდა შეტევას, მაგრამ ერთია მცდელობა, მეორე - შესაძლებლობა. მატჩი კი ფრედ 1:1 დასრულდა.

ცხინვალელებმა თბილისის "დინამოდან" თავდამსხმელი **ზვიად მეტრეველი** იჯარით დაიმატეს, "ვიტ ჯორჯიასთან" კი **ნიკა მგელაძის** საიჯარო ხელშეკრულება გააგრძელეს - ის "სპარტაკს" წლის ბოლომდე დაეხმარება. ამას გარდა, "ნორჩი დინამოდან" მეკარე **გიორგი გიორგობიანი** მიიწვიეს.

სიონი: **მერლანი – ქურასბედიანი, თარგამაძე, ლ. ჭელიძე, კობაური – უგრეხელიძე, დიდავა, ჩირიკაშვილი, სანიკიძე – გ. თოდუა, ბობოხიძე.**

*შეცვლაზე შევიდნენ:* ***ბობლიაშვილი, ინწკირველი, რეხვიაშვილი, რ. ჯიქია, მ. ოქროპირიძე, გ. ოქროპირიძე, ვაშაკიძე, ისიანი, ნოზაძე, გიორგი ჭელიძე, იაშვილი.***

სპარტაკი: **გრიშიკაშვილი – ჭაფოძე, ტეტუნაშვილი, ბოიომო, მანჩხავა – დეკანოიძე, შონია, მგელაძე, ბოლქვაძე – კლოვისი, ბარაბაძე**

*შეცვლაზე შევიდა:* ***კაკაშვილი.***

დუბლშემადგენლობების მატჩში "სპარტაკმა" 3:0 მოიგო. კურიოზული ის იყო, რომ ორჯერ "სიონის" კარი მათმა ფეხბურთელმა **შოთა გაბრიჭიძემ** დალაშქრა, რომელიც ცხინვალელებმა მატჩის ბოლომდე "ითხოვეს".

და კიდევ ერთი: ბოლნისელებს მესამედ "სპარტაკის" დებიუტანტმა **ვალერი კილასონიამ** გაუტანა. ვალერი საქართველოს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველის, **გია კილასონიას** ვაჟია და საბერძნეთშია გაზრდილი.

დღეს ცხინვალის "სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი **ბადრი კვარაცხელია** ურეკში მოსამზადებლად ამ ფეხბურთელებს წაიყვანს:

მეკარეები: **სოსო გრიშიკაშვილი, ნიკა დაუშვილი, გიორგი გიორგობიანი**

ნინახაზელები: **ლევან ჭაფოძე, ბადრი ტეტუნაშვილი, ბოიომო ფრიდოლინი, ნუკრი მანჩხავა, ნიკა მგელაძე, თეიმურაზ შონია, ვალერი ბოლქვაძე, ტიერი კლოვისი, მიხეილ ბარაბაძე, ბესიკ დეკანოიძე, გიორგი სეფიაშვილი, გიორგი ალავიძე, დიეგო ლობჟანიძე, კახაბერ კაკაშვილი, ვალერი კილასონია, გიორგი ნარიმანიძე, ერეკლე ხაჭვანი, ვახტანგ ჯაყელი, მიხეილ ჯიშკარიანი, ილია ბუზალაძე, დავით ზერეკიძე, ზვიად მეტრეველი.**

**მერაბ მამულაშვილი**

## სანამ თამადა მოვიდოდეს

სეზონის განახლებისთვის მზადებას განაგრძობს ბოლნისის „სიონი", თუმცა კვლავაც მთავარი მწვრთნელის გარეშე - **გიორგი ყიფიანი** მცირე ხნით ისრაელში გაემგზავრა და ჯერ არ დაბრუნებულა. მანამდე კი ბოლნისელებს **გიორგი ყიფშიძე** ავარჯიშებს და ცხინვალის „სპარტაკთან" ამხანაგურ შეხვედრაშიც ის ხელმძღვანელობდა გუნდს. „სიონში" ახალი მოთამაშეები გამოჩნდნენ. ნახევარმცველებს, **ირაკლი ჩირიკაშვილსა** და 23 წლის **გიორგი რეხვიაშვილს** (რუსთავის ოლიმპელის სეხნია და მოგვარე), მცველი **ალექსანდრე ინწკირველი** და თავდამსხმელები, **რევაზ ჯიქია** და **სანდრო იაშვილი** დაემატნენ. თუმცა მათი გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. ბოლნისელთა გეგმაში მოსამზადებელი შეკრებაცაა - შვიდ-რვა დღეში „სიონი", სავარაუდოდ, ურეკში მოემზადება, თუმცა შეკრების დეტალები ჯერ კიდევ გასარკვევია.

**დავით ცაბაძე**

# ჩემი შენ გითხარიო...

## ორი დარდიანის საკონტროლო უკეთესი მომავლის იმედით

სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება დაიწყო ფოთის „კოლხეთმა". უფრო ზუსტად „კოლხთა" მეორე გუნდმა, რომელსაც **ზაზა ინიაშვილი** ავარჯიშებს. მთავარი გუნდის თავკაცი **ბესიკ შეროზია** ჯერჯერობით ფოთში არ ჩასულა.

*„მე ზუგდიდში ვარ, ფოთში კი ზაზა ინიაშვილი იმ ფეხბურთელებს ავარჯიშებს, რომლებმაც ჩემპიონატის პირველი ეტაპი ჩაამთავრეს. ეს, ფაქტობრივად, დუბლშემადგენლობაა, თუმცა ნოემბერ-დეკემბერში სწორედ ამ კონტინგენტით ასპარეზობდა ჩვენი გუნდი.*

*ის კაცი არ ვარ, შუა გზაში მივატოვო გუნდი და ამიტომაც კლუბი არ დამიტოვებია. წასვლა ყველაზე იოლია, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი. მინდა, კლუბის პრეზიდენტ თემურ ბარქაიას ვესაუბრო და გავარკვიო გუნდის მომავალი. თუ ისევ ისე ვიქნებით, როგორც შარშან ბოლო თვეებში, ასე არაფერი გამოვა. ამბობენ, ყველაფერი კარგად იქნებაო და სწორედ ამის გასარკვევად მინდა ვესაუბრო პრეზიდენტს"*, - გვითხრა „კოლხეთის" მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ შეროზიამ.

ცხადია **თემურ ბარქაიასთან** შეხმიანება გადავწყვიტეთ, მაგრამ მასთან დაკავშირება ვერაფრით შევძელით. გავიგეთ მხოლოდ ის, რომ ფოთელებმა პირველ საკონტროლო შეხვედრაში „სამტრედია" 3:1 დაამარცხეს. ეს შეროზიას თანაშემწე **დავით მახარაძემ** გვაცნობა.

„სამტრედია" **ვალტერ გუჩუას** გოლით დაწინაურდა, **ლემონჯავამ** კი ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმში „კოლხებმა" იძალეს და ჯერ **მოისწრაფიშვილმა,** შემდეგ კი **პერტენავამ** თითო გაიტანეს და საბოლოო ანგარიში 3:1 დააფიქსირეს.

გავიგეთ ისიც, რომ „კოლხეთის" ორი შემტევი ფეხბურთელი **დათა სიჭინავა** და **დავით ციცხვაია** თასის ნახევარფინალისტ „გაგრაში" ვარჯიშობს. გაგრელებს მათი დამატება უნდათ და, ეტყობა, მათ განზრახვას წინ ვერაფერი დაუდგება.

**დავით ცაბაძე**



თომა ჩალაძის ფოტო

ლეგიონი

# ლადოს წელი იწყება?

## კალაძე: გვიყიდეთ ფორვარდი!

წელიწადი დიდებულად დაიწყო **ლადო დვალიშვილმა,** მან უკვე მეორედ ითამაშა იანვარში და 3 გოლი გაიტანა. ლადო ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი ლეგიონერია, რომელმაც 2011 წელს გოლი გაიტანა. წინა ტურში ერთ გოლს წუხელ ჩვენებურმა დუბლი დაუმატა - ჰაიფას „მაქაბიმ" სტუმრად 3:1 მოუგო ფეთაჰ თიკვას „მაქაბის". ქართველმა 32-ე წუთზე პენალტით გახსნა ანგარიში, შეხვედრის ბოლო წუთზე კი გუნდის მესამე გოლიც გაიტანა. ახლა დვალიშვილს ლიგატ ჰა'ალში 8 გოლი აქვს გატანილი. „მაქაბიმ" კი 40 ქულით ლიდერობა დაიბრუნა.

2011 წელი კარგად დაიწყო **კახა კალაძემ** „ლაციოსთან" მატჩის შესახებ ინფორმაციას ამავე გვერდზე წაიკითხავთ, ჩვენ კი გუშინდელ მატჩზე გამცნობთ - „ჯენოა" სტუმრად 0:0 დაუზავდა „ჩეზენას". საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ახლაც 90 წუთი დაყო მოედანზე და კვლავ გამოირჩა უშეცდომო თამაშით. მატჩის შემდეგ ჩვენმა თანამემამულემ დაიჩივლა, რაც **ლუკა ტონი** გუნდიდან წავიდა, შეტევის ფაზაში გვიჭირსო, სხვა მხრივ კი გუნდი კარგად თამაშობსო: *„იმედი მაქვს, სატრანსფერო ბაზარზე ახალ ფორვარდს შევიძენთ"*, - აღნიშნა „კალჩო მერკატოსთან" საუბარში კახამ. „ტუტო მერკატომ" კალაძეს „ჩეზენასთან მატჩში 6,5 ბალი დაუწერა. *„მან კვლავ კარგად ითამაშა, მისი ზონიდან „ჯენოას" საფრთხე არ შექმნია"*, - წერს საიტი.

წლეულს პირველად ითამაშა **ლევან მჭედლიძემ.** მისი „ემპოლი" შინ „ვიჩენცას" 1:1 დაუზავდა, 20 წლის ქართველი თავდამსხმელი სასტარტოში იყო და 69-ე წუთზე შეცვალეს. „დატასპორტსმა" ჩვენებურს 5,5 ბალი შეფასება მისცა: *„ძალიან მოძრავი და სწრაფი იყო, მაგრამ ხიფათი ვერ შექმნა"*.

ინგლისის ასოციაციის თასზე **ზურაბ ხიზანიშვილის** „რედინგმა" გათამაშებიდან პრემიერლიგის „ვესტ ბრომვიჩი" გამოთიშა - 1:0. სამწუხარო ისაა, რომ ქართველი მცველი მატჩის განაცხადშიც არ ყოფილა. „რედინგის" ოფიციალური საიტის ცნობით, მას ტრავმა აწუხებს. მანამდე ზურაბმა სასტარტოში ადგილი 22 წლის **ალექს პირსთან** კონკურენციაში დაკარგა და ბოლო 7 თამაში სათადარიგოთა სკამზე გაატარა. თასის მე-4 ეტაპზე „რედინგს" „სტივენიჯი" ერგო.

საფრანგეთის თასის 1/32 ფინალში „ლე მანმა" სტუმრად სუსტი „შაუვინი" დაამარცხა - 3:1. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც „ლე მანის" კარს **დიდიე ოვონო** იცავდა და არა მისი დუბლიორი **გიორგი მაკარიძე**.

ბერძნულ სუპერლიგაში **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისმა" წლეულს ორჯერ ითამაშა, ჯერ სტუმრად „ასტერასთან" 0:3 წააგო, შემდეგ კრეტაზე „ვოლოსს" ვერ მოუგო - 0:0. ორივე შეხვედრა ქართველმა ლეგიონერმა შეუცვლელად ითამაშა, წაგებულ მატჩში დაცვის ცენტრში, გუშინდელში კი მარჯვენა ფლანგზე.

ზამთრის პაუზა არ სჭირდება მზიან კვიპროსს, სადაც მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსი" სტუმრად „აპოლონს" დაუზავდა. ქართველმა ვეტერანმა 83-ე წუთამდე ითამაშა. მის ანგარიშზე საგოლე პასია. „ერმისი" შინ აელს დაუზავდა - 0:0. მასპინძელთა შემადგენლობაში 90 წუთი ითამაშა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ **ლევან მაღრაძემ**. „ეთნიკოსი" მე-8 ადგილზეა, ხოლო „ერმისი" ბოლოსწინა, მე-13-ზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კალაძე სიმბოლურშია

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **კახა კალაძემ** ახალი წელი რიხიანად დაიწყო. მას ტრავმის გამო საკმაო ხანი გაუცდა, ბოლოს 24 ნოემბერს „ვიჩენცასთან" მატჩში ვიხილეთ. იძულებითი პაუზის შემდეგ კალაძემ „ჯენოას" რიგებში მეორე ადგილზე მყოფ „ლაციოსთან" მატჩში შთამბეჭდავად ითამაშა. კახა სასტარტო შემადგენლობაში იყო და შეხვედრა (რომელიც 0:0 დასრულდა) ჩაამთავრა. იტალიურმა ვებგვერდებმა calciomercatonews.com-მა, ilgiornale.it-მა და სხვა საიტებმა ქართველი მცველის თამაში 7 ბალით შეაფასეს. ვებგვერდმა goal.com.it-მა კალაძე ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. ამ საიტის ტურის 11 რჩეულს შორის მოხვდნენ: **მუსლერა (ლაციო) - ასტორი (კალიარი), კალაძე (ჯენოა), ბოვო (პალერმო) - სანჩესი (უდინეზე), მოტა (ინტერი), შტრასერი (მილანი), ჯოვინკო (პარმა) - მიკოლი (პალერმო), ოკაკა (ბარი), ვუჩინიჩი (რომა)**

*„კალაძემ „ჯენოაში" ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი ჩაატარა. თანაც, ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა. დაცვაში საიმედო იყო და „ლაციოს" თავდამსხმელებს სერჯიო ფლოკარისა და მაურო სარატეს, სათანადოდ გაუმკლავდა"*, - წერს goal.com.it-ი.

თავად კახამ კი pianetagenoa1893.net-თან კომენტარში აღნიშნა:

„მხოლოდ მე კი არა, მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა წლის პირველი მატჩი. ჩვენი გუნდი მეორე ტაიმში გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მაღალ დონეზე თამაში შეგვიძლია და მომდევნო მატჩები შედეგიანად უნდა ჩავატაროთ".

**დავით ცაბაძე**

# ლიპარტია და ზარია? ვნახოთ

## დინამო კი ჯერ თავს იკავებს

ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი **ჯაბა ლიპარტია** დეკემბერში აზერბაიჯანში იმყოფებოდა. წინასწარი ინფორმაციით, „ვიტ ჯორჯიას" 23 წლის შემტევ ნახევამცველს „ყარაბაღში" ორნახევარწლიან კონტრაქტს სთავაზობდნენ, მაგრამ საქართველოში დაბრუნდა.

შევიტყვეთ, რომ ლიპარტიას ახლა ლუგანსკის "ზარიაში" გასინჯვა შესთავაზეს და გუშინ უკრაინაში გაემგზავრა.

*"ლიპარტიას მართლაც აქვს ლუგანსკის ვარიანტი, უკრაინაში 9 იანვარს ჩავა, მაგრამ ჯერ ტრანსფერი გადაწყვეტილი არ არის. არ დავმალავთ, მის მიმართ ინტერესი თბილისის "დინამოსაც" აქვს, მაგრამ სანამ ახალი მეპატრონე კლუბს ოფიციალურად არ გადაიფორმებს, მანამდე გაურკვევლობაა და ვერ გვეუბნებიან, გადაიხდიან თუ არა სატრანსფერო თანხას"*, - გვითხრეს "ვიტ ჯორჯიაში".

საქმე ისაა, რომ ლიპარტია „ვიტ ჯორჯიაში" 2005 წლიდან ირიცხება და კონტრაქტის ვადა ჯერ არ გასრულებია. ამდენად, კლუბს უკომპენსაციოდ ვერ დატოვებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ყენია: საგანგაშო არაფერია



პირველი ბუნდესლიგის „შალკე" თურქეთშია შეკრებაზე. ბელექში გუნდთან ერთადაა ჩვენი ნაკრების ნახევარმცველი **ლევან ყენია.** სამწუხაროდ, პარასკევის ვარჯიშზე ლევანმა კოჭი დაიზიანა, რის გამოც „ხუმარების" ორ საკონტროლო შეხვედრაში ვერ მიიღო მონაწილეობა. **ფელიქს მაგათის** გუნდი „ტრაბზონსფორთან" 0:3 დამარცხდა, გუშინ კი „ქარაბუქსფორს" 3:0 მოუგო.

საბედნიეროდ, ლევანის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. მან გუშინ ვარჯიში განაახლა. „შალკე" თურქეთში ბოლო საკონტროლო მატჩს 12 იანვარს „ესქიშეჰირსფორთან" ჩაატარებს. ფელიქს მაგათს ძალიან უნდა, ყენია ამ შეხვედრაში ათამაშოს და ასეც იქნება, თუ ჩვენებურის მდგომარეობა ამ განზრახვაზე ხელს არ აალებინებს.

**დავით ცაბაძე**

# იაშვილმა გერმანიას მოუგო, კობიაშვილმა ითამაშა

**ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ" ამხანაგურ მატჩში ქვედალიგოსანი ფრიდრიხსტალის „გერმანია" 5:1 დაამარცხა. კარლსრუელთა ქართველი კაპიტანი ძირითად შემადგენლობაში იყო და ხუთიდან ერთი გოლი მის ანგარიშზეა. იაშვილმა 37-ე წუთზე ანგარიში 3:1 გახადა.

ჩვენებურის „კარლსრუე" მეორე ბუნდესლიგაში ბოლოდან მესამე, ანუ მე-16 ადგილზეა და ჩემპიონატს 14 იანვარს „ფიურტთან" საშინაო შეხვედრით განაახლებს.

**ლევან კობიაშვილის** „ჰერტა" „აუგსბურგთან" ერთად ლიდერობს მეორე ბუნდესლიგას. ლევანი, რომელიც გრიპის გამო ვერ ვარჯიშობდა, გამოჯანმრთელდა და საკონტროლო მატჩში ითამაშა. ბერლინელები ჰოლანდიის მეორე ლიგის ლიდერ „ცვოლეს" გაეჯიბრნენ და 2:0 მოიგეს. „ჰერტამ" ორი შემადგენლობით ითამაშა, კობიაშვილმა მეორე ტაიმი ჩაატარა.

**დავით ცაბაძე**

# ძმაკაცური მატჩი

## შოთამ და ცხადაძემ სამ-სამი გაცვალეს

8 იანვარს ანთალიაში ქართული დერბი შედგა, მაგრამ ერთმანეთს არა მხოლოდ ფეხბურთელები, არამედ მწვრთნელებიც დაუპირისპირდნენ. **შოთა არველაძის** „კაისერისფორი" **კახა ცხადაძის** ბაქოს „ინტერს" გაეჯიბრა. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში ორივე გუნდის თავკაცმა ითამაშა. მატჩი 3:3 დასრულდა.

შეგახსენებთ, რომ თურქულ გუნდში ერთადერთი ქართველი მოთამაშეა, მცველი **ალექსანდრე ამისულაშვილი.** ბაქოელთა კლუბში ცხადაძის თანაშემწე **გიორგი ჩიხრაძეა,** გუნდში კი ხუთი ქართველი ფეხბურთელია - მეკარე **გიორგი ლომაია,** მცველები **ილია კანდელაკი, ვალერი აბრამიძე** და **კახა მჟავანაძე,** ნახევარმცველი **დავით ოდიკაძე.**

„ინტერმა" მომდევნო სპარინგი ყაზახურ „თარაზთან" გამართა და 2:1 გაიმარჯვა. შოთას „კაისერისფორი" კი 12 იანვარს ქართველების კიდევ ერთ გუნდთან, ჰოლანდიურ „ვიტესთან" მოსინჯავს ძალებს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ენთუზიასტების გუნდი

**წლების** განმავლობაში ზუგდიდი დიდი ფეხბურთის გარეშე იყო დარჩენილი და აი, 2007 წელს, ბესიკ შეროზიას ხელმძღვანელობით მოასპარეზე „მგლებმა“ უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა. ორი სეზონის განმავლობაში „მგლები“ მეტ-ნაკლები წარმატებით ასპარეზობდა (ორივეჯერ VII ადგილი დაიკავა), შემდეგ გუნდს „ბაია“ დაერქვა და XXI ჩემპიონატიც ამ სახელწოდებით დაასრულა. ოლონდ, წინა სეზონი ზუგდიდური გუნდის აქტივში ნამდვილად ვერ ჩაითვლება: „ბაიას“ უმთავრესი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იყო და საბოლოოდ, „გადამრჩენელ“, VIII ადგილზე გავიდა. თუმცა, XXII ჩემპიონატის დაწყებას ზუგდიდში ყველა დიდი ინტერესით ელოდა; და, არამხოლოდ ზუგდიდში — 2010 წლის ზაფხულში „ბაიამ“ ისეთი მასშტაბური და „ხმაურიანი“ კამპანია აწარმოვა, ლამის იყო, მედლების ერთ-ერთ კანდიდატადაც გამოვაცხადეთ! რა თქმა უნდა, ვეტერანი მცველის სევასტი თოდუასა და ახალგაზრდა ზამბიელი შემტევის ჩისამბა ლუნგუს წასვლა სერიოზული დანაკლისი იყო, მაგრამ შევსებას მართლაც სოლიდურზე მეტი ეთქმოდა. თავად განსაჯეთ: დავით ჭიჭვეიშვილს, ალექსანდრე გოგობერიშვილს, გიორგი მეგრელაძესა და კახა ჩხეტიანს საქართველოს ჩემპიონატში სხვადასხვა დროს არაერთი წარმატებული სეზონი ჰქონდათ ჩატარებული; სხვა ახალწვეულებსაც (გრიგოლ დოლიძე, გიორგი ხიდეშელი, გელა ხუბუა) საკმარისზე მეტი გამოცდილება ჰქონდათ და, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ ადგილობრივ ფეხბურთელებსაც გააჩნდათ იმის პოტენციალი, გუნდს მაღალი მიზნებისათვის ებრძოლა. მოკლედ, მთავარი მწვრთნელის, ელგუჯა ქომეთიანის წინაშე, წინა სეზონისაგან აბსოლუტურად განსხვავებული მიზნები უნდა ყოფილიყო; მით უფრო, რომ არანაკლებ სოლიდური მატება იყო სამწვრთნელო შტაბშიც: „ბაიას“ კონსულტანტად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი ოთარ გაბელია დაინიშნა, ვისაც ზუგდიდში ამავე ნაკრებში მისი ასისტენტი ზაურ სვანაძეც გაჰყვა. „ბაიას“ ამბიციური გეგმების კიდევ ერთი წინაპირობა, სოლიდური და სერიოზული სპონსორის ფაქტორიც უნდა ყოფილიყო; გეხსომებათ, ალბათ, თუ რა კომპანიებზე მიმდინარეობდა „მარჩიელობა“: „ბაიას“ პოტენციურ დამფინანსებლადაც ხან „ჯეოსელს“ ასახელებდნენ, ხან — „პეესპეს“, ხან კიდევ არანაკლებ ცნობილ თუ გავლენიან ორგანიზაციას. ამას გარდა, კიდევ ორი ფაქტორის გამო „ბაია“ ისედაც განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა ყოფილიყო: ჯერ ერთი, ამ გუნდში ხომ საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების ფეხბურთელთა ჯგუფი ირიცხებოდა; მეორე და მართლაც არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი კი... ზვიად სიჭინავასთან ასოცირდებოდა: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იყო ის პიროვნება, ვინც „ბაია“ დააარსა და ააყვავა; ბოლოს და ბოლოს, ქართული ფეხბურთის მესაჭის სავარძელში სიჭინავა ხომ სწორედ „ბაიას“ პრეზიდენტობიდან მოვიდა, — ჰოდა, ფედერაციის პირველი პირის გუნდს სოლიდური სპონსორის მოძებნა რატომ უნდა გასჭირვებოდა. სამწუხაროდ, არც გავლენიანი პატრონი გამოჩნდა, პირველი წრის მერე უხელფასობითა და უპრემიობით შეწუხებულმა ახალწვეულებმაც გუნდი დატოვეს, და საერთოდაც, „ბაიაში“ დარჩენილი მწვრთნელ-ფეხბურთელები პირველი ეტაპის ბოლომდე, ფაქტობრივად, მხოლოდ ენთუზიაზმზე თამაშობდნენ...

## სევდა და ნაღველი

პირველი ეტაპი „ბაიამ“ მარცხით დაიწყო, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ზუგდიდელები „ვიტ ჯორჯიასთან“ შეხვედრაში, სულ მცირე, ფრეს მაინც იმსახურებდნენ; თუმცა, მატჩის დასაწყისშივე „ბაიას“ კაპიტანი **როინ ონიანი** მოედნიდან გააძევეს და რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილმა ზუგდიდელმა ფეხბურთელებმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, მხოლოდ ანგარიშში სხვაობის შენარჩუნება შეძლეს, სამაგიეროდ, ამას ზედიზედ სამი წარმატებული მატჩი მოჰყვა, თანაც ერთმანეთზე ძლიერ მეტოქეებთან: ელგუჯა ქომეთიანის გუნდმა ჯერ „ტორპედოს“ მოუგო, მერე „დინამოსთან“ ფრედ ითამაშა და შემდეგ, ჩემპიონობის ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტს „ზესტაფონსაც“ აჯობა. საერთოდაც, 11 სექტემბერს ჩატარებული ეს მატჩი პირველ ეტაპზე „ბაიას“ უდავოდ საუკეთესო შეხვედრად უნდა მივიჩნიოთ; აღარაფერს ვამბობთ **გიორგი მეგრელაძის** მიერ შესრულებულ „დუბლზე“: 32 წლის ფორვარდმა სტუმართა სანაქებო მცველებსა თუ მეკარეს მთელი მატჩის განმავლობაში უამრავი თავსატეხი გაუჩინა და ერთიმეორეზე უკეთესი ისეთი გოლებიც გაიტანა, ეფექტურიც რომ უნდა ვუწოდოთ, ჩინებულიც და, რაც მთავარია, დიდოსტატურიც...

სხვათა შორის, VIII ტურამდე „ბაიას“ შემადგენლობიდან სტუმართა კარში გოლები მხოლოდ ორ ფეხბურთელს გაჰქონდა: ვეტერან თავდამსხმელს გიორგი მეგრელაძეს და ახალგაზრდა შემტევს **ლუკა გუგუჩიას.** ამასობაში კი პირველი წრის ფინიშიც ახლოვდებოდა და კულუარებშიც, ჯერ „ჩუმ-ჩუმად“, მერე კი უკვე ხმამაღლა ალაპარაკდნენ „ბაიას“ სერიოზულ ფინანსურ კრიზისზე. არადა, გუნდის სატურნირო მდგომარეობას ნორმალური უფრო ეთქმოდა — „ბაია“ ლიდერთა სიახლოვეს იმყოფებოდა, გიორგი მეგრელაძე კი რვა მატჩში ექვსი გატანილი გოლით იმ მომენტისათვის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ. თუმცა, სექტემბრის ბოლოსთვის „ბაიაში“ ისეთი ამბები მოხდა, ერთი პირობა, გუნდის ჩემპიონატიდან გამოთიშვაზეც წავიდა ლაპარაკი! მიზეზი კი, რაღა თქმა უნდა, უსახსრობა იყო: კარგად გვახსოვს **ელგუჯა ქომეთიანის** იმდროინდელი ნაღვლიანი და პესიმისტური ინტერვიუები, როცა „ბაიას“ მთავარი მწვრთნელი გუნდის ფინანსურ კრიზისზე საუბრობდა. აბა, როგორი საქმეა, როცა თამაშიდან თამაშამდე სავარჯიშო პროცესის ჩატარების ნაცვლად, გუნდის სამწვრთნელო შტაბი... გასვლით მატჩზე გასამგზავრებლად საჭირო პრობლემებზე იფიქრებდა? ეგ კი არა, აღმოსავლეთ საქართველოში წამოსასვლელი ფული რომ არ ჰქონდათ, საწვავს ნისიად იღებდნენ, ხელფას-პრემიებზე ხომ საერთოდ ზედმეტი იყო ლაპარაკი. ამიტომაც იყო, რომ მეორე წრეში, ფაქტობრივად, სახეშეცვლილი „ბაია“ ვიხილეთ: თითქმის ყველა მოწვეულმა ახალწვეულმა გუნდი დატოვა და ელგუჯა ქომეთიანის განკარგულებაშიც მხოლოდ ორი-სამი ადგილობრივი გამოცდილი ფეხბურთელიღა დარჩა; სამაგიეროდ, თავის გამოჩენის შანსი მიეცათ მანამდე დუბლშემადგენლობაში მოასპარეზე ახალგაზრდებს და წინდაწინ უნდა ითქვას, რომ „ბაიას“ მთელ რიგ შეხვედრებში ურიგოდ ნამდვილად არ უასპარეზია. უფრო მეტიც, ღრმა ფინანსურ კრიზისში მყოფმა და ფაქტობრივად, გადახალისებულ-გაახალგაზრდავებულმა გუნდმა მეორე წრეში ორი სიურპრიზიც შემოგვთავაზა: ჯერ იყო და სტუმრად „სიონს“ მოუგო, შემდეგ კი თბილისში „დინამოსთან“ ფრედ ითამაშა. პირველი ეტაპი „ბაიამ“ V ადგილზე კი დაამთავრა, მაგრამ ზუგდიდში არავის აქვს იმის ილუზია, რომ გუნდს რაიმე სერიოზული მიზნები ექნება. „სერიოზულიც“, უმთავრესიც და, საერთოდაც, ერთადერთი მიზანი ყველასათვის ცხადია — გუნდმა როგორმე უნდა შეძლოს და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს. ოლონდ, ჩემპიონატის მეორე და გადამწყვეტ ეტაპზე გუნდს რა შემადგენლობა ეყოლება, ძნელი სათქმელია — „ბაიას“ იმ გადახალისებულ-გაახალგაზრდავებული შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელით ხომ სერიოზულად არიან დაინტერესებული წამყვანი ქართული გუნდები...

### მეკარეები

„ბაიას“ ძირითად მეკარედ გამოცდილი **გიორგი სომხიშვილი** მიიჩნეოდა, მაგრამ, პირველი წრის შემდეგ (უფრო ზუსტად, ფინანსური კრიზისის გაღრმავებისთანავე) მან გუნდი დატოვა; ისევე როგორც მისმა დუბლიორმა, საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა ყველაზე ტანმაღალმა მონაწილემ **ვლადიმერ ზუხბაიამ;** ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მეორე წრეში „ბაიას“ ძირითადი მეკარე 20 წლის **თორნიკე ზარქუა** უნდა გამხდარიყო, ვინც მანამდე დუბლშემადგენლობაში ასპარეზობდა. მეორე წრეში ზარქუამ ცხრა მატჩი ითამაშა და ცხრა გოლი გაუშვა, მაგრამ ამ ახალგაზრდა მეკარის მიმართ სასაყვედურო არავის ჰქონდა; უფრო პირიქით იყო: რამდენიმე შეხვედრა მართლაც მაღალ დონეზე ჩაატარა, განსაკუთრებით კი 5 ნოემბრის მატჩი გვინდა გამოვყოთ, როცა გასვლაზე თბილისის „დინამოსთან“ არაერთი რთული ბურთი მოიგერია და, ფაქტობრივად, მარტომ მოუტანა საკუთარ გუნდს სენსაციური ქულა. სხვათა შორის, ზარქუას შეძენით ამჟამად სერიოზულად არის დაინტერესებული... თბილისის „დინამო“ და ეს ტრანსფერი თუ მართლაც შედგა, პერსპექტიულ მეკარეს პროფესიული წინსვლისთვის მშვენიერი შანსიც მიეცემა.



ბაიას სამწვრთნელო შტაბი პირველ ეტაპზე.
მარცხნიდან: ოთარ გაბელია, ზაურ სვანაძე, ელგუჯა ქომეთიანი



როინ ონიანი

### მცველები

ზარქუას მსგავსად, „დინამოს“ ინტერესის სფეროში „ბაიას“ კიდევ ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელიც მოხვდა: **ნიკა კვეკვესკირს** გასული სეზონი, ალბათ, არასდროს დაავიწყდება. 18 წლის მარჯვენა მცველმა, გუნდში უამრავი ახალწვეულის მოსვლის მიუხედავად, „ბაიას“ ძირითადშიც მყარად დაიმკვიდრა ადგილი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეუცვლელი წევრიც გახდა და ბოლოს, **თემურ ქეცბაიამ** ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახა! ამ სწრაფ და უშიშარ მცველს ტექნიკური არსენალიც არ დაეწუნება და სხვა დადებითი თვისებებითაც დაჯილდოებულია: საპირისპირო ფლანგზეც შეუძლია თამაში და ნახევარდაცვის ცენტრშიც; სხვათა შორის, არც ის ფაქტი უნდა მივიჩნიოთ ჩვეულებრივ ამბად, როცა 18 წლის კვეკვესკირით დაინტერესებას ბუნდესლიგის „კაიზერსლაუტერნი“ იჩენს...

მეორე წრეში „ბაიას“ კიდევ ერთმა მარჯვენაფლანგელმა დაგვამახსოვრა თავი: 20 წლის **დათა რიგვავა** ძირითადში პირველად გამოჩნდა თუ არა, მაშინვე „დუბლი“ შეასრულა (სტუმრად-„სიონთან“), მომდევნო შეხვედრაში კი კიდევ ერთი გოლი გაიტანა. „ბაიას“ ახალგაზრდა მცველებზე ვსაუბრობთ და, რაღა თქმა უნდა, იმავე კვეკვესკირისა თუ რიგვავას გამოცდილი პარტნიორებიც უნდა ვახსენოთ. მით უფრო, „ბაიას“ სატურნირო მდგომარეობა ხომ ბევრად უფრო არასახარბიელო იქნებოდა, **როინ ონიანი** და **ლევან აკობია** ბოლომდე ერთგულნი რომ არ დარჩენილიყვნენ. მძიმე ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, 35 წლის ონიანმა და 30 წლის აკობიამ ახალგაზრდა პარტნიორებს ერთგულების მშვენიერი მაგალითი მისცეს, ხანდახან თავიანთთვის „უცხო“ პოზიციაზეც უწევდათ თამაში, მაგრამ გაჭირვებაში მყოფი გუნდი არ მიატოვეს. სამწუხაროდ, სწორედ „ბაიაში“ ასპარეზობისას დასრულდა **დავით ჭიჭეიშვილის** აქტიური საფეხბურთო კარიერა, ლამის ორ ათეულ წელიწადს რომ ითვლიდა. „ბაიასთვის“ ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი გახლდათ გიორგი კვესიეშვილიც და გუნდმა თუ ეს საიმედო ცენტრალური მცველი მეორე ეტაპზეც შეინარჩუნა, ამ შემთხვევაში ორივე „მხარე“ მოგებული დარჩება.

### ნახევარმცველები

„ბაიას“ თავსდატეხილი ფინანსური კრიზისი ყველაზე მტკივნეულად ამ რგოლს შეეხო: პირველი წრის დასრულებისთანავე გუნდიდან წავიდა ყველა ის ნახევარმცველი, სეზონის დაწყების წინ რომ გამოჩნდა ზუგდიდში; არადა, „ბაიას“ წინასასეზონო ამბიციებს სწორედ ამ კვალიფიციურ ნახევარმცველთა გამოცდილება (გნებავთ, ოსტატობა) უფრო ამტკიცებდა: **ალექსანდრე გოგობერიშვილს, კახა ჩხეტიანს, გრიგოლ დოლიძესა** და **გელა ხუბუას** არაერთ გამორჩეულ ქართულ გუნდში წლების განმავლობაში ასევე არაერთი სეზონი ჰქონდათ გატარებული; თუმცა, მეორე წრეში, „ბაიას“ ნახევარდაცვის ხაზი, ფაქტობრივად, მთლიანად შეიცვალა და ამჯერად წინა პლანზე ის ფეხბურთელები გამოვიდნენ, მანამდე დუბლშემადგენლობაში რომ ასპარეზობდნენ: **შოთა ლომია, ირაკლი მალიჩავა, ლაშა კუკავა**; სამწუხაროდ, ტრავმების გამო პირველი ეტაპის სრულად ჩატარება ვერ მოახერხეს ადგილობრივმა ახალგაზრდა ნახევარმცველებმა: **ლუკა გუგუჩიამ** და **ზვიად სიხარულიამ;** არადა, 19 წლის გუგუჩიაც და 18 წლის სიხარულიაც ჯერ კიდევ პირველ წრეშიც (ანუ, როცა გუნდში არნახული კონკურენცია იყო) ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებად მოიაზრებოდნენ; ისე როგორც „ბაიას“ კიდევ ერთი შემტევი ნახევარმცველი **ლევან წურწუმია.** ეს სწრაფი გარემარბი „ბაიასთვის“ მნიშვნელოვანი ფიგურაა და რამდენიმე ამბიციური ქართული გუნდის ინტერესთა სფეროშიც მოექცა.

### თავდამსხმელები

წლები გადის, მაგრამ გიორგი მეგრელაძის შემთხვევაში თავდამსხმელის ასაკს მნიშვნელობა მართლაც არ უნდა მივანიჭოთ; ამ ფეხბურთელისათვის ხომ მართლაც სულ ერთია, რომელ გუნდში ასპარეზობს — ყველგან ავლენს თავის ჩინებულ გოლიადორულ თვისებებს. საქართველოს ჩემპიონატში მეგრელაძე... უზბეკეთიდან დაბრუნდა და როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, თავის ახალ გუნდში სეზონი მართლაც შთამბეჭდავად დაიწყო. სამწუხაროდ, სექტემბრის ბოლოდან მოყოლებული, მეგრელაძე „ბაიას“ ველარ ეხმარებოდა — ფინანსური პრობლემების გამო გუნდი ამ გამოცდილმა ფორვარდმაც დატოვა; ისე როგორც „ბაიას“ კიდევ ორმა „ხმაურიანმა“ ახალწვეულმა: **ლადო ახალაიამ** და **გიორგი მერაბის ძე ხიდეშელმა.** სამაგიეროდ, მეორე წრიდან ძირითად შემადგენლობაში ვხედავდით **ირაკლი ეხვაიას**: 21 წლის ფორვარდი წინა ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენა გახლდათ, მაგრამ ამ სეზონის დასაწყისში თამაში, ფაქტობრივად, არ უწევდა. არადა, ერთობ საინტერესო თავდამსხმელია და, რაც მთავარია, მშობლიურ გუნდს ერთ-ერთ ყველაზე უპრინციპულეს მატჩში დიდად დაეხმარა: პირველი ეტაპის დასკვნით შეხვედრაში, როცა „ბაიამ“ თავის უშუალო კონკურენტს „სამტრედიას“ 3:1 მოუგო, ეხვაიამ მეტოქის კარში ორი გოლი გაიტანა.

**გია ტუხაშვილი**

### ბაიას ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

| | | |
|---|---|---|
| II ტური: | ვიტ ჯორჯია-ბაია | 2:1 |
| III ტური: | ბაია-ტორპედო | 1:0 |
| IV ტური: | ბაია-დინამო | 0:0 |
| V ტური: | ბაია-ზესტაფონი | 2:1 |
| I ტური: | ბაია-სიონი | 2:2 |
| VI ტური: | ოლიმპი-ბაია | 2:0 |
| VII ტური: | ბაია-სპარტაკი | 1:1 |
| VIII ტური: | ბაია-კოლხეთი | 2:1 |
| IX ტური: | სამტრედია-ბაია | 3:1 |
| X ტური: | სიონი-ბაია | 1:3 |
| XI ტური: | ბაია-ვიტ ჯორჯია | 1:0 |
| XIV ტური: | ბაია-ზესტაფონი | 1:3 |
| XII ტური: | ტორპედო-ბაია | 1:0 |
| XIII ტური: | დინამო-ბაია | 0:0 |
| XV ტური: | ბაია-ოლიმპი | 0:1 |
| XVI ტური: | სპარტაკი-ბაია | 2:0 |
| XVII ტური: | კოლხეთი-ბაია | 1:0 |
| XVIII ტური: | ბაია-სამტრედია | 3:1 |

მეკარეები: თორნიკე ზარქუა-9, გიორგი სომხიშვილი-5, ვლადიმერ ზუხბაია-4;

მცველები: ლევან აკობია-16, ნიკა კვეკვესკირი-14 (1), როინ ონიანი-14, გიორგი კვესიეშვილი-14, დათა რიგვავა-10 (3), ივანე კანდელაკი-9, დავით ჭიჭვეიშვილი-8, თამაზ აკობია-5, ნიკა აფაქიძე-4, მამუკა მაქაცარია-2;

ნახევარმცველები: ლევან წურწუმია-13, ლუკა გუგუჩია-12(2), შოთა ლომია-12, ლაშა კუკავა-11, ზვიად სიხარულია-11, ალექსანდრე გოგობერიშვილი-9, ირაკლი მალიჩავა-9 (2), ლევან ვართაგავა-8, გრიგოლ დოლიძე-8, კახა ჩხეტიანი-6, გელა ხუბუა-4, კონსტანტინე ახალაია-1;

თავდამსხმელები: ირაკლი ეხვაია-11(2), გიორგი მეგრელაძე-8 (6), გიორგი მერაბის ძე ხიდეშელი-5, მურთაზ ჩანგელია-5, ლადო ახალაია-3 (1).

*შენიშვნა: ფეხბურთელების სტატისტიკური მონაცემები აღებულია საიტიდან www.soccerway.com*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპულის ახალი მწვრთნელი

# კენიალური გადაწყვეტილება

## ლივერპულში ლეგენდა დაბრუნდა



„ლივერპული“ ადასტურებს, რომ ორმხრივი თანხმობის შედეგად გუნდის მწვრთნელი **როი ჰოჯსონი** თანამდებობიდან გადადგა. სეზონის ბოლომდე მის საქმეს „ენფილდ როუდის“ შოტლანდიელი ლეგენდა **კენი დალგლიში** იტვირთავს - ადამიანი, რომლის მწვრთნელად მიყვანას ასე ითხოვდნენ ფანები. კლუბის ამერიკელმა მეპატრონე **ჯონ ჰენრიმ** განაცხადა:

*„დიდ მადლობას ვუხდით როის იმ შრომისა და მონდომებისთვის, რომელიც მან ბოლო ექვსი თვის განმავლობაში გასწია, მაგრამ ამ ეტაპზე როგორც კლუბის ხელმძღვანელები, ასევე თავად ჰოჯსონი, მივიჩნევთ, რომ შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი მისი გადადგომაა. ჩვენ მას საუკეთესო სურვილებით ვემშვიდობებით. რაც შეეხება კენის, ის მხოლოდ დიდი ფეხბურთელი როდი იყო. ჩვენს კლუბს ისტორიაში სამი დიადი მწვრთნელი ჰყავდა და ის მათ შორის მესამე გახლდათ. „ლივერპულს“ ძალიან გაუმართლა, დალგლიში თანამდებობაზე შუა სეზონში რომ დაგვთანხმდა“.*

გამომშვიდობებისას ზრდილობიანი სიტყვები თქვა ჰოჯსონმაც, თუმცა მის ნათქვამში საყვედურიც იგრძნობოდა: *„ისეთი გუნდის სათავეში ყოფნა, როგორიც „ლივერპულია“, დიდი პატივი იყო. ამხელა ისტორიის მქონე გუნდში მუშაობა ნებისმიერი მწვრთნელისთვის დიდი პატივი იქნებოდა. იმავდროულად, გული მწყდება, რომ საკუთარი სიტყვის თქმა არ დამცალდა. კარგი იქნებოდა ტრანსფერების პერიოდში ახალი ფეხბურთელების შეძენის საშუალება მომცემოდა და ახალი გუნდი ამეწყო“.*

ამის შემდეგ ჰოჯსონმა დიდი მადლობა გადაუხადა იმ ფეხბურთელებს, რომლებთან ერთად მუშაობამ მოუწია და რასაკვირველია, საგანგებო სიტყვებით ფანებიც შეაქო.

59 წლის კენი დალგიშმა კი მერსისაიდელთა ხელმძღვანელების ტექსტური შეტყობინება არაბეთში მიიღო - „ლივერპულის“ ლეგენდა მეუღლე **მარინასთან** ერთად ბაჰრეინის კურორტზე ისვენებდა. საგზური შვიდდღიანი იყო და ცოლ-ქმარს მზეზე მიფიცხების ორი დღელა რჩებოდა, როდესაც კლუბმა, რომელსაც დალგლიში ბოლოს 20 წლის წინ ედგა სათავეში, კვლავ მწვრთნელობა შესთავაზა. ლეგენდამ თანხმობა განაცხადა.

ცნობისთვის: სამსახურიდან გაშვებული ჰოჯსონის მხარდასაჭერად ხმა „ასტონ ვილას“ ფრანგმა თავკაცმა, თავად კრიტიკის ქარცეცხლში მყოფმა **ჟერარ ულიემ** ამოიღო. კაცმა, რომელიც 1998-2004 წლებში თავად ედგა სათავეში „წითლებს“ და გუნდს უეფას თასის გარდა ევროპის სუპერთასი, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი, ორჯერ ინგლისის ლიგის თასი და „ქომუნითი შილდი“ მოაპოვებინა, თქვა: *„საკმარისია ზედიზედ ორი თამაში წააგო, რომ საშინელი ზეწოლის ქვეშ ხვდები. ჰოჯსონის მდგომარეობა კარგად მესმის და თანავუგრძნობ მას, თუმცა კენი ჩემი მეგობარია. ჩვენ წლების განმავლობაში საუკეთესო ურთიერთობა გვაქვს“.*

საინტერესოა, რომ დალგლიში უპირველეს ამოცანად „ლივერპულის“ ესპანელი ფორვარდის, **ფერნანდო ტორესის** ფორმის აღდგენა მიაჩნია. ის ამბობს, რომ თავდამსხმელს საკუთარი ძალების რწმენა აქვს დაკარგული. სანამ „ლივერპულის“ მწვრთნელი გახდებოდა, „დეილი მეილისთვის“ დაწერილ სვეტში ის ამბობდა:

*„რად უნდა ლაპარაკი, რომ მიმდინარე სეზონში ფერნანდო ძველებურად შედეგიანი ვეღარ არის, თუმცა ისიც უნდა დავინახოთ, რომ მთლიანად გუნდი ვეღარ თამაშობს ისე, წინა წლებში რომ თამაშობდა. ტორესის კრიტიკა ბევრჯერ მომისმენია, მაგრამ არ ვეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ის, როგორც ფორვარდი ვეღარ ივარგებს. მე ფერნანდო ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს თავდამსხმელად მიმაჩნია და მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, რომ ის ასეთ ცუდ ფორმაშიც კი „ლივერპულის“ საუკეთესო ბომბარდირია“.*

სკანდალი

# ჯონ ტერი - ჩქარი მატარებელი

„ჩელსის“ კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** უცნაურ შარში ამოყო თავი. ძალიან საეჭვოა ამ ისტორიამ ტერის რამე დააკლოს, მაგრამ სეირისა და განსჯისთვის საინტერესოა. ამბავი, რომელსაც მოგახსენებთ, გასულ ოთხშაბათს, ვულვერჰემპტონის სტადიონ „მოლინიუზე“ მოხდა, როდესაც 30 წლის ტერი სტადიონის სტიუარდს, 39 წლის **პატრიკ სტიდმენს** ეძგერა, მუჯლუგუნი ჰკრა და, რაღაც მანქანებით კისერზე კვალიც დააჩნია. შეგახსენებთ, რომ იმ დღეს ჯონ ტერიმ და მისმა „ჩელსიმ“ მორიგი თამაში წააგეს და თან, შეხვედრის ერთადერთი გოლი საკუთარ კარში შეაგდეს - ეს **ჟოზე ბოსინგვამ** „მოახერხა“.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, შეხვედრის ერთ-ერთ ეპიზოდში ბურთი მოედნის ფარგლებს მიღმა გადავარდა და ზორბა ტანის სტიუარდმა მისი „ვულვერჰემპტონის“ მეკარე **უეინ ჰენესისთვის** დაბრუნება გადაწყვიტა - თამაში მასპინძელთა გოლკიპერს უნდა გაეგრძელებინა. ზემოთ ნახსენები ბოსინგვას ავტოგოლი, თამაშის დასაწყისში, მე-5 წუთზევე გავიდა და შესაბამისად, ლონდონელები დანარჩენი 85 წუთის განმავლობაში გაღიზიანებულები გახლდნენ და ჩქარობდნენ. გაღიზიანებული იყო და ჩქარობდა ტერიც, რომელმაც სტიუარტ სტიდმენს გაქანების საშუალება არ მისცა, მკერდში ხელი ჰკრა და ბურთი თვითონ დაუბრუნა „ვულვზის“ მეკარეს. 39 წლის კაცი 26 ათასი მაყურებლის წინაშე კინაღამ გადაყირავდა. ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ: თავმოყვარეობა სტიუარდებსაც აქვთ!

პატრიკ სტიდმენმა, რომელიც ვულვერჰემპტინში კი ცხოვრობს, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივარია, მეორე დღეს პოლიციას მიმართა. მომხდარს თავად ასე ჰყვება: *„ბურთი ჩემ გვერდით ბარიერს მოხვდა და მე მის ასაღებად გადავიწიე. თამაშს არანაირად არ ვაბრკოლებდი, მაგრამ გადავიხარე თუ არა ჯონ ტერი მოვარდა, მუჯლუგუნი მკრა, ბურთს დაეტაკა და მეკარეს თავად გადაუგდო. ამან, რასაკვირველია შეურაცხმყო, მით უმეტეს, რომ თან, რაღაც ცუდი სიტყვა ჩაიბურტყუნა“.*

რაც შეეხება კისერზე ნაკვალევსა და ტკივილს, ეს, სამი შვილის მამამ, რომელსაც „მოლინიუზე“ ერთ შეხვედრაში 22 ფუნტს უხდიან, მეორე დილით შეამჩნია და იგრძნო. მან თქვა: *„დილით კისერთან, მარცხენა მხარეს მძაფრმა ტკივილმა გამაღვიძა. თავს ვერ ვატრიალებდი. ექიმმა ნახა და მითხრა, რომ რაღაც ნაკვალევი მაქვს. ტკივილის გამო სამსახურის გაცდენა მომიხდა. მე არც ისე სუსტი ადამიანი ვარ და ასეთი კვალი რომ დამაჩნიო, ღონივრად უნდა დამეძგერო“.*

ვესტ მიდლენდის პოლიციამ თავიდან საქმეს მოჰკიდა ხელი, მაგრამ ეპიზოდის ვიდეოჩანაწერი რომ ნახა, გამოძიება იქვე დაასრულა. პოლიციის პრესმდივანმა განაცხადა, ჩანაწერის ნახვა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, მეტს არაფერს ვილონებთო. ამ პასუხმა სტიდმენი აღაშფოთა.

*„ისინი ჯონ ტერის ხელს იმიტომ აფარებენ, რომ ის დიდი ფეხბურთელია. მთელმა სტადიონმა დაინახა, რაც მოხდა სინამდვილეში. სასამართლოში საჩივრის შეტანა მირჩიეს და მეც სწორედ ამას ვაპირებ“.*

**ჯეკ ჰარისის** სახელობის ტრიბუნიდან მომხდარი კარგად დაინახა 30 წლის გულშემატკივარმა **გარი რიჩარდსმა**, რომელმაც თქვა:

*„ტერის აშკარად არ ეგონა, რომ სტიუარდი ასე ჩქარა წავიდოდა ბურთისკენ და მისკენ ჩქარი მატარებელივით გამოქანდა. მან ცალ მხარეს გაჰკრა ხელი“.*

„ჩელსის“ პრესმდივანმა კი პარტიკ სტიდმენის პრეტენზიას სასაცილო უწოდა. მან თქვა:

*„ვიდეოჩანაწერზე ნათლად ჩანს, რომ ამ სიტუაციაში ნებისმიერი ჩივილი სასაცილოა“.*

ცნობისთვის: შარშან ჯონ ტერი შემთხვევით „სტემფორდ ბრიჯის“ სტიუარდსაც დაეჯახა და ფეხი მოსტეხა.

ტრანსფერი

# უტექნიკო აყლაყუდა სიტიში გადავიდა




**ედინ ჯეკო** „ვოლფსბურგიდან“ „მანჩესტერ სიტიში“ გადავიდა. გარიგება შედგა, პრემიერლიგის კლუბმა 27 მილიონი ფუნტი გადაიხადა. 24 წლის ბოსნიელმა ისტლენდელებთან ოთხწელიწადნახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ათნომრიანი მაისურა მიიღო - ამ ნომრით ადრე **რობინიო** გამოდიოდა. ჯეკომ „სიტის“ ოფიციალურ ვებგვერდზე დაწერა:

*„ჩემი აქ გადმოსვლის შესახებ მოლაპარაკებები გასული ზაფხულიდან მიმდინარეობდა, მაგრამ „ვოლფსბურგს“ ჩემი გაყიდვა დღევანდლამდე არ სურდა. პრესაში ამ საკითხზე რას არ წერდნენ, მე კი მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ საბოლოოდ „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი უნდა გავმხდარიყავი. ასეთ დროს თუ პრესას აჰყევი, შეიძლება ძალიან დაიბნე და შენი მთავარი საქმე, ფეხბურთის თამაში გვერდით დაგრჩეს. „სიტი“ მიმდინარე სეზონში ჩინებულად თამაშობს და ახლა, როდესაც ყოველგვარი გაუგებრობა და ჭორი წარსულს ჩაბარდა, ერთი სული მაქვს, როდის ჩავებმები საქმეში. ყველა ამბობს, რომ „სიტის“ ბევრი ფული აქვს და მე აქ ამიტომ გადმოვედი, მაგრამ გარწმუნებთ, ჩემთვის მთავარი ამბიციაა. მწვრთნელ რობერტო მანჩინის ველაპარაკე და მან დამარწმუნა, რომ დღეს ჩემთვის „სიტიზე“ უკეთესი გუნდი არ არსებობს. ეს გუნდი პრემიერლიგის ჩემპიონობისთვის იბრძვის და მე სწორედ ეს მომწონს. ძალიან მინდა ტევესისა და ტურეს მხარდამხარ ვითამაშო. ეს ფეხბურთელები აქამდე მხოლოდ ტელევიზორში მყავდა ნანახი. მანჩესტერელი ფეხბურთელებიდან მხოლოდ ბოატენგსა და კომპანის შევხვედრივარ მოედანზე როგორც მეტოქე. იმედი მაქვს, რომ ეს ფეხბურთელები ოსტატობის დახვეწაში დამეხმარებიან და ისტლენდელ მაყურებელს ვაჩვენებ, რატომ მიხდის მათი საყვარელი კლუბი ხელფასს“.*

ედინ ჯეკო სარაევოშია დაბადებული. სიმაღლით ის 192 სანტიმეტრია, წონით - 80 კილოგრამი. კარიერა 2003 წელს სარაევოს „ჟელეზნიჩარში“ ცენტრალურ ნახევარმცველად დაიწყო. ტანმაღალ ახალგაზრდას უტექნიკოდ მიიჩნევდნენ და მისგან ბევრს არაფერს ელოდნენ. ერთადერთი კაცი, ვისაც ჯეკოს შესაძლებლობებისა სწამდა, ჩეხი მწვრთნელი **ირჟი პლიშეკი** გახლდათ და როდესაც ის სარაევოდან მშობლიურ ჩეხეთში დაბრუნდა, „ტეპლიცეს“ პატრონებს დიდი აგიტაცია გაუწია, აწონილ ფეხბურთელში 25 ათასი ევრო რომ გადაეხადათ. გარიგება შედგა, სარაევოში სიხარულით ცას ეწიენ, ჩეხები გავაბრიყვეთო. თუმცა, თავიდან „ტეპლიცეც“ ვერ გაერკვა ახალგაზრდა მოთამაშის ნიჭსა და უნარში და ის მეორე დივიზიონის კლუბ „უსტი ნად ლაბემში“ გააქირავა სადაც... ჯეკო თავდამსხმელად გადაიყვანეს და მანაც 15 შეხვედრაში 6 გოლი გაიტანა. იმავე წლის მეორე ნახევარში ბოსნიელი „ტეპლიცეში“ დაბრუნდა და გოლის გოლზე გატანას შეუდგა. 2006-07 წლების სეზონში ედინ ჯეკო უკვე ჩეხური „გამბრინუს ლიგის“ საუკეთესო ბომბარდირი გახდა - 30 შეხვედრაში 13 გოლი შეაგდო. სწორედ „ტეპლიცეში“ ნაჩვენები ფეხბურთით მოხიბლა ახალგაზრდა ფორვარდმა „ვოლფსბურგის“ თავკაცი **ფელიქს მაგათი**. მაგათმა ჯეკოში 4 მილიონი ევრო გადაიხადა.

ბუნდესლიგაში ბოსნიელის დებიუტი ეფექტური გამოდგა: 11 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასიც გადააწოდა. საბოლოოდ, იმ სეზონში, 17 თამაშში მან 8 შეაგდო და ამდენივე საგოლე გადაცემა შეასრულა. მას მერე დაიწყო და დაიწყო - სტატისტიკით აღარ გადაგღლით და გეტყვით, რომ ჯეკო 2009 წლის „ოქროს ბურთის“ 30 ნომინანტს შორისაც კი მოხვდა. ამიერიდან ის „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელია. მის სუსტ თვისებებად დაცვაში თამაშსა და ფეთქებად ბუნებას მიიჩნევენ.

დაპირისპირება

# როგორ გაგიჟდა მანჩინი...

**როზერტო მანჩინი** თავისი ფეხბურთელებისგან ნებისმიერ გამოხდომას აიტანს და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ახალგაზრდობაში თვითონ ათჯერ უარესი იყო. გუშინ ფეხბურთის ასოციაციის თასზე, მანჩინის „მანჩესტერ სიტი“ მისი „სამპდორიასა“ და „ლაციოს“ პერიოდის თავკაცის **სვენ გორან ერიკსონის** „ლესტერს“ შეხვდა - ეს იყო ერიკსონისა და მანჩინის პირველი დაპირისპირება ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ გაახსენდა ბრიტანულ პრესას ერთი ძველი ამბავი, რომელიც მანჩინის ექვსთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასრულდა. დღეს ისტლენდელების თავკაცი აღიარებს, რომ ყველაფერი მისი ბრალი იყო: *„დამნაშავე თავიდან ბოლომდე მე ვიყავი, რადგან ძალიან ახალგაზრდა გახლდით“.*

ძალიან ახალგაზრდისა რა მოგახსენოთ, რობერტო მანჩინი იმხანად 30 წლისა იყო და „სამპდორიაში“ თამაშობდა. ერიკსონის დამოძღვრილი გენუელები „ინტერს“ ხვდებოდნენ. მატჩის ერთ-ერთ ეპიზოდში მეტოქემ მანჩინი საჯარიმოში წააქცია, მსაჯმა კი არათუ პენალტი არ დანიშნა, სიმულაციისთვის „მანჩო“ გააფრთხილა. ამ უსამართლობამ ფეხბურთელი გადარია. მან ნერვები ვეღარ მოთოკა და საქმე იქამდე მივიდა, რომ მეკარე **ჯანლუკა პალიუკა** იძულებული გახდა გამოვარდნილიყო და თავდამსხმელი ჩაებღუჯა. პალიუკა 16 წლის წინანდელ ამბავს ასე იგონებს:

*„რობერტო ისე იქცეოდა, გეგონება მსაჯს შეჭმას უპირებდა. შემეშინდა, რამე ისეთი არ ექნა, რის გამოც ფეხბურთის თამაშს სამუდამოდ აუკრძალავდნენ“.*

მანჩინი კი მართლა აღარ იყო სრულ ჭკუაზე: კაპიტნის სამკლავური მოიგლიჯა და ერიკსონს მიაყვირა, მოედანზე ცხოვრებაში აღარ გავალო. შვედ მწვრთნელს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, ფეხბურთელი მოედანზე რომ დაებრუნებინა, მაგრამ, თურმე ნუ ჩქარობ - დაბრუნდა „მანჩო“ მოედანზე და **პოლინსს** ეკვეთა, რაც მსაჯმა ვეღარ აიტანა და ის მოედნიდან გააძევა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას მერე 16 წელიწადი გავიდა და ახლა, რობერტო მანჩინის თავისი შეგირდების „ოფოფებთან“ უწევს გამკლავება. ხან **კარლოს ტევესი** აუწევს ხმას, ხან **ემანუელ ადებაიორი** და **კოლო ტურე** დააყრიან ერთმანეთს მუშტებს ვარჯიშის დროს.

თუმცა ზემოთ მოყოლილი ინციდენტის მიუხედავად ერიკსონი მანჩინის ძალიან კარგად იხსენებს. მათი თანამშრომლობა განსაკუთრებით ნაყოფიერი „ლაციოში“ გამოდგა.

*„სამ წელიწადში „ლაციომ“ ექვსი თუ შვიდი ჯილდო მოიგო და ეს დიდწილად რობერტო მანჩინის დამსახურება იყო. ის ფეხბურთელობის დროსაც კი მწვრთნელივით იყო. ყველაფერს კისრულობდა, ჩანთების თრევით დაწყებული, ავტობუსის მძღოლობით დამთავრებული. „სამპდორიაში“ რომ ვიყავით, ვარჯიშის წინ სწორედ ის ამოწმებდა ყველაფერი რიგზე იყო თუ არა. რამდენჯერ მითქვამს: „მანჩო“, ნუ იღლები, ყველაფრის შემოწმება დაგქანცავს, შენ კი კვირას ფეხბურთი უნდა ითამაშომეთქი. არავინ იფიქროთ, რომ რობერტო მანჩინი მშვიდი ადამიანია. ის ვერასდროს ისვენებს.*

*მესმის ჭორები, რომ „მანჩესტერ სიტიში“ მას კონფლიქტებთან უწევს გამკლავება. იცით, რას გეტყვით: „მანჩო“ მენტალურად ძლიერი ადამიანია და ყოველთვის ზუსტად იცის ფეხბურთელისგან რა უნდა. ის მოედანზე ჩემი წარგზავნილი გახლდათ. ფეხბურთელებს რაც საჭირო იყო, იმას აკეთებინებდა. ხანდახან, თუ დაინახა, რომ ვიღაცას ერთი რამ დაავალა, ის კი მეორეს აკეთებს, შესაძლოა გადაირიოს“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი

### I ლიგა

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ბორნმუთი-პლიმუტი | 3:0 |
| დაგენჰემი-როჩდეილი | 0:1 |
| ექსეტერი-მილტონი | 1:1 |
| ოლდჰემი-სუინდონი | 2:0 |
| ტრანმერი-უოლსოლი | 3:3 |
| იეოვილი-ბრენტფორდი | 2:0 |

### II ლიგა

XXVI ტური

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-ბერი | 1:0 |
| ოლდერშოტი-ოქსფორდი | 1:2 |
| ბრედფორდი-ბარნეტი | 1:3 |
| ქრიუ-უიკომბი | 3:0 |
| ნორთჰემპტონი-ჩელტენემი | 1:1 |
| შრიუსბერი-მორეკამბი | 1:3 |
| საუთენდი-ჩესტერფილდი | 2:3 |
| სტოკპორტი-ჯილინგემი | 1:5 |

### კონფერენსი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ბაროუ-კემბრიჯი | 1:2 |
| ბეტი-ლუტონი | 0:0 |
| დარლინგტონი-უიმბლდონი | 0:0 |
| ფორესტ გრინი-ფლიტვუდი | 1:0 |
| გეიტშიდი-კიდერმინსტერი | 2:2 |
| ჰეიესი-ტამუორტი | 2:1 |
| რაშდენი-ალტრინჩემი | 1:2 |
| საუთპორტი-ნიუპორტი | 2:1 |
| რექსჰემი-გრიმსბი | 2:0 |
| ისტბურნი-მენსფილდი | 1:3 |

## ინგლისის თასი

### 1/32 ფინალი

| | |
|---|---|
| არსენალი-ლიდსი | 1:1 |
| მილუოლი-ბირმინგემი | 1:4 |
| ნორვიჩი-ლეიტონი | 0:1 |
| ბრაიტონი-პორტსმუთი | 3:1 |
| უოტფორდი-ჰარტლპული | 4:1 |
| სანდერლენდი-ნოტსი | 1:2 |
| სტოკი-კარდიფი | 1:1 |
| ტორკი-კარლაილი | 1:0 |
| სკანთორპი-ევერტონი | 1:5 |
| პრესტონი-ნოტინგემი | 1:2 |
| ბლექბერნი-ქუინზ პარკი | 1:0 |
| სუონსი-კოლჩესტერი | 4:0 |
| საუთჰემპტონი-ბლეკპული | 2:0 |
| ჰალი-უიგანი | 2:3 |
| დონკასტერი-ვულვზი | 2:2 |
| ჰადერსფილდი-დოვერი | 2:0 |
| ვესტ ჰემი-ბარნსლი | 2:0 |
| რედინგი-ვესტ ბრომვიჩი | 1:0 |
| ბოლტონი-იორკი | 2:0 |
| ბარტონი-მიდლსბრო | 2:1 |
| შეფილდი-ასტონ ვილა | 1:3 |
| ლინკოლნი-ჰერეფორდი | 3:4 |
| ბარნსლი-პორტ ვეილი | 4:2 |
| ქოვენთრი-კრ. პალასი | 2:1 |
| ბრისტოლი-უენსდი | 0:3 |
| ფულჰემი-პიტერბრო | 6:2 |
| სტივენიჯი-ნიუკასლი | 3:1 |
| ტოტენჰემი-ჩარლტონი | 3:0 |
| მანჩესტერ იუნ-ლივერპული | 1:0 |
| ჩელსი-იფსვიჩი | 7:0 |
| ლესტერი-მანჩესტერ სიტი | 2:2 |
| ქროული-დერბი | დღეს |

## საფრანგეთის თასი

### 1/32 ფინალი

| | |
|---|---|
| ტულუზა-პარიზი | 1:2 |
| შამბერი-მონაკო | 1:1 პენ. 3:2 |
| კრეტეი-ნიცა | 1:1 პენ. 5:6 |
| ტრუა-მეცი | 2:3 დ.დ. |
| პუასი-სტრასბური | 1:2 |
| ჰასკელი-ოსერი | 2:1 |
| შოვინი-ლე მანი | 1:3 |
| ნანტი-კონიაკი | 3:1 |
| ავრანში-ფონტენეი | 1:3 |
| მონბანარდი-დრანსი | 0:0 პენ. 6:7 |
| არლი-სედანი | 1:1 პენ. 2:4 |
| ფორბაში-ლილი | 1:3 |
| ნიმი-ფრეჟუსი | 3:2 |
| ბორდო-რუანი | 3:1 |
| ანჟერსი-ვალანსი | 2:1 დ.დ. |
| ტრესილაკი-კევილი | 0:1 |
| შერბური-ლე პუარი | 1:0 |
| კაენი-ლიონი | 0:1 |
| ჰაკ-ლანსი | 5:1 |
| ლორიანი-ვანი | 4:1 |
| რეიმსი-მონპელიე | 1:0 |
| ქარვილი-სოშო | 0:1 |
| სტ. ეტიენი-კლერმონი | 0:2 |
| ორილიაკი-ნანსი | 2:2 პენ. 3:4 |
| მარტიგი-შემინო | 2:1 |
| აგენი-პუატიე | 2:0 |
| ისი-ბრესტი | 0:1 დ.დ. |
| რაონი-სეზანი | 4:0 |
| ბულონი-ამიენი | 2:2 პენ. 7:6 |
| რენი-კანი | 7:0 |
| ევიანი-მარსელი | 3:1 |
| ვოლქსი-ჟურა სუდი | გადაიდო |

## უელსი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ბანგორი-ჰავერფორდვესტი | 6:0 |
| ლანელი-ბალა | 3:1 |
| პორტ ტელბოტი-ნიუთაუნი | 3:0 |
| ებერისტვითი-ტნს | 0:2 |

## აზიის თასი

| | |
|---|---|
| კატარი-უზბეკეთი | 0:2 |
| ქუვეითი-ჩინეთი | 0:2 |
| იაპონია-იორდანია | 1:1 |
| ს. არაბეთი-სირია | 1:2 |

## ბელგია

### II დივიზიონი

XX ტური

| | |
|---|---|
| ბორინაჟი-ჰევერლე | 2:3 |
| ვაასლანდი-ტურნე | 0:0 |
| ანტვერპენი-ტურნჰაუტი | 2:0 |
| სტანდარდი (ვ)-მონსი | 2:3 |
| ბრიუსელი-ოსტენდე | 1:0 |
| დენდერი-ტუბეკე | 2:3 |
| ჰაისტი-ვიზე | 2:3 |
| ლომელი-რუსელი | 4:1 |
| ტინენი-რუზელარე | 2:1 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XIII ტური

| | |
|---|---|
| პენაფიელი-ჟილ ვისენტე | 2:2 |
| ბელენენსეში-ოლივეირენსე | 3:3 |
| ესტორილი-ფეირენსე | 0:1 |
| ტროფენსე-არუკა | 0:1 |
| ავეში-სანტა კლარა | 2:1 |
| ფრეამუნდე-ლეიქსოეში | 3:3 |
| ფატიმა-კოვილია | 1:1 |
| ვარზიმი-მორეირენსე | 1:1 |

## შოტლანდიის თასი

### 1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| აბერდინი-ისტ ფაიფი | 6:0 |
| დანდი იუნ-როსი | 0:0 |
| ჰემილტონი-ალოა | 2:0 |
| ჰიბერნიანი-ეირი | 0:0 |
| ინვერნესი-ელჯინი | 2:0 |
| მონროუზი-დანფერმლაინი | 2:2 |
| სტ. მირენი-ჰიტერჰედი | 0:0 |
| დანდი-მოზერველი | 0:4 |
| ბირუიკი-სელტიკი | 0:2 |

## კვიპროსი

XVI ტური

| | |
|---|---|
| დოქსა-აეკ | 1:4 |
| აპოლონი-ეთნიკოსი | 1:1 |
| ანორთოსისი-აპოელ | 2:0 |
| აეპ-აპოპ | 0:0 |
| ენოსისი-ოლიმპიაკოსი | 1:3 |
| ერმისი-აელ | 0:0 |

## საბერძნეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| კავალა-ლარისა | 1:0 |
| პანათინაიკოსი-არისი | 1:0 |
| ერგოტელისი-ოლიმპიაკოსი (ვ) | 0:0 |
| ირაკლისი-ატრომიტოსი | 1:0 |
| პანიონიოსი-ქსანტი | 0:2 |
| პანსერაიკოსი-აეკ | 1:3 |
| პაოკ-ასტერასი | 1:0 |
| კერკირა-ოლიმპიაკოსი (ვ) | 0:2 |

### II დივიზიონი

XVII ტური

აგროტიკოსი-ეთნიკოსი (პ) 0:1; დოქსა-ანაგენისი 4:0; ლევადია-იონიკოსი 2:1; პანაიტოლიკოსი-ილუპოლი 2:0; ტრასივულოსი-კალითეა 3:2; ტრიკალა-დიაგორასი 1:0; ვერია-ეთნიკოსი (ა) 2:0; პიერიკოსი-პანთრაკიკოსი დღეს; იანინა-ოფი დღეს.

## ისრაელი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ბნეი იეჰუდა-ჰაპოელი (ბ-შ) | 0:0 |
| ჰაპოელი (პ)-ჰაპოელი (რ-გ) | 2:0 |
| ჰაპოელი (აკ)-ჰაპოელი (პ-თ) | 3:0 |
| ირონი-აშდოდი | 3:0 |
| მაკაბი (ნ)-ბნეი სახნინი | 1:0 |
| ჰაპოელი (აშ)-ჰაპოელი (თ-ა) | 0:2 |
| მაკაბი (პ-თ)-მაკაბი (ჰ) | 1:3 |

## მექსიკა

I ტური

| | |
|---|---|
| ნეკაქსა-ხაგუარესი | 0:1 |
| კრუს ასული-ტეკოსი | 4:1 |
| მონტერეი-სან ლუისი | 0:2 |
| კერეტარო-ტიგრესი | 2:2 |
| ს. ლაგუნა-ატლანტე | 2:1 |
| ატლასი-მორელია | 5:0 |
| ტოლუკა-პუმასი | 1:1 |
| პუებლა-გვადალახარა | 1:1 |
| ამერიკა-პაჩუკა | გვ. დასრულდა |

## ავსტრალია

XV ტური

| | |
|---|---|
| სიდნეი-გოლდ კოსტი | 2:0 |
| ნ. ქუინსლენდი-ნიუკასლი | 1:3 |
| მელბურნ ვ.-ადელაიდა | 1:4 |
| სენტრალი-ველინგტონი | 1:0 |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| დუისბურგი-ვერდერი | 4:1 |
| გენჩლერი-ჰერაკლესი | 0:2 |
| შტუტგარტი-ფიურტი | 3:1 |
| ფრაიბურგი-თუნი | 3:0 |
| ჰამბურგი-აიაქსი | 4:2 |
| ჰერტა-სტანდარდი | 2:1 |
| ალ ვაქრა-ბაიერნი | 0:4 |
| ბურსა-ნიურნბერგი | 0:1 |
| გალათასარაი-ჰანოვერი | 3:0 |
| ტალინა-სკონტო | 2:4 |
| უნიონი-ტეპლიცე | 4:0 |
| ბაზელი-დორტმუნდი | 0:4 |
| ქარაბუქი-შალკე | 0:3 |
| ანკარაგიუჯიუ-ბოხუმი | 0:0 |
| ოსნაბრიუკი-ლევერკუზენი | 0:3 |
| ტვენტე-ჰოფენჰაიმი | 1:1 |

## პროტესტი



# ანჩელოტის სადილი უნდა

როდესაც **კარლო ანჩელოტის** უთხრეს, თქვენ წინააღმდეგ დღეს მარტო ერთი კაცი გამოდიოდაო, იტალიელმა ღიმილით მიუგო: *„მარტო ერთი?"*

ანჩელოტი გახლავთ მწვრთნელი, რომლის ხელმძღვანელობითაც „ჩელსის" ბოლო 15 წელიწადში ყველაზე ცუდი შედეგი აქვს და საწვრთნელი ცენტრის წინ ამიტომაც ელოდა მრავალრიცხოვან საპროტესტო აქციას. ერთადერთი პროტესტანტის მიერ გამოფენილ ორ პლაკატზე კი ეწერა: „წავიდნენ ანჩელოტი და აბრამოვიჩი!" და „არც ერთი თქვენგანი არ არის ჩვენი მაისურის შესაფერისი", - ეს, მეორე ლოზუნგი ინგლისურად გარითმულია.

ამის შემყურე იტალიელმა თქვა, რომ მის სამშობლოში ბაზაზე მისულს გაცილებით უარესი ამბავი დახვდებოდა.

*„მარტო ერთი კაცი იყო? ერთი კაცი საშიში არ არის. აი, იტალიაში ყველაფერი სხვანაირადაა. საწვრთნელი ცენტრის ჭიშკართან ათასი კაციც კი შეიძლება მოგროვდეს. ერთ კაცთან დაილაპარაკებ, ათასთან გამკლავება ძნელია".*

გასული კვირის შუაში „ვულვერჰემპტონთან" 0:1 დამარცხების შემდეგ ინგლისის ჩემპიონი, რომელიც სეზონის დასაწყისში ცხრილს შთამბეჭდავი უპირატესობით ლიდერობდა, მეხუთე ადგილზეა, თუმცა ანჩელოტის სწამს, რომ კლუბის ხელმძღვანელები კვლავ მას უჭერენ მხარს.

*„ასეთ დროს მწვრთნელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მას მხარს უჭერენ კლუბის ხელმძღვანელები, მოთამაშეები და ფანები, ერთი კაცის გარდა. ასეთ პირობებში მდგომარეობის სწრაფად გამოსწორება შეიძლება. ხომ ხედავთ, პრობლემა შეფებთან, ფეხბურთელებთან ან ფანებთან ურთიერთობაში კი არ არის, თამაშშია. ჩვენ მოედანზე არ ვვარგივართ. რთულმა პერიოდმა იმდენ ხანს გასტანა, რომ გუნდმა საკუთარი თავის რწმენა დაკარგა. მე დღეს „ჩელსიში" ყველა დავარწმუნე, რომ ცუდად თამაშის მიზეზები მოედანზე უნდა ვეძებოთ, მის გარეთ კი არა".*

ზემოთ 15 წელიწადში ყველაზე ცუდი შედეგი ვახსენეთ. მართლაც, 10 შეხვედრაში მარტო ერთი გამარჯვება „ლურჯებს" 1995-96 წლების სეზონის შემდეგ არ ახსოვთ. მაშინ გუნდს **გლენ ჰოდლი** ედგა სათავეში.

ანჩელოტის კლუბის მეპატრონე **რომან აბრამოვიჩთან** შეხვედრაზე ჰკითხეს. ჟურნალისტებს აინტერესებდათ, ხომ არ აპირებს მილიარდერი მწვრთნელთან პირისპირ ლაპარაკს. იტალიელმა უპასუხა:

*„რომანს ჩემთან შეხვედრა არ დაუნიშნავს. დირექტორატის სხვა წევრებთან ერთად კი სატრანსფერო ბაზარს ვსწავლობთ და გარკვეულ ვარიანტებს ვამუშავებთ. რასაკვირველია, ყველას კიდევ უფრო დაწვრილებით აინტერესებს ჩვენი ბოლოდროინდელი წარუმატებლობის მიზეზები და მე ამაზე ლაპარაკი რასაკვირველია, შემიძლია, მაგრამ საამისოდ სადილად დასხდომა იქნება საჭირო".*

**ილია ბაბუნაშვილი**

## ამბები

# პრემიერლიგური წყვილი რამდენიმეა

გუშინ ინგლისის ასოციაციის თასის მეთექვსმეტედფინალის წილისყრა გაიმართა და რამდენიმე საინტერესო წყვილიც მივიღეთ. სხვათაგან უნდა გამოვარჩიოთ "ევერტონი"-"ჩელსისა" და "ფულჰემი"-"ტოტენჰემის" მოახლოებული დაპირისპირებები. როგორც იცით, ინგლისში სათასო წილისყრები ბრმად, ყოველგვარი განთესვის გარეშე იმართება ხოლმე.

მეთექვსმეტედფინალური შეხვედრები 29-30 იანვარს გაიმართება. რამდენიმე მეთექვსმეტედფინალისტი ჯერაც არ გამოვლენილა, რადგან მათ, ვინც ოცდამეთორმეტედფინალში ფრედ ითამაშეს, წინ გადათამაშება ელით.

| წყვილები |
|---|
| ტორკი-ქროული ან დერბი |
| უოტფორდი-ბრაიტონი |
| ბოლტონი-უიგანი |
| არსენალი ან ლიდსი-ჰადერსფილდი |
| ფულჰემი-ტოტენჰემი |
| ევერტონი-ჩელსი |
| საუთჰემპტონი-მანჩესტერ იუნ. |
| სუონსი-ლეიტონი |
| ბარნსლი-ბარტონი |
| ბირმინგემი-ქოვენთრი |
| დონკასტერი ან ვულვერჰემპტონი-სტოკი ან კარდიფი |
| ნოთსი ან ლესტერი-მანჩესტერ სიტი |
| სტივენეიჯი-რედინგი |
| ასტონ ვილა-ბლექბერნი |
| ვესტ ჰემი-ნოტინგემი |
| შეფილდ უენსდი-უიკომბი ან ჰერეფორდი |

# ფიფას გერმანელმა უგანა

გერმანელმა **გიუნტერ ჰირშმა** ფიფას ეთიკის კომისია დატოვა. როგორც განაცხადა, ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანოს კორუფციასთან ბრძოლა არ ძალუძს. ღია წერილში, რომელიც ჰირშმა ფიფას გაუგზავნა, აღნიშნა, რომ შეძრწუნებულია იმ გულგრილობით, რომელსაც ფიფას მაღალჩინოსნები ნეგატიური მოვლენების მიმართ იჩენენ.

# ლაციოს ტიფოზებმა აურიეს

"ლაციოს" 111-წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებები დიდი უსიამოვნებებით დასრულდა. რომაული კლუბის ტიფოზებმა იტალიის დედაქალაქის ცენტრში გრანდიოზული დებოში მოაწყვეს, ქუჩები პიროტექნიკით აავსეს და მაღაზიების ვიტრინები ჩაამსხვრიეს. "ლაციოს" ასამდე ვაიგულშემატკივარი არც პოლიციასთან შეტაკებას მოერიდა. სამართალდამცავებმა ბრბოს დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს და ერთი ტიფოზი დააკავეს.

# 15 დააპატიმრეს

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ზემოთ ნახსენებ მატჩს ვნებათაღელვის გარეშე არ ჩაუვლია. უპრინციპულესი მეტოქეების დაპირისპირების შემდეგ პოლიციამ 15 ადამიანი დააპატიმრა, რომელთა შორისაც არიან როგორც "მანჩესტერის", ასევე "ლივერპულის" ფანები. ძალოვანები თავიდანვე ფხიზლად იყვნენ და აყალმაყალის ატეხის მსურველებს ტრიბუნებზე უმალ ანეიტრალებდნენ. შეხვედრა სანიმუშოდ იყო ორგანიზებული. ქომაგები ერთმანეთისგან რკინის დამცავი ღობით იყვნენ იზოლირებულნი, ამასთანავე, მათ შორის პოლიციაც იყო ჩამდგარი.

ასე რომ, მოშუღარნი ერთმანეთს ფაქტობრივად, არ შეხებიან. ერთადერთი, რაც მათ შეძლეს, "ოლდ ტრაფორდის" ინფრასტრუქტურის მცირედი დაზიანებაა.

# ბაბელს სასჯელი ემუქრება

შესაძლოა, **რაიან ბაბელმა** ინგლისის საფეხბურთო ასოციაციისგან სასჯელი მიიღოს. საქმე ისაა, რომ "ლივერპულის" ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა ინგლისის ასოციაციის თასის ოცდამეთორმეტედფინალში "მანჩესტერ იუნაიტედთან" განცდილი მარცხის შემდეგ მატჩის არბიტრ **ჰოვარდ ვებზე** განაწყენება ორიგინალური ფორმით გამოხატა – სოციალურ ქსელ "ტვიტერში" გამოაქვეყნა ფოტომონტაჟი, სადაც ვები "მანიუს" მაისურშია გამოწყობილი. ბაბელისა და მისი თანაგუნდელების უკმაყოფილება მსაჯის მიერ შეხვედრის დებიუტში მიღებულმა გადაწყვეტილებამ, "ლივერპულის" კარში პენალტის დანიშვნამ გამოიწვია. ის თერთმეტმეტრიანი **რაიან გიგზმა** გამოიყენა და თამაშში მეტი გოლი აღარ გასულა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ **სერ ალექს ფერგიუსონმა** დაბეჯითებით თქვა, რომ პენალტი არ ყოფილა, "ლივერპულის" ახალმა თავკაცმა **კენი დალგლიშმა** კი განაცხადა, რომ **დიმიტარ ბერბატოვის** მხრიდან სიმულაციას ჰქონდა ადგილიო, ამასთან, თავისი გუნდის თამაშის ხარისხით კმაყოფილება გამოთქვა. მერსისაიდელთა კაპიტანი **სტივენ ჯერარდი** კი კარიერაში მეექვსედ გააძევეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**


რაიან ბაბელი

ბაიერნი

# კრაფტი კარში, ბუტი სკამზე!

## მიზეზი: ვან გაალს ასე უნდა! რეკორდმაისტერი მეორე წრისთვის მზადაა



თომას კრაფტი პირველი მეკარეა, ჰანს-იორგ ბუტი [illegible]

რომ არა **ლუის ვან გაალის** სენსაციური და ყველასათვის მოულოდნელი გადაწყვეტილება, გასული კვირა მიუნხენის „ბაიერნისთვის“ სრულყოფილი და იდეალური იქნებოდა. ლუისმა გადაწყვიტა, რომ მეორე წრეში მიუნხენური გუნდის კარი ახალგაზრდა **თომას კრაფტმა** უნდა დაიცვას, გამოცდილი **ჰანს-იორგ ბუტი** კი სათადარიგოთა სკამზე დაჯდეს. რატომ? არა იმიტომ, რომ ბუტი ცუდად თამაშობდა! უბრალოდ, ვან გაალს ასე უნდა, ჰოლანდიელი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ასეა საჭირო და სხვათა შორის, გულშემატკივრების უმრავლესობა ეთანხმება კიდეც. კრაფტის გაპირველებამ და პირველ წრეში აბსოლუტურად უდანაშაულო ბუტის სათადარიგოთა სკამზე გადაყვანამ უდიდესი დისკუსიები გამოიწვია. სხვა მხრივ, „ბაიერნის“ მოსამზადებელი შეკრება დადებითად უნდა შეფასდეს და შეიძლება ითქვას, რომ მიუნხენური კლუბი სეზონის მეორე ნახევრისთვის სრულ მზადყოფნაშია.

ერთკვირიანმა შეკრებამ, რომელიც ბავარიელებმა დოჰაში გაიარეს, მიუნხენურ გრანდს ბუნდესლიგის მეორე წრე პოზიტიურად დაანახვა. შეკრება **ლუის გუსტავოს** ტრანსფერით დაიწყო, რაც „ბაიერნისთვის“ ზამთრის სატრანსფერო სეზონზე პირველი და ამავდროულად უკანასკნელი გარიგება გამოვიდა. მიუხედავად გუსტავოს ტრანსფერისა, კაპიტანმა **მარკ ვან ბომელმა** „ბაიერნში“ დარჩენა გადაწყვიტა. ყოველ შემთხვევაში, ჰოლანდიელმა კვირის დასაწყისში თქვა, სავარაუდოდ, მიუნხენში დავრჩები და მას მერე ვან ბომელის მოსალოდნელ ტრანსფერზე ალარაფერი თქმულა. ასე რომ, კაპიტანი რჩება.

გარდა ამისა, დაბრუნდა და სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა **არიენ რობენმა**, რომელსაც პირველ წრეში ერთი თამაშიც არ ჩაუტარებია. ვან გაალმა თქვა, რობენი ახალწვეულივითაა, მეორე წრეში მისი იმედი მაქვსო. რობენთან ერთად, სრულად გამოჯანმრთელდნენ **ჰოლგერ ბადშტუბერი, მარიო გომესი** და **ჰამით ალთინთოფიც**.

რაც შეეხება კრაფტის გაპირველებას - ფაქტია, რომ ვან გაალმა ამ გადაწყვეტილებით „ბაიერნის“ ხელმძღვანელები გააბრაზა. ბოსებს ახალგაზრდა და მართლაც უნიჭიერესი მეკარის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, უბრალოდ, მათ მიაჩნიათ, რომ ასეთი სპონტანური ცვლილებები რეკორდმაისტერს კარგს არაფერს მოუტანს. დოჰაში გამგზავრებამდე, თავში აზრადაც არ მოსვლია ვინმეს ის, რომ ვან გაალი კრაფტს გაპირველებას უპირებდა, რადგან ბუტმა პირველი წრე საკმაოდ კარგად, უშეცდომოდ ჩაატარა. თანაც, „ბაიერნის“ შეფები ხომ „შალკესა“ და გერმანიის ნაკრების კიპერ **მანუელ ნოიერის** ტრანსფერზე მუშაობენ, კრაფტის გაპირველება კი ფაქტობრივად ნოიერზე უარის თქმას ნიშნავს - ყოველ შემთხვევაში, ვან გაალის მხრიდან მაინც.

მწვრთნელის ამ გადაწყვეტილებაზე პრეზიდენტ **ული ჰიონესსა** და ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** არაფერი უთქვამთ, სამაგიეროდ, მენეჯერი **კრისტიან ნერლინგერი** აყვირდა, როცა დოჰაში ჩასულმა ვან გაალის გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, ნერლინგერმა რამდენჯერმე სცადა ჰოლანდიელი სპეციალისტის გადარწმუნება, მაგრამ არაფერი გამოუვიდაო. ერთადერთ ტესტმატჩში, რომელშიც „ბაიერნმა“ „ალ-ვაკრა“ 4:0 დაამარცხა, კრაფტი სასტარტო შემადგენლობაში იყო, ბუტმა კი მეორე ტაიმი ითამაშა.

ნერლინგერი პირდაპირ ამბობს, რომ კრაფტში ნამდვილად ხედავს ძალიან ნიჭიერ მეკარეს, რომელსაც შეუძლია, დიდი ფეხბურთი ითამაშოს, მაგრამ მენეჯერი ფიქრობს, რომ ლუისი უაზრო რისკზე წავიდა. ფაქტია, რომ კრაფტის გაპირველება ნოიერის ტრანსფერზე მუშაობას გაართულებს. „ბაიერნის“ ქომაგების დიდი ნაწილი ნოიერის ყიდვის წინააღმდეგი და კრაფტისთვის შანსის მიცემის მომხრე იყო და ცხადია, ამიერიდან ყველაფერი უფრო გართულდება. ფაქტი ერთია: ვან გაალმა ამ გადაწყვეტილებით აბსოლუტურად უპრობლემო პოზიციაზე პრობლემა გააჩინა. ლუისის გადაწყვეტილება სუფთა სპორტული თვალსაზრისით ლეგიტიმური არ არის, რადგან ბუტს პირველ წრეში ერთი შეცდომაც კი არ დაუშვია. რისკი კი მართლაც დიდია, რადგან კრაფტი ნიჭიერი, მაგრამ გამოუცდელი მეკარეა. თანაც, დაცვის ცენტრში ლუისის ფავორიტ წყვილი, ბადშტუბერისა და **ბრენოს** დუეტი ჯერ არ შეთამაშებულა.

თავის დროზე, კერძოდ, ამსტერდამის „აიაქსში“ მუშაობისას ლუისმა სწორედ ასე გააპირველა იმ დროს ყველასათვის უცნობი **ედვინ ვან დერ სარი**, რომელიც მერე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე გახდა, მაგრამ ის ჰოლანდია იყო, გერმანიაში კი ლუისს ყველა გადაწყვეტილებისთვის მსუყე არგუმენტი სჭირდება. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ ვან გაალმა გარისკა და იმედია, იცის, რომ ამ ექსპერიმენტმა, შესაძლოა, სამსახური დააკარგვინოს - თუკი ბავარიული გრანდი მეორე წრეში პროგრესს არ განიცდის. ფაქტია ისიც, რომ ვან გაალს ხელმძღვანელებთან ურთიერთობა კიდევ ერთხელ დაეძაბა. არადა, დოჰაში გამგზავრებამდე ჰარმონია სუფევდა.

სხვა მხრივ, რეკორდმაისტერში ყველაფერი კარგად, მეტიც, იდეალურადაა. მართალია, „ალ ვაკრასთან“ ტესტმატჩმა მიუნხენურ კლუბს ბევრი არაფერი მისცა, სამაგიეროდ, დაბრუნდა არიენ რობენი და როგორც იცით, **ფრანკ რიბერიც** ჯანზეა. ასე რომ, „ბაიერნს“ ახლა მხოლოდ ორი მოთამაშე ჰყავს დაშავებული: **ივიცა ოლიჩი და ტონი კროოსი**. ეს უკანასკნელი გამოჯანმრთელებას კიდევ მოასწრებს, ოლიჩისთვის კი, როგორც იცით, სეზონი უკვე დამთავრებულია. ბავარიელები დღეს და ხვალ ისვენებენ, ოთხშაბათიდან კი მეორე წრის პირველი წრის მატჩისთვის მზადებას შეუდგებიან - 15 იანვარს „ბაიერნი“ „ვოლფსბურგს“ ხვდება.

ინტერვიუ. იურგენ კლოპი

# დორტმუნდში მარტო კლიმატი არ მომწონს

## კონკურენტების გამოხტომებზე იურგენს ნერვები არ ეშლება



დორტმუნდის ბორუსიას მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი

**ბუნდესლიგის მეორე წრისთვის სამზადისი გერმანიის „შემოდგომის ჩემპიონმა“, დორტმუნდის „ბორუსიამაც“ დაასრულა - დორტმუნდელებმა შეკრება ესპანეთში გაიარეს. არანაირი სკანდალი, არავითარი დისკუსიები რომელიმე ფეხბურთელის გარშემო - BVB-ში ჰარმონიაა. ერთადერთი, რის წინააღმდეგაც „ბორუსიას“ ხელმძღვანელებს ბრძოლა უწევთ, კონკურენტების ვერბალური შეტევებია. თუმცა გუნდის მთავარ მწვრთნელ იურგენ კლოპს „ლევერკუზენისა“ და „ბაიერნის“ ბოსების მუქარები ნაკლებად აღელვებს. თუ რა არის კლოპისთვის მთავარი და როგორ უყურებს „ბორუსიას“ თავკაცი სეზონის მეორე ნახევარს, ამ ყველაფერს საინფორმაციო სააგენტო „შპორტ ინფორმაციონს დინსტისთვის“ (SID) მიცემული ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**- ჰერ კლოპ, თქვენმა გუნდმა პირველი წრე ათქულიანი უპირატესობით მოიგო. პარასკევს მეორე წრე იწყება, თქვენ კი უშუალო კონკურენტს, „ლევერკუზენს“ სტუმრობთ. „ბაიერის“ სპორტული დირექტორი რუდი ფიოლერი ამბობს, თუ დორტმუნდელებს მეორე წრეში პრობლემები შეექმნებათ, ეს მხოლოდ მათი ბრალი იქნებაო. რას უპასუხებთ ფიოლერს?**

- არც არაფერს! ჩემი აზრით, ეს არაფრის მომცემი საუბრებია. რუდი ფიოლერს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ასეთ განცხადებებს ყურადღებას არ ვაქცევ ხოლმე.

**- ლევერკუზენში გასამართი მატჩი გერმანიის ჩემპიონატის ბედს, რა თქმა უნდა, არ გადაწყვეტს, მაგრამ ეს მეორე წრის პირველი შეხვედრაა და დაგვეთანხმეთ, რაკი კონკურენტს სტუმრობთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს.**

- ცხადია! ამას არც უარვყოფ, მაგრამ „ლევერკუზენთან“ თამაში ნამდვილად არ არის გადამწყვეტი. თვითონ განსაჯეთ, მერე „შტუტგარტს“ უნდა შევხვდეთ და მიუხედავად იმისა, რომ შვაბები პირველ წრეში კატასტროფულად გამოიყურებოდნენ, მათთან ურთულესი თამაში გველის. იმის თქმა მინდა, რომ ყველა თამაში ძალიან მნიშვნელოვანია და შესაძლებლობების დამტკიცება ჩვენ ყოველ კვირას მოგვიწევს. ორი წელია, „ბორუსია“ მხოლოდ თამაშიდან თამაშამდე ფიქრობს და ამ მხრივ არც ახლა შევიცვლებით. ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც სიმშვიდე უნდა დავკარგოთ.

**- ფაქტია ისიც, რომ მეორე წრეში „ბორუსიას“ ახალგაზრდა ფეხბურთელები უმძიმესი წნეხის ქვეშ მოექცევიან...**

- ყოველ წელს ასეა, პირველ წრეში საძირკველი იყრება, მეორეში - შედეგები იდება. შესაბამისად, სეზონის მეორე ნახევარში წნეხის სიმძიმე ყოველთვის და ყველა გუნდისთვის მატულობს. ახლა მხოლოდ „ლევერკუზენთან“ მატჩზე ვფიქრობთ.

**- როგორ ემზადებით ამ შეხვედრისთვის? რას ეტყვით ფეხბურთელებს?**

- ჩვენს ადგილზე „ბაიერნი“ რომ იყოს, იტყოდნენ და ცხადია, ფეხბურთელებსაც ეტყოდნენ, გერმანიის ჩემპიონობა გვინდა, თანაც, არა ათი, არამედ, ოცქულიანი უპირატესობითო. იმასაც დაამატებდნენ, რომ გერმანიის თასის და ჩემპიონთა ლიგის მოგებაც უნდათ. მაგრამ ახლა ჩვენ ვართ ლიდერები, „ლევერკუზენს“ და „მაინცს“ ათი ქულით ვუსწრებთ და ეს უკვე სხვა ამბავია. ჩვენი მიზანი განვითარებისა და პირველი წრის ღირსეული გაგრძელებაა. ვნახოთ, რამდენად შევძლებთ ამას და რას მივიღებთ სანაცვლოდ.

**- ორი აზრი არ არსებობს, „ბორუსიამ“ მეორე წრე რომ ჩააგდოს, საყოველთაო კრიტიკის ობიექტი გახდებით...**

- შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ მეორე წრის ჩაგდების შიშით წარმატებაზე უარის თქმა არ შემიძლია. ძალიან მაგრად გვაქეს, რაც ლოგიკურიცაა, ბოლოს და ბოლოს, პირველი წრე ათქულიანი უპირატესობით მოვიგეთ და პირადად მეც აღფრთოვანებული ვარ იმ ფეხბურთით, რაც ჩემმა შეგირდებმა სეზონის პირველ ნახევარში ითამაშეს. თუ მეორე წრეს ისე კარგად ვერ დავიწყებთ, როგორც გვინდა, ეს სულაც არ იქნება იმის ნიშანი, რომ კრიზისი დაგვეწყო. ბიჭებს ვუთხარი, თუ მეორე წრეშიც ისეთი აღმაფრენით და ისე თავისუფლად ვითამაშებთ, როგორც პირველში ვთამაშობდით, მიზანს აუცილებლად მივაღწევთ-მეთქი. ოღონდ ჯერ კონკრეტული მიზანი არ გვაქვს.

**- „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ული ჰიონესმა თქვა, დორტმუნდელები ევროპის ლიგიდან გავარდნენ, რითაც დაამტკიცეს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე უკლასოები არიანო...**

- ჩვენ შესახებ უკვე ძალიან ბევრი რამ ითქვა - ზოგი სიმართლე, ზოგიც ტყუილი. მიუნხენელებმა ისიც თქვეს, თუ „ბორუსია“ ლევერკუზენში წააგებს, დორტმუნდელებს ნერვები მოეშლებათ და აიჭრებიანო, მაგრამ ასეთ გამოხტომებს აბსოლუტურად მშვიდად ვხვდებით.

**- იყო სპეკულაციები იმის შესახებ, რომ „ლივერპულს“ თქვენი გადაბირება მოუნდა. მერე კი გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა თავის ლეგიტიმურ შემცვლელად დაგასახელათ...**

- მოსალოდნელიც იყო, რომ ასეთი სპეკულაციები გავრცელდებოდა. ფაქტია, რომ ლივერპულიდან ჩემთვის არავის დაურეკავს და სიმართლე გითხრათ, ზარს არც ველოდი, რადგან ვხვდებოდი, რომ ეს უტოპია იყო. ბოლოს და ბოლოს, „დორტმუნდთან“ კონტრაქტი ახლახან გავაგრძელე. რაც შეეხება ლიოვის სიტყვებს: ეს ჩემთვის მშვენიერი კომპლიმენტია და მინდა, იოგის მადლობა გადავუხადო. ზოგადად, მინდა ვთქვა, რომ ჩემი სამწვრთნელო შტაბი ძალიან კარგად მუშაობს. გადაჭარბებული ნამდვილად არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ „ლივერპულის“ გაწვრთნაც შეგვიძლია და გერმანიის ნაკრებისაც, მაგრამ ჩემი აზრით, ბუნდესგუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე მუშაობა ჩემთვის ჯერ ძალიან ადრეა. ბუნდესლიგის ყოველდღიურობა იმდენად მიყვარს, რომ სანაკრებო სფეროში გადასვლა ჯერ არ მინდა - თუნდაც ყველაზე საამაყო პოსტი, ბუნდესმწვრთნელობა შემომთავაზონ. ამის დროც მოვა.

**- კონტრაქტი 2014 წლამდე გააგრძელეთ, „ბორუსიას“ მენეჯერი ჰანს-იოახიმ ვატცკე კი ამბობს, კლოპის ერა დორტმუნდში არც 2014 წელს დამთავრდებაო...**

- 2014 წლამდე ჯერ ძალიან ბევრი დროა. ყოველ შემთხვევაში, პირადად მე არ ვიცი, რა იქნება 2014-ში. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ხშირად არიან უკმაყოფილოები და ფიქრობენ, რომ სადმე სხვაგან ბედნიერებას იპოვიან. მე ასეთი ადამიანების კატეგორიას არ განვეკუთვნები. ერთადერთი, რაც დორტმუნდში არ მომწონს, კლიმატური პირობებია. მაგრამ ამის გამო ადგილსამყოფელი რომ გამოვიცვალო და წავიდე იქ, სადაც უკეთესი ამინდებია, თბილად კი ვიქნები, მაგრამ ხალხი ვერ გამიგებს. მოკლედ, 2014 წლამდე აქ ვრჩები და თუ სამი წლის შემდეგ ისევ ყველაფერი კარგი იქნება, გარდა ამინდისა, კონტრაქტს კიდევ რამდენიმე წლით გავაგრძელებ.

**- მეორე წრის პირველ მატჩებში შინჯი კაგავას ვერ გამოიყენებთ, რადგან ეს უკანასკნელი აზიის თასზე თამაშობს. ფიფას მიერ დადგენილი კალენდრის შესახებ რამის თქმა ხომ არ გინდათ?**

- ბოლო დროს ყველა ფიფას აგინებს და გინდათ, მეც შევუერთდე? გულახდილად გეტყვით, ყოველი სანაკრებო პაუზა ნერვებს მიშლის ხოლმე. თუმცა ყველასი მესმის, მათ შორის იაპონელებისაც. კაგავა ბრწყინვალე ფეხბურთელია და აზიის თასზე აუცილებლად უნდა ეთამაშა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



კამბიასო და ლეონარდო

# ფიესტა სან სიროზე

## ლეომ ინტერი დააბრუნა

სანამშობის ბრწყინვალე დღესასწაულს აღვნიშნავდით, იტალიაში მოასწრეს და სერია A-ს ორი ტური ჩაატარეს. დღევანდელ ნომერში ორივე ტურის სტატისტიკურ მონაცემებს გაგაცნობთ და გასაგებ მიზეზთა გამო, სულ მოკლედ ვიტყვით იმის შესახებ, თუ რა მოხდა XVIII და XIX ტურებში.

დავიწყოთ იმით, რომ „ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ლეონარდოს** ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა - მილანურმა გრანდმა ხუთშაბათს „ნაპოლის" უმასპინძლა და ძლიერი მეტოქე პირწმინდად დაჯაბნა. მილანელებმა გუშინაც მოიგეს და „კატანია" გააკრეს ბეჭებზე, თანაც მისსავე მოედანზე. აღვნიშნოთ ისიც, რომ სიცილიაში **სამუელ ეტოო** დაუბრუნდა მოედანს. ლეონარდო გახარებულია ორ თამაშში აღებული ექვსი ქულით და ამ სიხარულს **მასიმო მორატიც** იზიარებს.

ჩემპიონატის ლიდერმა ჯერ „კალიარიში" მოიგო რთული გასვლითი პაექრობა, შემდეგ კი საკუთარ მოედანზე „უდინეზეს" დაუზავდა, 4:4. ამ მართლაც ფანტასტიკურ შეხვედრაში მილანელები მდევრის როლში გახლდნენ და სასწაულებრივად გადაარჩინეს ქულა. „როსონერის" შემადგენლობაში **ანტონიო კასანოს** დებიუტი შედგა - უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შეხვედრაში შესანიშნავად წარმოჩინდა: „კალიარისთან" ახალგაზრდა **შტრასერს** საგოლე გადაცემა სწორედ მან მისცა, რაც „უდინეზესთან" პაექრობაში ორჯერ გაიმეორა - ჯერ **ალეშანდრე პატოს** გაატანინა, შემდეგ კი **ზლატან იბრაჰიმოვიჩს**. მხოლოდ ერთი რამის თქმა შეგვიძლია: ბრავო, კასანო!

ცუდად განაახლა სეზონი „ლაციომ", ორ თამაშში მხოლოდ ერთი ქულა და საკუთარ კედლებში წაგებული მატჩი „ლეჩესთან". იტალიურ სპორტულ პრესაში უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ „ბიანკოჩელესტეს" კრიზისი დაეწყო, რაც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კატეგორიულად უარყო. მეორე რომაულმა გუნდმა ჯერ მოიგო და შემდეგ წააგო - „კატანიას" წაქცევის შემდეგ, „რომა" გენუაში ჩავიდა და „სამპდორიასთან" დამარცხდა. **კლაუდიო რანიერიმ ფრანჩესკო ტოტი** მხოლოდ 90-ე წუთზე ჩართო თამაშში, რამაც მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის კონფლიქტი წარმოშვა.

ტურინის „იუვენტუსისთვის" 2011 წელი კოშმარულად დაიწყო. შუა კვირაში **ლუიჯი დელ ნერის** გუნდმა „პარმას" უმასპინძლა და გამანადგურებელი ანგარიშით წააგო. **ფელიპე მელომ** კიდევ ერთხელ გაანბილა გულშემატკივარი და მიღებული წითელი ბარათით დიდწლად განაპირობა კიდეც მისი გუნდის მწარე მარცხი. ამასთან, მძიმედ დაშავდა **ფაბიო კვალიარელა** და სეზონის ბოლომდე დასვენება გამოიწერა. ტურინელებმა სასწრაფოდ მოძებნეს გამოსავალი და „ჯენოადან" **ლუკა ტონი** გადაიბირეს. მაგრამ არის კი ეს გამოსავალი? - მეტად რთული სათქმელია.

ბოლოს, ერთი კარგი ამბავიც ვთქვათ - **კახა კალაძემ** „ჯენოას" მიერ გამართულ ორივე შეხვედრაში სრულად ისპარეზა. რაც მთავარია, საიმედო თამაშით გამოირჩა და ჟურნალისტებისგან მაღალი შეფასებები მიიღო.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

**მომდევნო ტური:**

15 იანვარი: **ნაპოლი-ფიორენტინა, ინტერი-ბოლონია.** 16 იანვარი: **კალიარი-პალერმო, ბრეშა-პარმა, კატანია-კიევო, ჩეზენა-რომა, ჯენოა-უდინეზე, იუვენტუსი-ბარი, ლეჩე-მილანი.**

## XVIII ტური

### იუვენტუსი-პარმა 1:4

**იუვენტუსი (4-4-2):** სტორარი – სორენსენი (56. სისოკო), ლეგროტალიე, კიელინი, გროსო – კრასიჩი, მარკიზიო, აკვილანი, მელო – დელ პიერო (31. პეპე), კვალიარელა (6. ამაური).

**პარმა (4-3-3):** მირანტე - ძაკარდო, პალეტა, პაჩი, გობი – მორონე, ჯემაილი, კანდრევა - ვალიანი, კრესპო (65. პალადინო), ჯოვინკო (87. კალვო).

**გოლები:** 0:1 ჯოვინკო (41), 0:2 ჯოვინკო (48), 1:2 ლეგროტალიე (60), 1:3 კრესპო (62), 1:4 პალადინო (87).

**გაძევება:** მელო (17).

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 7(2)-17(9); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 22 000

### ბოლონია-ფიორენტინა 1:1

**ბოლონია (4-3-3):** ვივიანო - პორტანოვა, ბრიტოსი, მორასი, რუბინი – კაზარინი (86. რადოვანოვიჩი), მუდინგაი, დელა როკა (75. სილიგარდი) – ეკდალი, დი ვაიო, რამირესი (57. ხიმენესი).

**ფიორენტინა (4-2-3-1):** ბორუცი – დე სილვესტრი, გამბერინი, კროლდრუპი, პასკუალი – მონტოლივო, დაგოსტინო – ჩერჩი (74. ლიაჯიჩი), ბაბაქარი, მარკიონი (63. სანტანა) – ჯილარდინო.

**გოლები:** 1:0 დი ვაიო (5), 1:1 სანტანა (67).

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 6(1)-12(4); **ბურთის ფლობა:** 49%/51%.

**მაყურებელი:** 20 000

### ბრეშა-ჩეზენა 1:2

**ბრეშა (4-3-3):** სერენი - ბერარდი, ბეგა, ძებინა, ვიდალი – ფილიპინი, ვასი (67. ბაიოკო), ბუდელი (60. კორდოვა) – დიამანტი (46. ლანცაფამე), ედერი, კარაჩოლო.

**ჩეზენა (4-3-3):** ანტონიოლი - ლაურო, პელეგრინო, ფონ ბერგენი, ლაურო - პაროლო, კოლუჩი, კაზერტა (61. სამარკო) - ჯაკერინი, ბოგდანი (66. ბუდანი), ხიმენესი (82. შელოტო).

**გოლები:** 0:1 ხიმენესი (31), 0:2 ჩეკარელი (41), 1:2 ედერი (50).

**გაფრთხილება:** 5-3; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 12(5)-10(4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 9 500

### კალიარი-მილანი 0:1

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი - პიზანო, კანინი, ასტორი, აგოსტინი – ლაძარი (48. ბიონდინი), კონტი, ნაინგოლანი – კოსუ – ნენე, მატრი (84. აკვაფრესკა).

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - აბატე, ტიაგო სილვა, ბონერა, ანტონი – გატუზო (58. შტრასერი), ზეედორფი, ამბროზინი – მერკელი (74. კასანო) - პატო, რობინიო.

**გოლი:** 0:1 შტრასერი (85).

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 9-11; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 8(3)-7(3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 23 000

### ჯენოა-ლაციო 0:0

**ჯენოა (4-3-1-2):** ედუარდო – მესტო, დაინელი, კალაძე, კრიშიტო – როსი, მილანეტო, რაფინია – იანკოვიჩი (46. მორეტი) – ტონი, დესტრო (89. ბოაკი).

**ლაციო (4-2-3-1):** მუსლერა – ლიხტშტაინერი, დიასი, ბიავა, რადუ – ლედესმა, ბროკი (76. მათუზალემი) – მაური, ერნანესი (83. ბრეშანო), სარატე – ფლოკარი (88. კოზაკი).

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 12(3)-6(2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 25 000

### ლეჩე-ბარი 0:1

**ლეჩე (4-3-1-2):** როზატი - დონატი (84. გროსმიულერი), ტომოვიჩი, ფაბიანო, მესბაჰი – ჯაკომაცი, მუნარი, ოლივერა – პიატი (71. ვივესი) - ჩევანტონი (57. კორვია), ოფერე.

**ბარი (4-4-2):** ჟილე - ა. მაზიელო, ბელმონტე, გლიკი, რაჯი – ალვარესი, გაცი, დონატი, რივასი (90. რომერო) – კაპუტო (51. ოკაკა ჩუკა), კუტუზოვი (84. პულცეტი).

**გოლი:** 0:1 ოკაკა ჩუკა (78).

**გაძევება:** ჯაკომაცი (90).

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 8-8; **ჯარიმა:** 17-18; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 13(5)-7(5); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 8 000

### პალერმო-სამპდორია 3:0

**პალერმო (4-3-2-1):** სირიგუ – კასანი, ბოვო, გოიანი (86. მუნოზი), ბალცარეტი – მილიაჩო, ბასინოვიჩი, ნოჩერინო – პასტორე (78. ლივერანი), ილიჩიჩი – მიკოლი (64. მაკარონე).

სამპდორია (4-4-2): კურჩი - ძაური, გასტალდელო, ლუკინი, ციგლერი - მანინი (55. პოცი), პალომბო, ტისონე (80. პოლი), გუბერტი - პაცინი, მარილუნგო (65. კომანი).

**გოლები:** 1:0 მიკოლი (37), 2:0 მილიაჩო (50), 3:0 მაკარონე (79).

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 5-14; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 15(5)-15(3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 26 000

### რომა-კატანია 4:2

**რომა (4-3-1-2):** ჟულიო სერჟიო - კასეტი, ჟუანი, მექსე, რიისე - დე როსი (46. გრეკო), სიმპლისიო, ტადეი (80. ვუჩინიჩი) – მენეზი – ტოტი, ბორიელო.

**კატანია (4-3-1-2):** ანდუხარი – ალვარესი, სილვესტრი, ბელუში, კაპუანო – გომესი, კარბონი, ლედესმა (69. დელვეკიო) – პეშე (90. მასკარა) – მაქსი ლოპესი, ლიამა (68. მარტინიო).

**გოლები:** 1:0 ბორიელო (5), 1:1 სილვესტრი (29), 1:2 მაქსი ლოპესი (38), 2:2 ბორიელო (47), 3:2 ვუჩინიჩი (86), 4:2 ვუჩინიჩი (90).

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 16-16; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 11(9)-11(2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 39 000

### უდინეზე-კიევო 2:0

**უდინეზე (3-4-1-2):** ჰანდანოვიჩი - კოდა, ზაპატა, დომიცი - ისლა, ინლერი, ასამოა, პინცი – არმერო (75. ანჯელა) - დი ნატალე (58. დენისი), სანჩესი (89. აბდი).

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო - სარდო, ანდრეოლი, ცეზარი, იოკიჩი - ფერნანდესი (75. გრანოჩე), გუანა (58. ბოლიაჩინო), მარკოლინი – კონსტანტი (46. თერეუ) - პელისიერი, მოსკარდელი.

**გოლი:** 1:0 სანჩესი (14), 2:0 დი ნატალე (25).

**გაძევება:** პინცი (34).

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 9(5)-15(0); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 14 000

### ინტერი-ნაპოლი 3:1

**ინტერი (4-3-1-2):** კასტელაცი - მაიკონი, კორდობა, ლუსიო, კივუ - ძანეტი, კამბიასო, მოტა (86. მუნტარი) - სტანკოვიჩი (80. მარიგა) - პანდევი (78. ბიაბიანი), მილიტო.

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი - კამპანიარო, კანავარო, არონიკა - მაჯო, გარგანო (58. იებდა), პაციენცა, დოსენა (66. ცუნიგა) – ჰამშიკი, ლავეცი - კავანი.

**გოლები:** 1:0 მოტა (3), 1:1 პაციენცა (25), 2:1 კამბიასო (37), 3:1 მოტა (55).

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 13-18; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 11(4)-12(5); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 60 500

## XIX ტური

### სამპდორია-რომა 2:1

**სამპდორია (4-4-2):** კურჩი - ძაური, გასტალდელო, ლუკინი, ციგლერი - კომანი, პალომბო, პოლი (83. მანინი), გუბერტი - მარილუნგო (63. პაცინი), პოცი (77. მაკედა).

**რომა (4-3-1-2):** ჟულიო სერჟიო - კასეტი, მექსე (46. ჟუანი), ნ. ბურდისო, რიისე - გრეკო (90. ტოტი), ბრიგი, პეროტა - მენეზი (57. დონი) - ბორიელო, ვუჩინიჩი.

**გოლები:** 0:1 ვუჩინიჩი (17), 1:1 პოცი (58-პენ.), 2:1 გუბერტი (84).

**გაძევება:** ჟულიო სერჟიო (56) - ლუკინი (87), გასტალდელო (90).

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 10(3)-7(4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 24 000

### ბარი-ბოლონია 0:2

**ბარი (4-4-2):** ჟილე - ა. მაზიელო, რაჯი, გლიკი, როსი - ალვარესი, დონატი (72. პულცეტი), გაცი, რივასი (55. რომერო) - ოკაკა ჩუკა, კუტუზოვი.

**ბოლონია (4-3-2-1):** ვბივიანო - გარიჩი, ბრიტოსი, ტუბინი, მორასი (21. ესპოზიტო) - პერესი, მუდინგაი, დელა როკა - ეკდალი (68. კაზარინი), რამირესი (78. ხიმენესი) - დი ვაიო.

**გოლები:** 0:1 ეკდალი (38), 0:2 დი ვაიო (79).

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 12-13; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 7(3)-14(6); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 25 000

### კატანია-ინტერი 1:2

**კატანია (4-1-4-1):** ანდუხარი - ალვარესი, ბელუში, სილვესტრი, კაპუანო - კარბონი - გომესი, ლედესმა, პეშე (78. ანტენუჩი), ლიამა (51. მარტინიო) - მაქსი ლოპესი.

**ბოლონია (4-3-1-2):** კასტელაცი - მაიკონი, ლუსიო, კორდობა, კივუ (67. პანდევი) - ძანეტი, კამბიასო, მოტა (78. მარიგა) - სტანკოვიჩი - მილიტო (90. რანოკია), ეტოო.

**გოლები:** 1:0 გომესი (71), 1:1 კამბიასო (74), 1:2 კამბიასო (79).

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 13(6)-9(7); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 15 000

### ჩეზენა-ჯენოა 0:0

**ჩეზენა (4-3-2-1):** ანტონიოლი - ჩეკარელი, პელეგრინო, ფონ ბერგენი, ლაურო - სამარკო (72. აპია), კოლუჩი, პაროლო (57. კაზერტა) - ჯაკერინი, ხიმენესი - ბუდანი (65. ბოგდანი).

**ჯენოა (4-4-2):** ედუარდო - დაინელი, მესტო, კალაძე, კრიშიტო - როსი, რაფინია, მილანეტო - იანკოვიჩი (60. სკული) - ხარჯა (86. ველოზო), დესტრო.

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 6-9; **ჯარიმა:** 10-13; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 5(0)-6(1); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 15 000

### კიევო-პალერმო 0:0

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო - ფრეი, მანტოვანი (72. სარდო), ცეზარი, მანდელი - რიგონი, კონსტანტი (78. მარკოლინი), ფერნანდესი - ბოლიაჩინო - თერეუ (65. მოსკარდელი), პელისიერი.

**პალერმო (4-3-1-2):** სირიგუ - კასანი, მუნოზი, ბოვო, ბალცარეტი - მილიაჩო, ბასინოვიჩი, ნოჩერინო - ილიჩიჩი - პასტორე (66. კასამი), მაკარონე (78. მიკოლი).

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 10-9; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 11(4)-11(4); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 12 000

### ფიორენტინა-ბრეშა 3:2

**ფიორენტინა (4-2-3-1):** ბორუცი - დე სილვესტრი, გამბერინი, კამპორეზე, პასკუალი - ჩერჩი (45. დაგოსტინო), მონტოლივო (80. მარკიონი), დონადელი (58. ლიაჯიჩი) - სანტანა, ბაბაქარი - ჯილარდინო.

**ბრეშა (4-3-3):** სერენი - ბერარდი, ძებინა, ძობოლი, დალამანო - ფილიპინი, კორდოვა, კონე - დიამანტი (79. ძამბელი), კარაჩოლო (63. ბაიოკო), ედერი (71. ლანცაფამე).

**გოლები:** 0:1 დიამანტი (30), 0:2 კორდოვა (45), 1:2 ჯილარდინო (72), 2:2 სანტანა (86), 3:2 ლიაჯიჩი (99).

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 14-12; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 18(11)-13(4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 26 000

### ლაციო-ლეჩე 1:2

**ლაციო (4-2-3-1):** მუსლერა - ლიხტშტაინერი (85. ფოჯა), სტენდარდო, ბიავა, რადუ - ბროკი, ლედესმა - სარატე, მაური (75. კოზაკი), ერნანესი (68. ბრეშიანო) - ფლოკარი.

**ლეჩე (4-3-1-2):** როზატი - ტომოვიჩი, გუსტავო, ფაბიანო, მესბაჰი - მუნარი, გროსმიულერი (86. ფერარიო), ვივესი - ბერტოლაჩი (69. კოპოლა) - ოფერე (36. კორვია), ჯედა.

**გოლები:** 0:1 მუსლერა (39-საკ. კარში), 1:1 მაური (47), 1:2 გროსმიულერი (72).

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 7-11; **ჯარიმა:** 23-19; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 13(7)-10(7); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 31 000

### მილანი-უდინეზე 4:4

**მილანი (4-3-1-2):** ამელია - აბატე, ბონერა, ტიაგო სილვა, ანტონინი - გატუზო, ზეედორფი (69. კასანო), შტრასერი - რობინიო - პატო, იბრაჰიმოვიჩი.

**უდინეზე (3-5-2):** ჰანდანოვიჩი - ბენეტია, ზაპატა, დომიცი (68. კოდა) - ისლა, აბდი (70. ბადუ), ინლერი, ასამოა, პასკუალე - სანჩესი, დი ნატალე (84. დენისი).

**გოლები:** 0:1 დი ნატალე (35), 1:1 პატო (45), 1:2 სანჩესი (53), 1:3 დი ნატალე (66), 2:3 ბენეტია (78-საკ. კარში), 3:3 პატო (82), 3:4 დენისი (89), 4:4 იბრაჰიმოვიჩი (90).

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 10-6; **ჯარიმა:** 9-13; **თამაშგარე:** 0-6; **კარში დარტყმა:** 13(9)-11(5); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 45 000

### პარმა-კალიარი 1:2

**პარმა (4-3-3):** მირანტე - ძაკარდო, პალეტა, ლუკარელი, გობი (67. მორესტო) - მორონე, ჯემაილი (46. პალადინო), კანდრევა - ვალიანი (81. კალვო), კრესპო, ჯოვინკო.

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი - პიზანო (72. პერიკო), კანინი, ასტორი, აგოსტინი - ბიონდინი, კონტი, ნაინგოლანი - კოსუ (90. ლანერი) - აკვაფრესკა (62. მატრი), ნენე.

**გოლები:** 0:1 აკვაფრესკა (22), 0:2 აკვაფრესკა (31), 1:2 ჯოვინკო (54).

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 12-6; **ჯარიმა:** 25-20; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 8(4)-11(6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 16 000

### ნაპოლი-იუვენტუსი 3:0

**ნაპოლი (3-4-3):** დე სანქტისი - გრავა, კანავარო, კამპანიარო - მაჯო, გარგანო, პაციენცა, დოსენა (69. არონიკა) - ჰამშიკი (78. იებდა), კავანი (85. სოსა), ლავეცი.

**იუვენტუსი (4-4-2):** სტორარი - გრიგერა, ბონუჩი, კიელინი, ტრაორე (46. გროსო) - კრაშიჩი, მარკიზიო, აკვილანი, პეპე (66. მოტა) - ტონი, ამაური (52. დელ პიერო).

**გოლები:** 1:0 კავანი (20), 2:0 კავანი (26), 3:0 კავანი (54)

**გაფრთხილება:** დოსენა, ჰამშიკი, მაჯო - ტრაორე, პეპე

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 21-17; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 12(7)-10(3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 45 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 19 | 12 | 4 | 3 | 34-17 | 40 |
| 2. ნაპოლი | 19 | 11 | 3 | 5 | 30-20 | 36 |
| 3. ლაციო | 19 | 10 | 4 | 5 | 25-18 | 34 |
| 4. რომა | 19 | 9 | 5 | 5 | 27-24 | 32 |
| 5. პალერმო | 19 | 9 | 4 | 6 | 32-22 | 31 |
| 6. იუვენტუსი | 19 | 8 | 7 | 4 | 33-24 | 31 |
| 7. ინტერი | 17 | 8 | 5 | 4 | 25-16 | 29 |
| 8. უდინეზე | 19 | 8 | 3 | 8 | 27-25 | 27 |
| 9. სამპდორია | 18 | 6 | 8 | 4 | 20-17 | 26 |
| 10. ბოლონია | 19 | 6 | 7 | 6 | 19-24 | 24 |
| 11. კალიარი | 19 | 6 | 5 | 8 | 21-18 | 23 |
| 12. ფიორენტინა | 18 | 6 | 5 | 7 | 20-20 | 23 |
| 13. ჯენოა | 18 | 6 | 5 | 7 | 13-15 | 23 |
| 14. კიევო | 19 | 5 | 7 | 7 | 19-21 | 22 |
| 15. პარმა | 19 | 5 | 7 | 7 | 19-23 | 22 |
| 16. კატანია | 19 | 5 | 6 | 8 | 17-24 | 21 |
| 17. ჩეზენა | 18 | 5 | 4 | 9 | 13-21 | 19 |
| 18. ლეჩე | 19 | 5 | 3 | 11 | 18-36 | 18 |
| 19. ბრეშა | 19 | 4 | 3 | 12 | 15-26 | 15 |
| 20. ბარი | 19 | 3 | 5 | 11 | 12-28 | 14 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 1 ქულა*

**ბომბარდირები:** 11 – დი ნატალე; 10 - დი ვაიო (ბოლონია), კავანი (ნაპოლი); 9 - კვალიარელა (იუვენტუსი), ეტოო (ინტერი), ბორიელო (რომა), იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

## სერია B

### XXI ტური

**პროტონე-პორტოგრუარო 2:0**

**გოლები:** 1:0 ჯინესტრა (33), 2:0 ტედესკი (41).

**ემპოლი-ვიჩენცა 1:1**

**გოლები:** 1:0 მორო (53), 1:1 აბრუსკატო (60).

**მოდენა-ნოვარა 2:1**

**გოლები:** 1:0 მაცარანი (14), 2:0 პასკუატო (39), 2:1 რუბინო (54).

**პესკარა-ჩიტადელა 1:0**

**გოლი:** 1:0 სანსოვინი (66).

**პიაჩენცა-ვარეზე 2:1**

**გოლები:** 1:0 კაჩა (27), 1:1 ბუცეგოლი (31-პენ.), 2:1 ანადერიო (88).

**რეჯინა-სასუოლო 0:0**

**სიენა-ალბინოლეფე 2:1**

**გოლები:** 1:0 ლარონდო (29-პენ.), 2:0 ბრიერცა (55), 2:1 ბომბარდინი (90).

**ტრიესტინა-ასკოლი 5:0**

**გოლები:** 1:0 ტესტინი (43), 2:0 როკა (86).

**პადოვა-ტორინო 1:1**

**გოლები:** 1:0 ლეგატი (70), 1:1 ბიანკი (76).

**ატალანტა-გროსეტო** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნოვარა | 21 | 12 | 6 | 3 | 40-17 | 42 |
| 2. სიენა | 21 | 11 | 7 | 3 | 35-20 | 40 |
| 3. ატალანტა | 20 | 12 | 3 | 5 | 27-17 | 39 |
| 4. ვარეზე | 21 | 9 | 8 | 4 | 24-15 | 35 |
| 5. ლივორნო | 20 | 9 | 7 | 4 | 30-20 | 34 |
| 6. ტორინო | 21 | 9 | 6 | 6 | 26-24 | 33 |
| 7. რეჯინა | 21 | 9 | 5 | 7 | 26-23 | 32 |
| 8. პესკარა | 21 | 8 | 7 | 6 | 25-23 | 31 |
| 9. ვიჩენცა | 21 | 9 | 3 | 9 | 25-27 | 30 |
| 10. პადოვა | 20 | 7 | 7 | 6 | 31-24 | 28 |
| 11. კროტონე | 21 | 6 | 9 | 6 | 22-24 | 27 |
| 12. ემპოლი | 21 | 5 | 11 | 5 | 23-20 | 26 |
| 13. მოდენა | 21 | 5 | 9 | 7 | 22-30 | 24 |
| 14. ჩიტადელა | 21 | 6 | 5 | 10 | 24-28 | 23 |
| 15. ალბინოლეფე | 21 | 6 | 5 | 10 | 27-36 | 23 |
| 16. გროსეტო | 20 | 5 | 7 | 8 | 22-26 | 22 |
| 17. სასუოლო | 21 | 5 | 6 | 10 | 23-27 | 21 |
| 18. პიაჩენცა | 21 | 4 | 9 | 8 | 26-32 | 21 |
| 19. ასკოლი | 21 | 6 | 7 | 8 | 21-27 | 20 |
| 20. ტრიესტინა | 21 | 4 | 8 | 9 | 16-27 | 20 |
| 21. ფროზინონე | 21 | 4 | 7 | 10 | 21-33 | 19 |
| 22. პორტოგრუარო | 21 | 4 | 6 | 11 | 19-35 | 18 |

*ასკოლის დაკლებული აქვს 5 ქულა*

**ბომბარდირები:** 15 - სუჩი (პადოვა); 11 - ბერტანი (ნოვარა), კაჩა (პიაჩენცა); გონსალესი (ნოვარა); 10 - ბონაცოლი (რეჯინა), კორალი (ემპოლი), აბრუსკატო (ვიჩენცა);

## ლეგა პრო 1 A

ბასანო-რავენა 2:0, კომო-ვერონა 1:1, მონცა-სპალ 2:1, პაგანეზე-პავია 1:1, სორენტო-პერგოკრემა 4:0, სპეცია-რეჯანა 2:0, სუდტიროლი-გუბიო 0:2, ლუმეცანე-სალერნიტანა გადაიდო, კრემონეზე-ალესანდრია დღეს.

## ლეგა პრო 1 B

ანდრია-ჯელა 4:1, ბენევენტო-ლანჩანო 1:1, კავეზე-ნოჩერინაქ 0:2, კოზენცა-ტერნანა 1:1, ფოლინოიუვე სტაბია 1:1, ლუკეზე-ფოჯა 4:2, პიზა-ბარლეტა 0:2, სირაკუზა-ვიარეჯო 2:1, ტარანტო-ატლეტიკო 0:1.

# ჰეთთრიკი და სტატუს-კვო

დღემდე „ოქროს ბურთის" ერთადერთმა მფლობელმა ესპანელმა **ლუის სუარესმა** სიმბოლურად შეიყვანა ბურთი „რიასორზე" და „ბარსელონამაც" მორიგი სამი ქულისთვის შეუტია „დეპორტივოს". დაუკვირდით, რომ ჩვენ სიტყვა დღემდე ვახსენეთ - დღეიდან 75 წლის მოხუცს შეიძლება კიდევ ერთი თანამემამულე ამოუდგეს გვერდში, ეს კი ან **ჩავი ერნანდესი** ან კი **ანდრეს ინიესტა** იქნება, ფიფა სწორედ დღეს გამოავლენს „ოქროს ბურთის" გამარჯვებულს, მესამე კანდიდატი კი ამ თამაშის უდავოდ საუკეთესო მოთამაშე **ლეო მესია**, რომლის ანგარიშზე გოლი და ორი საგოლე პასია. დიახ, ლა ლიგის სცენარი არც 2011-ში შეცვლილა - „ბარსელონა" მორიგ მეტოქეს იოლად გაუმკლავდა - 4:0 მოუგო.

„რიასორზე" „ბარსა" ფონს ჩავის გარეშე გავიდა, რომელიც უბრალოდ დაასვენა **ხოსეპ გვარდიოლამ**. სასტარტო შემადგენლობაში ვერც **დანი ალვეში** და **სერხიო ბუსკეტსი** ვიხილეთ. ამ სამეულს **სეიდუ კეიტა, ადრიანო** და **ხავიერ მასკერანო** ცვლიდნენ. **მიგელ ანხელ ლოტინამ** 5 მცველით თამაშის ტაქტიკას უღალატა და დაცვა ნახევარდაცვის ხარჯზე შეამცირა. ამან შედეგი საერთოდ არ გამოიღო, „ბარსა" ბურთს 70%-ით აკონტროლებდა, თამაშის სადავეებიც მუდამ ხელთ ეპყრა. თამაშის შემდეგ **ჟერარდ პიკემ** თქვა: *„არ აქვს მნიშვნელობა ვის ხვდები, თამაშის დონე არ უნდა დაეცეს"*. ეს სიტყვები კარგა ხანია „ბარსელონას" პროგრამა მინიმუმია ყოველ თამაშში.

სტუმრებმა სამი ქულა **ანხელ პედრასას** ხსოვნას უძღვნეს - „ბარსელონას", „მალიორკასა" და „ვილიარეალის" ყოფილი ფეხბურთელი შაბათს 48 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. პედრასა ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ჩემპიონთა ლიგის ფინალში, სევილიაში „სტიაუას" კარში პენალტი ვერ გაიტანა, ფეხბურთელის კარიერის შემდეგ პედრასა მწვრთნელობდა.

26-ე წუთზე ლეო მესის გამოუვიდა გენიალურად ჩაფიქრებული პასი (მანამდე ერთი-ორჯერ სცადა), რომლის წყალობითაც **დავიდ ვილია** მარჯვნიდან შეიჭრა მეკარესთან პირისპირ და მას ფეხებსშუა გაუტანა. ვილიამ სეზონში მე-12, კარიერაში კი 150-ე ლალიგური გოლი შეაგდო (31 „სარაგოსაში", 107 „ვალენსიაში" და 12 „ბარსელონაში"). *„განა იმაზე კარგი რა არის, როცა საიუბილეო გოლი ასეთ დიდებულ სტადიონზე გაგაქვს, „რიასორზე" მუდამ თბილად მხვდებოდნენ. ეს წარმატება ნამდვილად გვჭირდებოდა ზედიზედ სამი არცთუ ბრწყინვალე თამაშის შემდეგ"* - განაცხადა „ელ გუახემ" თამაშის შემდეგ.

51-ე წუთზე მესიმ 2011 წელს და ამ სეზონში პირველი გოლი საჯარიმო დარტყმით გაიტანა - არგენტინელმა ცაციით შემოატარა ბურთი ცოცხალ კედელს და **დანიელ არანსუბიას** გადახტომისთვის დროც არ დაუტოვა. მატჩის მიწურულს კიდევ ორი გოლი გავიდა, ჯერ პიკეს პასი ინიესტამ საჯარიმოს მარჯვენა კუთხესთან მიიღო, ცენტრისკენ შემოირბინა და ძალიან უხერხულად დაურტყა არანსუბიას, შემდეგ ყველაფერი მესიმ გააკეთა, **პედროს** უბრალოდ ბურთის კარში გადაგზავნაღა რჩებოდა.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ლოტინა ყოველთვის კარგად ამზადებს გუნდს თამაშისთვის. ამიტომ კიდევ უფრო დასაფასებელია 4:0. ყველას გვახსოვს არცთუ შორეული ისტორია და ჩვენი წაგებები „რიასორზე", სწორედ ამის გამო „რიასორზე" მოგებას მეტი ფასი აქვს. თავადაც მიკვირს, მხოლოდ 3-დღიანი დასვენების მიუხედავად, როგორ შეძლო „ბარსამ" ასე კარგად თამაში"*.

**ხავი მარტინესმა** ახალ „მალაგას" დებიუტი ბოლო წამზე ჩაუმწარა - მართლაც, რომ არა მსოფლიოს ჩემპიონი ნახევარმცველი, **მანუელ პელეგრინი** თავისი მოდერნიზებული გუნდით პირველ 3 ქულას მიითვლიდა: კარში **სერხიო ასენხო** ჩადგა, დაცვაში **მარტინ დემიკელისმა** ითამაშა, ნახევარდაცვაში - **ნაჩო კამაჩომ** და **ენცო მარესკამ**, არ ჩანდა მხოლოდ **ჟულიო ბაპტიშტა**. ოთხმა ახალმა ფეხბურთელმა „მალაგას" ახალი ძალები ჩაჰბერა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ანდალუსიელები ბასკებს სჯობდნენ, თამაში ხან ერთი, ხან კი მეორე გუნდის უპირატესობით მიმდინარეობდა. ორივე გოლი სტანდარტული სიტუაციიდან გავიდა, მე-80 წუთზე პორტუგალიელი **დუდას** კუთხური თავით „ატლეტიკის" კარში დემიკელისმა გადაგზავნა. არგენტინელ მცველს ლა ლიგაში დებიუტიდან 80 წუთი ეყო გოლის გასატანად. ბილბაოელებმა ქულა 93-ე წუთზე გადაარჩინეს, საჯარიმო ჩაწოდების შემდეგ, გოლი თავით კარისკენ ზურგით ამხტარმა მარტინესმა გაიტანა - 1:1. ის, რომ შეხვედრის ორივე გოლი თავით გავიდა სულაც არ არის შემთხვევითი, ეს ხომ „მეორე სართულზე" საუკეთესოდ მოთამაშე ორი გუნდის („ბილბაო" - 8 გოლი, „მალაგა" - 7) დაპირისპირება იყო. *„ეს იყო მტკივნეული ფრე"*, - განაცხადა მანუელ პელეგრინიმ მატჩის შემდეგ.

სან სებასტიანში 5-გოლიანი თრილერი ვიხილეთ, რომლის გმირი „სევილიას" ფორვარდი **ფრედერიკ კანუტე** გამოდგა, რომელმაც მასპინძელთა კარში დუბლი შეასრულა. „რეალ სოსიედადმა" ზედიზედ მე-4 მარცხი იგემა, ჰორიზონტზე კრიზისი მოსჩანს, მიუხედავად იმისა, რომ **მარტინ ლასარტე** კვლავ აცხადებს: *„ჩვენ უკეთ ვთამაშობთ, ვიდრე ეს გათამაშების ცხრილზეა ასახული"*. ვფიქრობთ, „სევილიამ" თამაში **გრეგორიო მანსანოს** თამამი გადაწყვეტილების გამო მოიგო - მწვრთნელმა **ლუიშ ფაბიანოსა** და ფრედერიკ კანუტეს მესამე ფორვარდი, **ალვარო ნეგრედო** შეაშველა.

სანამ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ტურის მშვენება მატჩი დაიწყებოდა, ოთხი შეხვედრა გაიმართა, რომელთაგანაც ორში მასპინძლებმა აშკარად დაჩაგრეს სტუმრები, ორში კი ფრე დაფიქსირდა. ბარსელონაში „ესპანიოლმა" აუტსაიდერი „სარაგოსა" ნაწილებად დაშალა - 4:0. იტალიელ-არგენტინელი **პაბლო ოსვალდო** კატალონიურ გუნდს ტრავმამოშუშებული დაუბრუნდა, მან თამაშის დასაწყისშივე, როგორც სტატიკურ ნივთებს ისე აუარა გვერდი და ანგარიში გახსნა, მაგრამ მალე ოსვალდო ისევ დაიმტვრა და მოედნიდან გასაყვანი გახდა. საუკეთესო შემტევის გამოკლებამ „ესპანიოლს" ნირი არ შეუცვალა, **ხოსე კალეხონის** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი **ლუის გარსიამ** გოლად აქცია. „სარაგოსას" კარში სხვა გოლები **ალვარო ვასკესმა** და **სერხიო გარსიამ** გაიტანეს.

„მალიორკამ" ქვა-ქვაზე არ დატოვა „ალმერიასგან" - 4:1. ეს გუნდები ახლახან „სამეფო თასზე" შეხვდნენ და ანდალუსიელებმა გათამაშებიდან გამოთიშეს ბალეარელები. **მიქაელ ლაუდრუპის** გუნდმა რევანში ლა ლიგაში აიღო. პამპლონაში „ოსასუნას" შემადგენლობაში უკანასკნელად ითამაშა **ხუანფრანმა**, რომელიც შემდეგ ტურში უკვე მადრიდის „ატლეტიკოს" მაისურას მოირგებს. 25 წლის ნახევარმცველი მადრიდელებს 8 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

„ვილიარეალმა" შოკისმომგვრელად დაიწყო „სანტიაგო ბერნაბეუზე", უკვე მე-6 წუთზე **კანიმ** ანგარიში გახსნა, თუმცა ორ წუთში **კრიშტიანო რონალდომ მესუთ იოზილის** პასით გაათანაბრა. სტუმართა გუნდი კიდევ ერთხელ გავიდა წინ, ამჯერად **მარკო რუბენის** შესანიშნავი დარტყმის შემდეგ. პირველი ტაიმის მიწურულს „რეალმა" მაინც გაათანაბრა, **დი მარიას** წაქცევისთვის საჯარიმო დაინიშნა, რომელიც არგენტინელმა შეასრულა, რონალდომ ამჯერად თავით გაიტანა.

საბოლოოდ, „რეალს" გამარჯვება რონალდომ მოუტანა, რომელმაც ჰეთთრიკი შეასრულა, შემდეგ კი გოლი **კაკას** გაატანინა... „რეალმა" პორტუგალიელი სუპერვარსკვლავის წყალობით სტატუს-კვო ანუ 2-ქულიანი ჩამორჩენა შეინარჩუნა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

15 იანვარი: **ხეტაფე-რეალ სოსიედადი, სარაგოსა-ლევანტე, სპორტინგი-ერკულესი, ვილიარეალი-ოსასუნა, ბილბაო-რასინგი, სევილია-ესპანიოლი**; 16 იანვარი: **ვალენსია-დეპორტივო, ალმერია-რეალი, ბარსელონა-მალაგა**; 17 იანვარი: **ატლეტიკო-მალიორკა.**




### მალაგა-ბილბაო 1:1

**მალაგა (4-4-2):** ასენხო - ხ. გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, მტილიგა - დუდა (86. ფერნანდო), კამაჩო, მარესკა (56. რესიო), აპონიო - ქუინსი (73. ს. ფერნანდესი), რონდონი.

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ეკიზა, კოიკილი - ხ. მარტინესი, ორბაისი (83. ი. მარტინესი) - დ. ლოპესი, იტურასპე (60. დე მარკოსი), მუნიაინი (70. გაბილონდო) - ფ. ლორენტე.

**გოლები:** 1:0 დემიკელისი (80), 1:1 ხ. მარტინესი (93)

**გაფრთხილება:** კამაჩო, დემიკელისი, რესიო, აპონიო - იტურასპე, სან ხოსე, მუნიაინი

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 12-13 (3-6); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 25 000

### რეალ სოსიედადი-სევილია 2:3

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - ესტრადა, ანსოტეგი, ლაბაკა, მ. გონსალესი - რივასი, ელუსტონდო (72. ტამუდო) - ჩ. პრიეტო, ზურუტუზა, სუტილი (67. სარპონგი) - ხ. ლორენტე.

**სევილია (4-4-2):** პალოპი (46. ვარასი) - კასერესი, ალექსისი, ესკუდე, ფ. ნავარო - ხ. ნავასი, რომარიკი, რენატო (61. ნეგრედო), პეროტი - კანუტე, ლ. ფაბიანო (80. ჩიგარინი).

**გოლები:** 1:0 რივასი (23), 1:1 კანუტე (25), 2:1 ხ. ლორენტე (43), 2:2 ლ. ფაბიანო (63), 2:3 კანუტე (65)

**გაფრთხილება:** რივასი, მ. გონსალესი - ფ. ნავარო

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 12-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 14-16 (8-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 28 000

### დეპორტივო-ბარსელონა 0:4

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - ლაურე, კოლოტო, ლოპო, მ. პაბლო - რ. პერესი, ა. ტომასი - საული (54. ვალერონი), ხ. დომინგესი (79. პ. ალვარესი), დეზმარე (70. რინდარონი) - ანდერი.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - ადრიანო, პიკე, პუიოლი, აბიდალი - ინიესტა (81. ტ. ალკანტარა), მასკერანო, კეიტა - პედრო (81. აფელაი), მესი, ვილია (69. კრკიჩი).

**გოლები:** 0:1 ვილია (26), 0:2 მესი (51), 0:3 ინიესტა (78), 0:4 პედრო (80)

**გაფრთხილება:** რ. პერესი

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 9-6; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 7-8 (1-5); **ბურთის ფლობა:** 30%-70%.

**მაყურებელი:** 25 000

### რასინგი-სპორტინგი 1:1

**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო - ფრანსისი, ენრიკე, ტორეხონი, სისმა - რ. არკასი (79. კრისტიანი), ლასენი - კენედი (70. სერანო), ი. ბოლადო (59. ადრიანი), მუნიტისი - როზენბერგი.

**სპორტინგი (4-2-3-1):** კუელიარი - სასტრე, ი. ერნანდესი, გრეგორი, ანხელი - ეგურენი (56. დე ლას კუევასი), კასესი - ნ. ნოვო (56. სანგოი), ლორა, დ. კასტრო - ბარალი.

**გოლები:** 1:0 გრეგორი (29 ს.კ.), 1:1 დ. კასტრო (91)

**გაფრთხილება:** ლასენი - ანხელი, კასესი, ბარალი

**კუთხური:** 3-11; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 13-17 (3-9); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 15 000

### ოსასუნა-ხეტაფე 0:0

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - დამია, სერხიო, ფლანიო, ნელსონი - ლოლო (66. ლეკიჩი), პუნიალი - ხუანფრანი, ვადოცი, კამუნიასი (81. კალეხა) - არანდა (66. პანდიანი).

**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - მ. ტორესი, დიასი, რაფა, მანე - ბოატენგი, პარეხო (90. მოსკერა) - პ. რიოსი, მანუ, გავილანი (85. ვ. სანჩესი) - არისმენდი (86. ალბინი).

**გაფრთხილება:** კამუნიასი, ვადოცი, პუნიალი, ფლანიო - დიასი

**კუთხური:** 7-10; **ჯარიმა:** 14-10; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 15-18 (3-7); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 15 000

### მალიორკა-ალმერია 4:1

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - სენდროსი, ნუნიეში, რამისი, კევინი - ნსუე, მარტი (11. ჟ. ვიქტორი), დე გუზმანი, პერეირა - ვიქტორი (78. კასტრო), ვებო.

**ალმერია (4-2-3-1):** დ. ალვეში - მასედო, კ. გარსია, აკასიეტე, იაკობსენი (56. ულოა) - მბამი, ვარგასი (60. კორონა) - ხუანმა ორტისი, პიატი, კრუსატი (79. გოიტომი) - უჩე.

**გოლები:** 1:0 რამისი (11), 2:0 ვიქტორი (36), 2:1 კრუსატი (66), 3:1 ნსუე (67), 4:1 პერეირა (88)

**გაფრთხილება:** პერეირა, ჟ. ვიქტორი - იაკობსენი

**კუთხური:** 7-9; **ჯარიმა:** 14-9; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 18-10 (9-2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 13 000

### ესპანიოლი-სარაგოსა 4:0

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ჩიკა, ამატი, რუისი, დიდაცი - ბაენა, ხ. მარკესი (14. ს. გარსია) - ლ. გარსია, ვერდიუ (79. დუშერი), კალეხონი - ოსვალდო (28. ალვარო).

**სარაგოსა (4-2-3-1):** ლ. ფრანკო - დიოგო, ლანსარო, იაროშიკი, პარედესი - ედმილსონი (46. პინტერი), გაბი - ხ. ლოპესი (46. ბერტოლო), ანდერი, ლაფიტა - სინამა-პონგოლე (68. ბრაულიო)

**გოლები:** 1:0 ოსვალდო (8), 2:0 ლ. გარსია (30-პენ), 3:0 ალვარო (33), 4:0 ს. გარსია (86)

**გაფრთხილება:** ამატი, ჩიკა - დიოგო, სინამა-პონგოლე, პინტერი, ანდერი

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 12-19; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 11-13 (6-4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 27 000

### რეალი-ვილიარეალი 4:2

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - ს. რამოსი, ალბიოლი (69. კაკა), რ. კარვალიო, მარსელო - ლ. დიარა (46. ხედირა), ჩაბი ალონსო - დი მარია, იოზილი, რონალდო - ბენზემა (80. გაგო).

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - ა. ლოპესი (61. მარიო), გონსალო, კატალა, კაპდევილა - კანი (72. ორიოლი), ბ. ვალერო, ბრუნო, კასორლა - მ. რუბენი (64. მუსაჩიო), როსი.

**გოლები:** 0:1 კანი (6), 1:1 რონალდო (8), 1:2 მ. რუბენი (17), 2:2 რონალდო (44), 3:2 რონალდო (78), 4:2 კაკა (81)

**გაფრთხილება:** ბენზემა, ჩაბი ალონსო, დი მარია - ა. ლოპესი, კასორლა, ბრუნო, კაპდევილა

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 20-8; **თამაშგარე:** 7-4; **კარში დარტყმა:** 15-12 (7-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 68 000

### ლევანტე-ვალენსია 0:1

**ლევანტე (4-2-3-1):** მ. რეინა, სერა, ბალესტეროსი, რობუსტე, ხუანფრანი - ხ. ტორესი, პალიარდო (64. სერხიო) - ნადალი (75. მუნიოსი), რ. სუარესი (65. სტუანი), ხუანლუ - ფ. კაისედო.

**ვალენსია (4-4-2):** გუაიტა - მიგელი, სტანკევიჩიუსი, დეალბერტი, ალბა - პ. ერნანდესი (89. ფეგული), მადურო, თოფალი, მატა (90. ბანეგა) - ადურისი, სოლდადო (74. ვისენტე).

**გოლი:** 0:1 მატა (82)

**გაფრთხილება:** ბალესტეროსი, ხუანფრანი, სტუანი, რობუსტე - ადურისი

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 13-16 (2-6); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 23 000

### ერკულესი-ატლეტიკო დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 18 | 16 | 1 | 1 | 57-10 | 49 |
| 2. რეალი | 18 | 15 | 2 | 1 | 46-16 | 47 |
| 3. ვილიარეალი | 18 | 11 | 3 | 4 | 34-18 | 36 |
| 4. ვალენსია | 18 | 10 | 4 | 4 | 27-20 | 34 |
| 5. ესპანიოლი | 18 | 10 | 1 | 7 | 23-24 | 31 |
| 6. ატლეტიკო | 17 | 8 | 3 | 6 | 27-19 | 27 |
| 7. ხეტაფე | 18 | 8 | 3 | 7 | 28-25 | 27 |
| 8. მალიორკა | 18 | 8 | 3 | 7 | 23-21 | 27 |
| 9. სევილია | 18 | 8 | 2 | 8 | 25-29 | 26 |
| 10. ბილბაო | 18 | 8 | 2 | 8 | 27-30 | 26 |
| 11. სოსიედადი | 18 | 7 | 1 | 10 | 25-31 | 22 |
| 12. დეპორტივო | 18 | 5 | 6 | 7 | 15-24 | 21 |
| 13. რასინგი | 18 | 5 | 5 | 8 | 14-24 | 20 |
| 14. ერკულესი | 17 | 5 | 4 | 8 | 18-25 | 19 |
| 15. ოსასუნა | 18 | 4 | 6 | 8 | 15-21 | 18 |
| 16. მალაგა | 18 | 5 | 2 | 11 | 23-37 | 17 |
| 17. ლევანტე | 18 | 4 | 3 | 11 | 19-29 | 15 |
| 18. სპორტინგი | 18 | 2 | 7 | 9 | 15-27 | 13 |
| 19. სარაგოსა | 18 | 2 | 7 | 9 | 16-32 | 13 |
| 20. ალმერია | 18 | 2 | 7 | 9 | 16-31 | 13 |

**ბომბარდირები:** 22 - რონალდო (რეალი); 18 - მესი (ბარსელონა); 12 - ვილია (ბარსელონა); 11 - ფ. ლორენტე (ბილბაო); 10 - ნილმარი (ვილიარეალი); 9 - როსი (ვილიარეალი), პედრო (ბარსელონა); 8 - ტრეზეგე (ერკულესი), კანუტე (სევილია); 7 - იგუაინი (რეალი), ადურისი (ვალენსია), ფ. კაისედო (ლევანტე), აგუერო (ატლეტიკო).

## სეგუნდადივიზიონი

### XIX ტური

**ვილიარეალი-გრანადა 2:1**
**გოლები:** 1:0 ბორდასი (25), ფალკე სილვა (46), 2:1 ორელანა (78)

**ხიმნასტიკი-ვალიადოლიდი 1:0**
**გოლი:** 1:0 რ. ნავარო (70)

**კორდობა-პონფერადინა 3:3**
**გოლები:** 0:1 იური (20), 1:1 ალბერტო (24), 1:2 პეპე (26), 2:2 ხ. კალეხონი (30), 3:2 ლუკე (49), 3:3 ტორიბიო (52)
გაძევება: რედონდო (81. პონფერადინა)

**ნუმანსია-ლას პალმასი 4:0**
**გოლები:** 1:0 სედრიკი (2), 2:0 სედრიკი (60), 3:0 ხ. გარმენდია (79), 4:0 დელ პინო (81)

**ბარსელონა-ხირონა 1:2**
**გოლები:** 0:1 ტორტოლერო (71), 1:1 სორიანო (90), 1:2 დესპოტოვიჩი (90)

**კარტახენა-სალამანკა 1:0**
**გოლი:** 1:0 ტოჩე (33)

**ელჩე-სელტა 1:3**
**გოლები:** 0:1 დ. როდრიგესი (44), 0:2 მიჩუ (63), 0:3 დე ლუკასი (77), 1:3 ლინარესი (84)
გაძევება: ბოდიპო (71. ელჩე)

**ალკორკონი-უელვა 2:1**
**გოლები:** 1:0 მონტანიესი (19), 1:1 ნიგუესი (32), 2:1 ბერმუდესი (52)

**ხერესი-რაიო ვალეკანო 0:1**
**გოლი:** 0:1 მიჩელი (88)

**უესკა-ბეტისი 1:1**
**გოლები:** 1:0 კამაჩო (53), 1:1 არსუ (56)

**ტენერიფე-ალბასეტე 0:1**
**გოლი:** 0:1 ტატო (44)
გაძევება: ლუნა (24. ტენერიფე)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეტისი | 19 | 13 | 4 | 2 | 43-17 | 43 |
| 2. სელტა | 19 | 11 | 6 | 2 | 35-18 | 39 |
| 3. ვალეკანო | 19 | 11 | 4 | 4 | 30-19 | 37 |
| 4. კარტახენა | 19 | 9 | 5 | 5 | 29-22 | 32 |
| 5. ხერესი | 19 | 9 | 3 | 7 | 30-27 | 30 |
| 6. ბარსელონა | 19 | 7 | 7 | 5 | 29-28 | 28 |
| 7. ვილიარეალი | 19 | 8 | 4 | 7 | 24-29 | 28 |
| 8. ნუმანსია | 19 | 8 | 3 | 8 | 29-22 | 27 |
| 9. გრანადა | 18 | 7 | 5 | 6 | 32-22 | 26 |
| 10. ელჩე | 19 | 6 | 8 | 5 | 18-19 | 26 |
| 11. სალამანკა | 19 | 7 | 3 | 9 | 21-24 | 24 |
| 12. ვალიადოლიდი | 19 | 6 | 5 | 8 | 26-27 | 23 |
| 13. ალბასეტე | 19 | 5 | 8 | 6 | 17-19 | 23 |
| 14. ხირონა | 19 | 5 | 7 | 7 | 25-26 | 22 |
| 15. უესკა | 19 | 4 | 10 | 5 | 14-18 | 22 |
| 16. ლას პალმასი | 19 | 5 | 7 | 7 | 29-38 | 22 |
| 17. კორდობა | 19 | 4 | 9 | 6 | 25-27 | 21 |
| 18. ალკორკონი | 19 | 6 | 3 | 10 | 22-28 | 21 |
| 19. უელვა | 19 | 3 | 10 | 6 | 17-21 | 19 |
| 20. ხიმნასტიკი | 19 | 3 | 7 | 9 | 14-23 | 16 |
| 21. პონფერადინა | 19 | 3 | 7 | 9 | 16-36 | 16 |
| 22. ტენერიფე | 18 | 3 | 5 | 10 | 14-29 | 14 |

**ბომბარდირები:** 14 - ა. გეიხო (გრანადა); 12 - ქუინი (ალკორკონი), რ. კასტრო (ბეტისი); 11 - ტოჩე (კარტახენა); 10 - ხ. გუერა (ვალიადოლიდი), დ. როდრიგესი (სელტა), ემანა (ბეტისი), არმენტეროსი (რაიო ვალეკანო); 9 - სორიანო (ბარსელონა); 8 - ხოსე მარი (ხერესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძიუდო. მასტერსის ტურნირი

# სიურპრიზით გახსნილი სეზონი

საახალწლო ეიფორიას ჯერ ხეირიანად არც კი ჩაუვლია, ძიუდოისტებს კი სეზონის პირველი ტურნირი კარს მოადგათ - 15-16 იანვარს ბაქო ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებას, „მსოფლიოს მასტერსს" უმასპინძლებს. მასში საქართველო ექვსი სპორტსმენით წარდგება: **ამირან პაპინაშვილი, დავით ასუმბანი** (ორივე-60), **ლევან ნიკლაური** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) და **ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100).

სიმართლე გითხრათ, ცოტა დაგვაბნია ამ სიაში ხანჯალიაშვილის გამოჩენამ და საერთოდ, მასტერსის მონაწილეთა იმ სიამ, რაც საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა. აქამდე ასე ხდებოდა - რეიტინგის 16 მოწინავეს ავტომატურად იწვევდნენ ტურნირში, მე-17-18 ადგილებზე მყოფნი კი სათადარიგოთა სიაში რჩებოდნენ იმ შემთხვევისთვის, თუ იმ 16-ეულიდან ვინმე იუარებდა ჭიდაობას. ასეთი თუ ორზე მეტი აღმოჩნდებოდა, რეიტინგში 18-ზე ქვევით მყოფებს მაინც არ იწვევდნენ შეჯიბრებაზე. ზემოდასახელებულ ჩვენებურთაგან 16-ში პირველი ხუთეული შედიოდა, ხანჯალიაშვილი კი 21-ე იყო. ამის მიუხედავად, მაინც მიიწვიეს და სეზონის დასაწყისშივე სასიამოვნო სიურპრიზი მოგვიწყვეს. ამის ზუსტი მიზეზი ვერავინ აგვიხსნა, სავარაუდოდ კი გვითხრეს, რომ შეიძლება ადრინდელი მკაცრი მიდგომა შეიცვალა და ახლა ზუსტად იმდენს დაუშვებენ სათადარიგოთა სიიდან, რამდენიც ძირითადიდან იუარებს გამოსვლას. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ხანჯალიაშვილის მიწვევა გასაგებია, მაგრამ აქ სხვა გაუგებრობაა - წონათა უმრავლესობაში ეს წესი დარღვეულია და საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ სიებში თითქმის ყველგან აკლია მონაწილე - ზოგან 14, ზოგან 15-16-ია და ასე შემდეგ.

თუმცა ახლა ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა ამ მიწვევის ნამდვილი მიზეზი, ფაქტი კი ისაა, რომ ხანჯალიაშვილს ბაქოში გამოსვლის ნება დართეს. ამის თაობაზე საქართველოს ძიუდოს ფედერაციას ევროპული ფედერაციის რუმინელმა ვიცე-პრეზიდენტმა **დანიელ ლასკაუმ** მიმართა, რომელსაც აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა ჩვენებური მასტერსზე გამოსვლას. ამაზე დადებითი პასუხი მიიღო იმის მიუხედავად, რომ სპორტსმენს დეკემბერში მცირე ტრავმა აწუხებდა, ვერც კანოს ტურნირზე იჭიდავა იაპონიაში და ვერც ერთობლივ ვარჯიშებზე წავიდა იქ. როგორც გვითხრეს, ამჟამად მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შეუძლია გამოსვლა.

მასტერსი ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული შეჯიბრებაა ძიუდოს სამყაროში. ის გავლენითა და რანგით მხოლოდ მსოფლიოს პირველობას და ოლიმპიადას ჩამოუვარდება - იქ ჩემპიონობისთვის სალიცენზიო რეიტინგში, შესაბამისად, 500 და 600 ქულა იწერება, აქ - 400. მოგეხსენებათ, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონობისთვის განსაზღვრული პრემიები ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეროგატივა არ არის, ამას მხოლოდ „დიდ მუზარადზე", „დიდ პრიზზე" და მასტერსზე აწესებს. სამეულში კი ყველაზე მაღალანაზღაურებადი სწორედ ეს უკანასკნელია. მასტერსის საპრიზო ფონდიდან გამარჯვებულის სარგო 6 000-ია, ვერცხლის პრიზიორისა - 4 000, ბრინჯაოსი - 2 000 - 2 000. „დიდი პრიზის" საპრიზო ფონდიდან მედალოსნები კი, შესაბამისად, 3, 2 და 1000-1000 დოლარს იღებენ, ხოლო „დიდ მუზარადზე" მედალოსნები 5, 3 და 1 500-1 500-ს.

ბაქო მასტერსს წლეულს პირველად მასპინძლობს და ღირსეულად ჩასატარებლად გულმოდგინედ ემზადება. შეჯიბრებას „სერხედჯის" ოლიმპიური კომპლექსი უმასპინძლებს. წინასწარი მონაცემებით, ტურნირში 40 ნაკრები გამოვა, თუმცა გასაგები მიზეზების გამო არ იქნება სომხეთის ნაკრები, თუმცა მათგან მასპინძლებს მხოლოდ **ჰოვანეს დავთიანი** დააკლდებათ 60-ში, რადგან მის გარდა, სხვას არც ჰქონდა იქ ჭიდაობის ნება მოპოვებული.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ბაქოში უძლიერესი გუნდით არც იაპონელები ჩავლენ - მათი ლიდერების ნაწილი - მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი **ჰიროაკი ჰიროაკა** (60), მსოფლიოს ჩემპიონი **ჰიროიუკი აკიმოტო** (73) არ აპირებენ იქ ჭიდაობას და არა გვგონია, დარჩენილ დღეებში რამე შეიცვალოს. არც ფრანგთა ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **სოფიენ მილოში** (60) იქნება, თუმცა არც ისეა საქმე, ტურნირს ვარსკვლავები აკლდნენ. იჭიდავებს მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთა უმეტესობა: უზბეკი **რიშოდ სობიროვი** (60), იაპონელი **ჯუნპეი მორიშიტა** (66), კორეელი **ჯი-ბუმ კიმი** (81), ბერძენი **ილიას ილიადისი** (90), იაპონელი **ტაკამასა ანაი** (100), ფრანგი **ტედი რინერი** (+100) და იაპონელი **დაიკი კამიკავა** (აბსოლუტური). იქნებიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონი **გიორგი ზანთარაია** (60) უკრაინიდან, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი **ლუდვიგ პაიშერი** (60) ავსტრიიდან, მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **ჩაგანბაატარ ხაშბაატარი** (66) მონღოლეთიდან, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **კი-ჩუნ ვანგი** (73) კორეიდან, მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორი **ეუან ბარტონი** (81) ბრიტანეთიდან, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ანდრეას ტოლცერი** (+100) გერმანიიდან, მსოფლიოს პრიზიორი **ისლამ ელ-შეჰაბი** (+100) ეგვიპტიდან, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **კეიჯი სუძუკი** (+100) იაპონიიდან, მასპინძელთა ოლიმპიური ჩემპიონი **ელნურ მამედლი** (81) და სხვები. 15-ში ვაჟთაგან 60, 66 და 73-ის ფალავნები იჭიდავებენ, ქალთაგან - 48, 52, 57 და 63-ის წარმომადგენლები, დანარჩენები კი მეორე დღეს ეცდებიან წარმატების მოპოვებას.

**ირაკლი თავაძე**

ფარიკაობა



# ბაკურიანი უკრაინელებმა გაიხსენეს

**20 წელიწადზე მეტია, ბაკურიანში სხვა ქვეყნების ცნობილ სპორტსმენებს და ნაკრებ გუნდებს ფეხი არ დაუდგამთ. 2011 წლის 2 იანვარს, ზუსტად ბედობის დღეს, ნავსი გატყდა — "პრემიერ პალასს" (ყოფილი სათხილამურო ბაზა, სადაც სსრკ ოლიმპიური გუნდები გადიოდნენ შეკრებებს), უკრაინის ფარიკაობის ქალთა და ვაჟთა გაერთიანებული ნაკრები ეწვივნენ.**

**— უკრაინაში მშვენიერი მთიანი ადგილები გაქვთ, რატომ შეაჩერეთ არჩევანი ბაკურიანზე?**

— ვიყავით ჩვენს ვოროხტაში, მაგრამ რა შედარებაა ბაკურიანთან. ვოროხტა ზღვის დონიდან ბევრად დაბალზეა. ან ყაზახეთში უნდა წავსულიყავით შეკრებაზე, ან საქართველოში - ბაკურიანში. თქვენმა ფედერაციამ, პირადად მისმა პრეზიდენტმა არჩილ გოგელიამ სრული ინფორმაცია მოგვაწოდა და თანადგომა დაგვიდასტურა. ქართველი მეგობრების მიერ შერჩეულმა "პრემიერ პალასმა" მოლოდინს გადააჭარბა. აქ ყოველმხრივ შესანიშნავი პირობებია — სასტუმრო, კვება, საუნა, საცურაო აუზი, სპორტდარბაზში ტრენაჟორებიც კი დაგვახვედრეს, ტრადიციულ სტუმართმოყვარეობაზე აღარაფერს ვამბობ, უჩვეულოდ სასიამოვნო გარემოცვაა - გვითხრა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **ვალერი შტუბაბინმა.**

**— რამდენი სპორტსმენით ჩამობრძანდით, როგორ ვარჯიშობთ, როგორია თქვენი გეგმები?**

— შეკრებაზე 30 ხმლით მოფარიკავე ვაჟი და ქალი ჩამოვიყვანეთ. ჩემთან ერთად მეორე მწვრთნელიცაა — ანატოლი შლიკინი. ამ ნაკრებმა ოლიმპიადაზე გუნდური ოქროს მედალი დაისაკუთრა. ქალებიდან — ოლია ხარლანი (იგი მსოფლიოს 8-გზის ჩემპიონიცაა), ოლგა ჟოვნირი, გალინა პუნდიკი, ელენა ხომროვაი; ვაჟებიდან — ბოიკო, კამაშუკი, ვორონინი, შტუბაბინი და სხვები. რა თქმა უნდა, ძირითად დროს ფიზიკურ მომზადებას ვუთმობთ. მოფარიკავეები თხილამურებზეც დგებიან. აქ იშვიათი ბუნება და სუფთა ჰაერია, რაც ჩვენ ესოდენ გვჭირდება კონდიციების ასამაღლებლად. დარბაზში კი ქართველ მოფარიკავეებთან ერთად ვვარჯიშობთ დღეში 3-ჯერ. ეს ამ წლის პირველი შეკრებაა, სალიცენზიო ოლიმპიური ქულების მოსაპოვებლად ვემზადებით, წინ მსოფლიოს თასის გათამაშებაა. 12 იანვარს ბაკურიანიდან მივდივართ. აქაურობას დავტოვებთ დიდი სიყვარულით და სითბოთი. თქვენი მოფარიკავეები კიევშიც ჩამოდიან ხოლმე შეკრებაზე და ყოველთვის მეგობრულად ვხვდებით ერთმანეთს, თვით შეჯიბრის დროსაც კი. წარმოშობით ბაქოდან ვარ, მაგრამ 23 წელიწადია უკრაინაში ვცხოვრობ. აი, თბილისი კი უცხო არაა ჩემთვის. ბაკურიანში პირველად ჩამოვედი.

სტუმართან ჩვენს საუბარს შემოუერთდა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ზაზა მჭედლიშვილი,** გენერალური მდივანი **დავით სახვაძე,** საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მერაბ ბაზაძე,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **გრიმი ჯვარიძე.**

— აი, რა ყურადღებას იჩენენ ჩვენდამი, მეგობრობაც და მასპინძლობაც ამას ჰქვია, - გვითხრა სტუმარმა.

**დავით სახვაძე:** გადავწყვიტეთ 5 ქართველ მოფარიკავეს უკრაინელებთან ერთობლივად გაევლო შეკრება. ასეთ ძლიერ ნაკრებთან მომზადება, ცხადია, ძალიან სასარგებლოა. ორივე მხარე კმაყოფილი ვართ.

სექტემბერში თბილისი უმასპინძლებს საერთაშორისო ტურნირს, რომელიც ევროპის ფარიკაობის კალენდარშია შეტანილი. ასეთი ღონისძიება 40 წელიწადია საქართველოში არ ჩატარებულა. ის, რომ უკრაინის მოფარიკავეთა ძირითადი ნაკრები ბაკურიანშია, პირველ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ბაკურიანში უცხოეთის ნაკრები გუნდების შეკრებების ტრადიციის აღდგენის გზაზე.

**გურამ სანაკოევი,** "პრემიერ პალასის" ტექნიკური მენეჯერი: უკრაინელებმა პირველებმა გაიხსენეს ბაკურიანი, გვითხრეს, რომ მზად არიან ზაფხულშიც ჩამოვიდნენ შეკრებაზე. აქაურ ამბავს კი სპორტის სხვა სახეობების ნაკრები გუნდების ხელმძღვანელებსაც ჩაუტანენ თავის ქვეყანაში.

**სოფიკო ხეთაგაშვილი**
ბაკურიანიდან
ავტორის ფოტოები



სუმოს სამყარო. ჰაცუ ბაშო. 9-23 იანვარი.

# იმპერატორის თვალწინ

## გაგამარუ სეზონს რიხით იწყებს



სუმოისტები იმპერატორს ესალმებიან

გუშინ ტოკიოს სუმოს მექა „რიოგოკუ კოკუგიკანში" საზეიმო ატმოსფერო იყო, წლის პირველი ბაშოს პირველ დღეს გამორჩეულ სუმოისტთა ასპარეზობას პატივი თვით იაპონიის იმპერატორმა დასდო. მაშ ასე, იანვრის ბაშო დაიწყო, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ქართველთათვის წარმატებულად - ჩვენი სამეულიდან მხოლოდ ერთმა გაიმარჯვა.

წლის პირველივე ორთაბრძოლა მოიგო 23 წლის **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა ელიტაში და ყველაზე მძიმეა (198 კგ). გაგამარუ მხოლოდ მეოთხედ ჭიდაობს მაკუუჩის დივიზიონში, მაგრამ მისი პროგრესი აშკარაა, ღონიერი ქართველი უკვე დასავლეთის მე-6 მაეგაშირაა. სპეციალისტები შეთანხმდნენ, რომ დღის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი გამარჯვება სწორედ გაგამარუმ მოიპოვა - ჩვენებურმა „პატარა ტანკ" **ტაკეკაძეს** (მე-7 მაეგაშირა) იორიტაოშის ილეთით მოუგო. ეს გაგამარუს 25-ე გამარჯვება იყო უმაღლეს დივიზიონში. დღეს თეიმურაზი მონღოლ **ასასეკირიუს** (მე-5 მაეგაშირა) დაეჭიდება, რომელიც ყოფილი სეკივაკეა. ასასეკირიუმ მარცხით დაიწყო ჰაცუ ბაშო, ქართველი და მონღოლი ერთმანეთს პირველად შეხვდებიან.

ყოფილი კომუსუბი **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** აღმოსავლეთის მე-2 მაეგაშირაა. ტოკიოში ის დაკარგული ტიტულის დასაბრუნებლად იბრძოლებს. პირველ დღეს მისი მეტოქე ჩემპიონი (ოძეკი) **ჰარუმაფუჯი** იყო. მონღოლი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, თუკი ჰაცუ ბაშოზე ვერ იყოჩაღა, ჩემპიონის ტიტულს დაკარგავს. დაიწყო ორთაბრძოლა და ჰარუმაფუჯიმ მარჯვედ დაიჭირა მარჯვენა ხელით ქართველის ყელი, გადამწყვეტი სწორედ ეს გამოდგა, რადგან შემდეგ მიწოლა ჰარუმაფუჯის აღარ გასჭირვებია. დღეს ტოჩინოშინის მეტოქე 26 წლის სეკივაკე **კოტოშოგიკუა**, ჩვენებურის უხერხული მეტოქე - 3:6 ურთიერთშეხვედრებში.

ყველაზე კრიტიკული მდგომარეობა ქართველთა შორის **კოკაის (ლევან ცაგურია)** აქვს - სუმოს პირველი ევროპელი ელიტელი აღმოსავლეთის მე-15 მაეგაშირაა. ზუსტად 7 წელიწადი შესრულდა, რაც „შავი ზღვა" უმაღლეს დივიზიონშია და მას ერთხელაც არ დაუტოვებია ელიტა, ეს კი მხოლოდ გამორჩეული რიკიშის ხვედრია. კოკაი სწორედ ახლა დგას დიდი საფრთხის წინაშე, უარყოფითი ბალანსი მას ძურიოში დააქვეითებს. პირველ დღეს კოკაიმ ოშიდაშით **კიმურაიამასთან** (მე-14 მაეგაშირა) წააგო. დღეს „შავი ზღვა" 36 წლის ვეტერან **ტოჩინონადას** (მე-16 მაეგაშირა) შეხვდება. ყოფილ სეკივაკეს კოკაი 15-ჯერ შეხვდა და 10-ჯერ მოუგო. კოკაის უმაღლეს დივიზიონში გატარებულ 7 წელიწადში 299 გამარჯვება აქვს მოპოვებული...

ბაშოს გახსნის დღისთვის რეკორდულად ბევრმა ფირმამ მოინდომა დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოსა** და კომუსუბი **კაკურიუს** ორთაბრძოლაზე ფსონის ჩამოსვლა - 45-ვე კენშო (ბარათში ჩადებული ჰონორარი) იოკოძუნას ერგო, რომელმაც მარცხენა ფლანგიდან შეუტია „წერო-ურჩხულ" კაკურიუს. ყველა ჩემპიონმა მოიგო ესტონელ **ბარუტოს** გარდა, რომელსაც მასზე 28 სანტიმეტრით დაბალმა **ტოიონოშიმამ** აჯობა.

**I დღე:** ჰაკუჰო-კაკურიუ (ოშიდაში), კაიო-ტოჩიოძანი (ჰატაკიკომი), ტოიონოშიმა-ბარუტო (ჰიკიოტოში), კოტოოშუ-ამინიშიკი (ოშიდაში), ჰარუმაფუჯი-ტოჩინოშინი (იორიკირი), კისენოსატო-იოშიკაძე (ცუკიდაში), კოტოშოგიკუ-არანი (იორიკირი), ტამავაში-ჰომაშო (ჰატაკიკომი), ტოკუსეგავა-გოეიდო (უვატენაგე), კიოკუტენჰო-ასასეკირიუ (იორიკირი), გაგამარუ-ტაკეკაძე (იორიტაოში), კიტატაიკი-ტოსაიუტაკა (ოშიტაოში), ტაკამისაკარი-ტოკიტენკუ (უვატენაგე), ვაკანოსატო-მიაბიამა (ჰატაკიკომი), შოტენრო-ჰაკუბა (ცუკიდაში), შიმოტორი-კორიუ (იორიკირი), ოკინოუმი-მოკონამი (იორიტაოში), ვაკაკოიუ-კოტოკასუგა (კოტენაგე), კიმურაიამა-კოკაი (ოშიდაში), სოკოკურაი-ტოიოჰიბიკი (იორიტაოში), ტოჩინონადა-ტოიოძაკურა (ჰატაკიკომი).

**II დღე:** ჰაკუჰო-ტოიონოშიმა, ბარუტო-კაკურიუ, კოტოოშუ-ტოჩიოძანი, ჰარუმაფუჯი-იოშიკაძე, კაიო-ამინიშიკი, კოტოშოგიკუ-ტოჩინოშინი, კისენოსატო-არანი, ტამავაში-ტოკუსეგავა, ჰომაშო-გოეიდო, ასასეკირიუ-გაგამარუ, კიოკუტენჰო-ტაკეკაძე, ტოსაიუტაკა-ტაკამისაკარი, ტოკიტენკუ-ვაკანოსატო, კიტატაიკი-მიაბიამა, ჰაკუბა-შიმოტორი, შოტენრო-კორიუ, მოკონამი-კოტოკასუგა, ოკინოუმი-ვაკაკოიუ, კიმურაიამა-ტოიოჰიბიკი, კოკაი-ტოჩინონადა, სოკოკურაი-ტოიოძაკურა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# უნივერსიტეტი ცოტას მოიცდის, ახლა ჭადრაკის ჯერია

## ■ ნაზი პაიკიძემ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან ხელშეკრულება გააფორმა

## ■ ფიდეს გრანპრის გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ჰოუ იფანს შეხვდება



**ნაზი პაიკიძე და გია გიორგაძე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ**

გუშინ სასტუმრო „ანაკლიაში" (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 68-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 13 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი წრიული სისტემით იბრძოლებს მედლებისთვის. მოასპარეზეთა შორისაა **ნაზი პაიკიძე**. იგი ტურნირზე რეიტინგით (2455) პირველია.

პაიკიძე 17 წლისაა (დაიბადა 1993 წლის 27 ოქტომბერს ირკუტსკში). ჭადრაკის თამაში ხუთი წლისას მამამ ასწავლა. თანატოლებში საქართველოს პირველობების მრავალგზის პრიზიორია. **მარიამ დანელიას** გადამკიდე, ჩემპიონობას ვერ ველირსეო, იხუმრა. სამაგიეროდ, ორჯერ მსოფლიოს [illegible] და 16-წლიანებში) და ოთხჯერ ევროპის (10, 12, 14, 16-წლიანებში) პირველობებზე გაიმარჯვა, ექვსჯერ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა. ბოლო ხუთი წელიწადია, მოსკოვში ცხოვრობს და იქვე ვარჯიშობს: ორი წელიწადი **ვლადიმირ ლეპიოშკინი** წვრთნიდა, სამი წელიწადია, დიდოსტატ **ვლადიმირ ბელოვთან** იმაღლებს ოსტატობას. ოჯახი რუსეთის დედაქალაქში ნაზის ძმის - გოჩას გამო გადავიდა. იგი იქაურ „ლოკომოტივში" თამაშობდა ფეხბურთს. სამწუხაროდ, მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და საბოლოოდ ჩამოშორდა სპორტს. რაც შეეხება ნაზი პაიკიძეს, მისთვის განსაკუთრებით წარმატებული 2010 წლის სეზონი აღმოჩნდა: ჯერ მოსკოვის ღია საერთაშორისო ტურნირზე **სალომე მელიასთან** ერთად პირველი-მეორე ადგილები გაიყო (კოეფიციენტით I იყო), მერე დედაქალაქის ჩემპიონატი მოიგო - ქულით გაუსწრო **ირინა ზაკუდრიაევას.** რადგანაც ორმაგი მოქალაქეობა აქვს, რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაშიც მოსინჯა ძალები. იქაც იყოჩაღა - მართალია, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **სვეტლანა მატვეევასთან** დამარცხდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც პირველ ადგილზე გავიდა და სუპერფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

- ძალიან ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, - მითხრა თბილისში ჩამოსულმა ნაზი პაიკიძემ. - მედლებისთვის სხვებთან ერთად მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულები: დები ტატიანა და ნადეჟდა კოსინცევები, ალექსანდრა კოსტენიუკი, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონი იყო, ალისა გალიამოვა და ვალენტინა გუნინა იბრძოდნენ. მათთან პაექრობა ჩემთვის დიდი გამოცდა იყო. რომ არა დასანანი მარცხი გალიამოვასთან, ალბათ, უმედლოდ არ დავრჩებოდი. ამის მიუხედავად, მაინც შემეძლო ჩემპიონობის მოპოვება. ბოლოს სუპერფინალში ყველაზე დაბალი რეიტინგის მქონე ვერა ნებოლსინას შევხვდი. ჩვენ ორივეს ერთი მწვრთნელი გვავარჯიშებს, ამიტომ ბელოვმა ორთაბრძოლისთვის მომზადებაზე უარი მითხრა. ჩემით კი გადავხედე მეტოქის პარტიებს, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. ისეთი დებიუტი ავირჩიე, რომელსაც ნებოლსინა თურმე კარგად იცნობდა. მიტელშპილში ოდნავ უარესი პოზიცია მივიღე. ამის მიუხედავად, ყაიმისა და მედლის შანსი მაინც მრჩებოდა. სამწუხაროდ, ვიჩქარე, უხეში შეცდომა დავუშვი და წავაგე. საბოლოოდ მე-4 ადგილზე გავედი, რაც ურიგო შედეგი არ არის, მაგრამ გულდასაწყვეტი ის იყო, რომ მთელი ტურნირის განმავლობაში ვლიდერობდი და ბოლოს უმედლოდ დავრჩი.

**- სუპერფინალის დამთავრებას, როგორც ვიცი, მოუთმენლად ელოდნენ რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ევგენი ბარეევი და ქვეყნის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის მრჩეველი არკადი დვორკოვიჩი, რომლებსაც შენი გადიბირება სურდათ...**

- რუსეთის უმაღლესი ლიგის მოგების შემდეგ ბარეევმა საკმაოდ მაცდური წინადადება შემომთავაზა რუსეთის ჭადრაკის ფედერაციაში გადასასვლელად - მაღალკვალიფიციური მწვრთნელი, რუსეთის ნაკრებთან ერთად საწვრთნელი შეკრებები... ანუ ის, რაც აუცილებლად სჭირდება მოჭადრაკეს შემდგომი დაოსტატებისთვის. მე და ჩემი მშობლები გია გიორგაძეს შევეხმიანეთ. საქართველოდან თანადგომის იმედი თუ მექნებოდა, შემოთავაზებაზე უარს ვიტყოდი, რადგან ჩემი ოცნებაა საქართველოს ნაკრებში თამაში. ბატონმა გიამ ხელშეკრულების გასაფორმებლად და ეროვნულ ჩემპიონატში სათამაშოდ თბილისში მომიწვია. ფედერაციის წინადადება ჩემთვის მისაღები იყო და, როგორც ხედავთ, აქ ვარ.

**- ანაკლიაში ძლიერ მეტოქეებთან მოგიწევს დაპირისპირება... თუმცა მათთან ხომ უწინაც გითამაშია?**

- როგორ არა, უმეტესობასთან - სხვადასხვა ასაკში საქართველოს პირველობებზე. მახსოვს, მარიამ დანელიამ ორჯერ წამართვა ჩემპიონობა. ამის შემდეგ დიდი დრო გავიდა. ქართველი მოჭადრაკეებიც საკმაოდ დაწინაურდნენ. 2008 წელს დრეზდენში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა მოიგეს, 2009 წელს ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრებს მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩნენ, შარშან კი ხანტი-მანსიისკში მესამე ადგილი დაიკავეს. უდიდესი გამოცდილება აქვთ, ასე რომ, ძნელი ორთაბრძოლები მელის. მზად ვარ ამგვარი გამოწვევისთვის. შანსებზე კი ვერაფერს გეტყვით, რადგან ის გაიმარჯვებს, ვინც 10 იანვრის შეჯიბრებას უკეთ მომზადებული შეხვდება.

**- ტურნირზე რეიტინგით პირველი ხარ...**

- შარშან 170 თუ 180 პუნქტი მოვიმატე, რაც უდიდესი ნახტომი იყო, თუმცა ამ ჩემპიონატისთვის ეს არაფერს ნიშნავს. ახლა რეიტინგზე აღარც ვფიქრობ, მთავარია, კარგად ვითამაშო.

**- თურქეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზეც მინდა გკითხო. ელოდი, 16 წლის ჰოუ იფანი ტიტულს რომ მოიპოვებდა?**

- ასაკის მიუხედავად, მან ღირსეულად მოიგო ჩემპიონატი. ველოდი კიდეც. ის ხომ მსოფლიოს რეიტინგში მესამე ადგილზეა. თანაც 2008 წელს მან ფინალში ითამაშა კოსტენიუკთან. უბრალოდ, იმსახურებდა ჩემპიონობას. მე უფრო იმან გამაკვირვა, თურქეთში ქართველი და რუსი უძლიერესი მოჭადრაკეები მეორე-მესამე რაუნდებს რომ ვერ გასცდნენ.

**- უპირველესად, ალბათ, ნანა ძაგნიძე გყავს მხედველობაში...**

- ნანა დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეა. მან ხომ შესანიშნავად ითამაშა როგორც ფიდეს გრანპრის სამივე ეტაპზე, ასევე ხანტი-მანსიისკში. საჭადრაკო ოლიმპიადაზე ბოლო პარტია რომ მოეგო, პირველ დაფაზე ოქროს მედალს აიღებდა. ნანას თავისუფლად შეუძლია, ღირსეული მეტოქეობა გაუწიოს მსოფლიოს ნებისმიერ მოჭადრაკეს ტიტულისთვის ბრძოლაში. არც მეეჭვება, რომ გვასახელებს.

**- სამომავლო გეგმებზე რას იტყვი?**

- ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ „აეროფლოტის" საერთაშორისო ტურნირისთვის მოვემზადები. იქ მთავარ ტურნირში დამიშვეს, სადაც 2550 და უფრო მაღალი რეიტინგის მქონე ვაჟები გამოვლენ. მოსკოვის ღია პირველობაზეც უნდა მეთამაშა წრიული სისტემით, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან ზედიზედ სამ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში მონაწილეობა გამიჭირდება. მით უმეტეს, რომ ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატშიც უნდა ვიასპარეზო.

**- მოსკოვისა და რუსეთის პირველობებში?**

- ჩემ გამო წესდებაში ცვლილებები შეიტანეს - იქ მხოლოდ რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის წევრებს დაუშვებენ.

**- 16-წლიანებში ევროპის პირველობის მოგებით ტეხასის შტატის უნივერსიტეტში უფასოდ სწავლების უფლება მოიპოვე. ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნე, რომ აქტიურ ჭადრაკს თავს დაანებებდი და სასწავლებლად გაემგზავრებოდი. ბოლო დროს კი პირიქით ხდება...**

- სკოლის დამთავრების შემდეგ მართლაც მინდოდა, სწავლისთვის მეტი ყურადღება დამეთმო, მაგრამ 2010 წლის წარმატებებმა არჩევანი შემაცვლევინა. ახლა ისეთ ასაკში ვარ, ჭადრაკში წინსვლას ვერ შევაფერხებ, მერე დაბრუნება გამიჭირდება. უნივერსიტეტის რექტორს ვესაუბრე. ჩემი მიღწევები რომ შეიტყო, შემპირდა, სულ მცირე, სამი წელიწადი ადგილს შეგინარჩუნებთო. ასე რომ, უნივერსიტეტი და სწავლა ცოტას მოიცდის. ახლა მთავარია, კარგად ვითამაშო და საქართველოს ნაკრებში ადგილი მოვიპოვო...

ნაზი პაიკიძესთან კონტრაქტის გაფორმების თაობაზე კომენტარი ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტ **გია გიორგაძეს** ვთხოვე:

- პაიკიძე პერსპექტიული, დიდი პოტენციის მქონე მზარდი მოჭადრაკეა, რაც მან შარშანდელ ტურნირებშიც დაამტკიცა. მასთან კონტრაქტის გაფორმებას პოლიტიკური ელფერიც დაჰკრავს, რადგან ნაზის გადაბირებას რუსეთის ჭადრაკის ფედერაცია აპირებდა. ბარეევსა და დვორკოვიჩს, როგორც მითხრეს, ტექსტიც კი ჰქონდათ მზად, პაიკიძის თანხმობის შემთხვევაში ტელევიზით რა უნდა ეთქვათ. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ნაზის საქართველოს სახელით სურს შეჯიბრებებზე გამოსვლა. შეძლებისდაგვარად დავეხმარებით. საქართველოს ქალთა ნაკრებში მოსახვედრად ჯანსაღი კონკურენცია გვაქვს. მხოლოდ ნანა ძაგნიძეს აქვს იქ ადგილი დაბევებული, რადგან ბოლოდროინდელი წარმატებებით იგი ქართველ მოჭადრაკე ქალთა უპირობო ლიდერად ჩამოყალიბდა. ძლიერი ნაკრები გვჭირდება. წლეულს ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრება მოგველის - ევროპის და მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატები. ეს უკანასკნელი ელიტური ტურნირია, რადგან მასში პლანეტის 10 უძლიერესი გუნდი იასპარეზებს. ამ შეჯიბრებაზე მედალი ჯერ არ მოგვიპოვებია და წლეულს ნავსი აუცილებლად უნდა გავტეხოთ. ამიტომაც გვჭირდება ნაკრებში მოსახვედრად უფრო მძაფრი კონკურენცია.

**- ნანა ძაგნიძე ეროვნულ ჩემპიონატში არ ითამაშებს...**

- იგი ახლა ინდივიდუალური გეგმით ემზადება ფიდეს ქალთა გრანპრის ბოლო ეტაპისთვის, რომელსაც 20 თებერვლიდან ყატარი უმასპინძლებს. პირველ ან მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში გათამაშებაში გაიმარჯვებს. თუ ასე მოხდა, როგორც ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციიდან გვაცნობეს, 2011 წლის ბოლოს ჩინელ ჰოუ იფანს მსოფლიოს ჩემპიონობისთვის დაუპირისპირდება. ასე რომ, საქართველოს დაფნის გვირგვინის დასაბრუნებლად რეალური შანსი ეძლევა.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# მიიღეთ მონაწილეობა თქვენი გაზეთის შექმნაში, გახადეთ იგი თქვენთვის კიდევ უფრო საინტერესო

გთავაზობთ კითხვარს – შესაძლებლობა გეძლევათ თქვენი მოსაზრებები და იდეები, შენიშვნები და სურვილები გაგვიზიაროთ

## ერთად შევქმნათ თქვენი გაზეთი!

### ☒ შესაბამისი უჯრა გადახაზეთ

**1. თქვენი ასაკი**

☐ 18-მდე ☐ 45-59
☐ 18-24 ☐ 60-69
☐ 25-44 ☐ 70-ზე მეტი

**2. სქესი**

☐ ქალი
☐ მამაკაცი

**3. „ლელოს" გარდა რომელ სპორტულ გაზეთებს/ჟურნალებს კითხულობთ სისტემატურად?**

_______________________

_______________________

**4. ყველაზე მეტად სპორტის რომელი სახეობის შესახებ გაინტერესებთ ინფორმაცია?**

☐ მთლიანად ქართული სპორტი
☐ ქართული ფეხბურთი
☐ მთლიანად უცხოური სპორტი
☐ უცხოური ფეხბურთი
სხვა (დაასახელეთ) __________

_______________________

**5. დაასახელეთ მიზეზები, რის გამოც „ლელოს" კითხულობთ?**

_______________________

_______________________

**6. უპირველესად რას კითხულობთ „ლელოში"?**

☐ საყვარელი ავტორის სტატიას
☐ საყვარელ რუბრიკას
☐ მიყოლებით ყველაფერს
☐ გარეკანზე დაანონსებულ სტატიას
☐ მასალას, რომელმაც დაგაინტერესათ სათაურის, ფოტოს ან სხვა ვიზუალური ეფექტის გამო

**7. რომელი ჟურნალისტის მიერ მომზადებულ მასალას კითხულობთ მეტი ინტერესით?**

*(დაასახელეთ მაქსიმუმ სამი)*

_______________________

_______________________

**8. რომელია თქვენთვის ყველაზე საინტერესო რუბრიკა?**

_______________________

_______________________

**9. რომელია თქვენთვის ნაკლებად საინტერესო რუბრიკა?**

_______________________

**10. ქართული სპორტის რომელი სახეობის შესახებ მომზადებულ სტატიებს კითხულობთ უფრო ხშირად?**

_______________________

**11. უცხოური სპორტის რომელი სახეობის შესახებ მომზადებულ სტატიებს კითხულობთ ხშირად?**

_______________________

**12. სტილისტური თვალსაზრისით როგორ შეაფასებთ გაზეთს?**

☐ ძალიან მაღალი დონისაა
☐ კარგია
☐ საშუალოა
☐ ცუდია
☐ მიჭირს პასუხის გაცემა

**13. როგორ შეაფასებთ „ლელოს" დიზაინისა და არქიტექტონიკის მიხედვით?**

☐ ძალიან მომწონს
☐ მეტ-ნაკლებად მომწონს
☐ არ მომწონს
☐ მიჭირს პასუხის გაცემა

**14. მოგწონთ თუ არა გაზეთის ლოგო?**

☐ მომწონს
☐ უკეთესიც შესაძლებელია
☐ არ მომწონს
☐ მიჭირს პასუხის გაცემა

**15. საერთო ჯამში როგორ შეაფასებდით „ლელოს"?**

☐ ძალიან მაღალი დონისაა
☐ მაღალი დონისაა
☐ საშუალო დონისაა
☐ დაბალი დონისაა
☐ მიჭირს პასუხის გაცემა

**16. რამდენად ხშირად ეცნობით „ლელოს"?**

☐ ყოველ ნომერს
☐ კვირაში 2-3 ნომერს
☐ კვირაში ერთ ნომერს
☐ თვეში 2-3 ნომერს
☐ უფრო იშვიათად

**17. გაქვთ თუ არა გამორჩეული კვირის რომელიმე დღეს „ლელოს" საკითხავად და რატომ?**

_______________________

_______________________

**18. რამდენი ხანია, რაც „ლელოს" კითხულობთ?**

☐ 1-2 წელია
☐ 3-5 წელია
☐ 6-9 წელია
☐ 10-19 წელია
☐ 20 წელზე მეტია
☐ მიჭირს პასუხის გაცემა

**19. რა უფრო მოსახერხებელია თქვენთვის — „ლელოს" შეძენა თუ გამოწერის სამსახურით სარგებლობა?**

☐ შეძენა
☐ გამოწერა

**20. რა თემებზე გსურთ, რომ გაზეთში იყოს მეტი სტატიები?**

_______________________

_______________________

**21. რა ახალ რუბრიკას/პროექტს შესთავაზებდით „ლელოს"?**

_______________________

_______________________

_______________________

**22. რას ურჩევდით „ლელოს"?**

_______________________

_______________________

_______________________

**23. მიუთითეთ ქალაქი (რაიონი), სადაც ცხოვრობთ**

_______________________

დიდი მადლობა

თანამშრომლობისთვის

**გთხოვთ, შევსებული ანკეტა გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთების საშუალებით** (საფოსტო ყუთების განთავსებულია: თბილისში მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში. მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი).
ან დარეკეთ და თქვენი პასუხები ჩააწერინეთ ოპერატორს ნომერზე (995 32) **37 75 33** (ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით 11-დან 18 საათამდე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

● საქართველოს ჩემპიონატი




# სოხუმი ინყებს და იგებს

სუპერლიგის წარმომადგენელი „სოხუმი" 4 იანვრიდან თურქეთის საკურორტო ქალაქ ანტალიაშია შეკრებაზე. თურქეთში ჩასვლიდან მესამე დღეს სოხუმელებმა პირველი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს. მატჩის შესახებ სრული ინფორმაცია მოგვაწოდა გუნდის პრესატაშე **თენგიზ პაჭკორიამ**:

*„6 იანვარს ქემალ ათათურქის სახელობის საკალათბურთო სასახლეში ადგილობრივ კლუბ "მურატფაშას" დავუპირისპირდით და ანგარიშით 103:74 მოვიგეთ. ჩვენი მეტოქე თურქეთის ჩემპიონატის მესამე ლიგის ლიდერია და მეორე ეშელონში გადასვლისთვის იბრძვის. შეხვედრაში ყველაზე შედეგიანი იყო ლაშა ფარღალავა - 27 ქულა, ირაკლი სორდიამ 19 ქულა ჩააგდო, იუჯინ ჰარისმა - 18, რიჩარდ დამუსმა - 14, ლუკა შანიძემ - 11, თემურ კანკიამ - 7. ჩვენს გუნდში შედგა ზვიად ანთაძის დებიუტი, რომელიც პირველ წრეში სტუ-ს ღირსებას იცავდა."*

*"სოხუმი" ანტალიაში 15 იანვრამდე მოემზადება და 2 შეხვედრას ჩაატარებს. ჯერ მეორე ლიგის წარმომადგენელ "კეპერბეისპორთან" ითამაშებს, შემდეგ უმაღლესი ლიგის კლუბ "ბიიუქ ზეჰირთან".*

ვაჟა სიმონიშვილი

● ლეგიონერები

# წამგებიანი 75

6 იანვარს იტალიის ჩემპიონატში **ვიქტორ სანიკიძისა** და **მანუჩარ მარკოიშვილის** კლუბებმა 75-75 ქულა ჩააგდეს, რაც გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. „ვირტუსმა" სტუმრად „ბიელასთან" 75:80 დათმო, ხოლო „კანტუ" ასევე გასვლით შეხვედრაში „პესაროსთან" დამარცხდა - 75:76.

მანუჩარ მარკოიშვილს ტრავმის გამო არ უთამაშია. ვიქტორ სანიკიძე „ბიელასთან" შეხვედრაში სათადარიგო იყო, 18 წუთში 5 ქულა და 3 მოხსნა გაიფორმა. 5-დან 3 ქულა მან ბოლო პერიოდში ჩააგდო.

ვაჟა სიმონიშვილი



ვიქტორ სანიკიძე

# სასტარტოში

**გიორგი შერმადინის** „ოლიმპია" ადრიატიკის თასზე **ვლადიმერ ბოისას** ყოფილ კლუბ „ზადარს" (ხორვატია) დაუხვდა. ეს ხორვატიული გუნდი ბოლო სეზონში საგრძნობლად დასუსტდა. შედეგიც შესაბამისია - „ოლიმპიამ" 78:53 დაამარცხა.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო, 19 წუთში 8 ქულა, 4 მოხსნა და თითო პასი-ჩაჭრა-დაფარება ჩაიწერა. მან 5-დან 2 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა.

10 მოგებით (5 წაგება) „ოლიმპია" ადრიატიკის თასზე ცხრილის სათავეშია. ოლიმპიელები პირველობას თანამემამულე კრკა-სთან იყოფენ.

ვაჟა სიმონიშვილი



გიორგი შერმადინი

● ქართველი NBA-ში

# ტაში ძორებს: იუტაში ატლანტაში

„ატლანტა ჰოქსმა" სიმაღლე აკრიფა. მის შეჩერებას ველარავინ ახერხებს - ჯორჯიელებმა წლეულს ოთხი მატჩი ჩაატარეს და ოთხივე თავის სასარგებლოდ დაასრულეს. მათ შორის სამი გასვლითი შეხვედრა.

**ზაზა ფაჩულიას** გუნდმა დასავლეთის კონფერენციის ერთ-ერთ ლიდერ „იუტასთან" 5 იანვარს სტუმრად ითამაშა. ამ შეხვედრამდე „ჰოქსს" 1986 წლიდან მოყოლებული მინეაპოლისში მხოლოდ 4-ჯერ ჰქონდა მოგებული. თანაც, მაქსიმუმ 9 ქულის სხვაობით. 5 იანვარს კი ჯორჯიელებმა რუსი და უკრაინელი კალათბურთელებით (**კირილენკო** და **ფესენკო**) გაძლიერებულ „იუტა ჯაზს" 23 ქულის სხვაობით 110:87 აჯობეს.

ვისაც ამ მატჩის ხილვის საშუალება ჰქონდა, ნამდვილად ნასიამოვნები დარჩებოდა. როცა გუნდი სამქულიანების 40-45 პროცენტს იყენებს, მასზე აუგის თქმა ძნელია, ხოლო, როცა შორეული ტყორცნების 56-პროცენტიან რეალიზებასთან გვაქვს საქმე, თამამად შეიძლება ითქვას - სამქულიანები უშეცდომოდ ისროლესო. თან, რაც მთავარია, „ატლანტამ" შორი დისტანციიდან ერთხელ და ორჯერ კი არა, 25-ჯერ ისროლა და 14-ჯერ ჩააგდო. **ჯო ჯონსონმა** 7-დან 5 სამიანი გამოიყენა, **ჯამალ კროუფორდმა** - 7-დან 4. მან „იუტას" კალათი იმდენად „დაიმორჩილა", რომ ერთხელ მოედნის ცენტრიდანაც „მოარტყა მიზანში".

მასპინძლებმა „ატლანტას" ვერც ფარქვეშ აჯობეს, მოხსნებში 34:40 ჩამორჩნენ. მართალია, ფაჩულიამ საკმარისად, 16:40 წუთი ითამაშა, მაგრამ მეტოქის კალათის მიმართულებით ერთხელაც არ უსვრია. ამის მიუხედავად ნამატჩევს ქართველ გულშემატკივარს უკმაყოფილების გრძნობა ნამდვილად არ დარჩებოდა, რადგან იმ დღეს, უხეშად რომ ვთქვათ, „ალლუმი უკანახაზელებს მიჰყავდათ" და ფაჩულიაც სიამოვნებით ასრულებდა შავ სამუშაოს.

■ ■ ■

მომდევნო მატჩში ზაზამ საკუთარი სტატისტიკის შევსებაზეც იზრუნა: „ინდიანასთან" 8 მოხსნა და 4 ქულა მოაგროვა. მან პირველ ტურში დამყარებული რეკორდი გაიმეორა - შეტევაში 5-ჯერ მოხსნა.

საინტერესოა, რომ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია სასტარტო ცენტრ **ჯეისონ კოლინზს** (მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა). თუმცა „ატლანტას" თავკაცმა **ლარი დრიუმ** ხუთეულში ფაჩულიას გვარი მაინც არ ჩაწერა, ალბათ დაფიქსებული აქვს, ქართველი სასტარტოში არ დააყენოს (ეს ხუმრობით). კოლინზი ხუთეულში **მო ევანსმა** შეცვალა, შესაბამისად „ატლანტამ" „ინდიანასთან" საშინაო შეხვედრა დაბალი შემადგენლობით დაიწყო. უკანახაზელებმა ამჯერადაც გაამართლეს - 22-დან 11 სამქულიანი გამოიყენეს.

ვერც ფორვარდებსა და მეფარეებზე მოგვიბრუნდება ენა აუგის სათქმელად. მეტსაც გეტყვით, „ჰოქსის" გამარჯვებაში ლომის წილი ტანმაღალმა **ჯოშ სმიტმა** დაიდო - ყველაზე მეტი, 27 ქულა ჩააგდო, ბურთი 10-ჯერ მოხსნა და 6 პასი მიითვალა.

*- ჯოში ფენომენური იყო, ჯონსონმაც კარგად ითამაშა (24 ქულა). საერთოდ, დღეს მთელმა გუნდმა შესანიშნავად იმოძრავა და ბურთიც კარგად დავატრიალეთ, - კმაყოფილი იყო ლარი დრიუ.*

მიუხედავად იმისა, რომ წლეულს „ჰოქსმა" ოთხივე მატჩი მოიგო, აღმოსავლეთის კონფერენციაში სატურნირო მდგომარეობა ვერ გაიუმჯობესა, ისევ მეხუთე ადგილზეა (25 გამარჯვება, 14 მარცხი). ამის მიზეზი ისაა, რომ კონფერენციის სხვა ლიდერებიც აღმავლობით თამაშობენ. მეოთხეადგილოსან „ჩიკაგოს" 24 მოგების წილ 12 წაგება უწერია; მესამეადგილოსან „ორლანდოს" - 25 გამარჯვება, 12 მარცხი; მეორეადგილოსან „მაიამის" 29 მოგება, 9 წაგება...

„ჰოქსი" მომდევნო მატჩს შინ 11 იანვარს ჩაატარებს - „მილუოკის" უმასპინძლებს.

| იუტა-ატლანტა | 87:110 |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 16:40 წუთი, 3 მოხსნა, 1 დაფარება, 3 ფოლი, 2 შეცდომა. | |
| **I პერიოდი** | |
| 04:26 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 11:26 | ფოლი: 1 |
| 10:01 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |
| 04:13 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 03:19 | დაფარება: 1 (უილიამსს დაუფარა) |
| 03:17 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 00:29 | ფოლი: 2 |
| 00:28 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 00:30 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 09:13 | ჯონსონმა ზაზა შეცვალა |
| 02:45 | ზაზამ ჯონსონი შეცვალა |
| 02:45 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| 02:34 | შეცდომა: 1 |
| 01:22 | ფოლი: 3 |
| 01:22 | შეცდომა: 2 |

| ატლანტა-ინდიანა | 108:93 |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 19:08 წუთი, 4 ქულა (1-დან 1 ორქულიანი, 4-დან 2 საჯარიმო), 8 მოხსნა, 1 პასი, 3 ფოლი, 2 შეცდომა. | |
| **I პერიოდი** | |
| 04:00 | ზაზამ ევანსი შეცვალა |
| 02:42 | საჯარიმოები: 2/1 (1ძ, 25:18) |
| 01:56 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| **II პერიოდი** | |
| 11:49 | პასი: 1 (კროუფორდი 2ძ, 31:24) |
| 10:42 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 09:55 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 09:56 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 08:46 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 07:54 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |
| 02:47 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 02:02 | მოხსნა: შეტ-3, დაც-3 |
| 00:54 | ფოლი: 1 |
| 00:35 | საჯარიმოები: 2/1 (2ძ, 53:46) |
| **IV პერიოდი** | |
| 08:33 | შეცდომა: 1 |
| 08:28 | ფოლი: 2 |
| 07:05 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |
| 03:18 | ზაზამ კროუფორდი შეცვალა |
| 02:32 | მოხსნა: შეტ-4, დაც-3 |
| 02:28 | ორქულიანი: 4ძ (106:87) |
| 01:59 | მოხსნა: შეტ-5, დაც-3 |
| 01:50 | ფოლი: 3 |
| 01:28 | შეცდომა: 2 |

ვაჟა სიმონიშვილი



ზაზა ფაჩულია

● ჩოგბურთი


ოქსანა კალაშნიკოვა

# ბოლო რეპეტიცია ავსტრალიამდე

წლის პირველი ტურნირი წარმატებული გამოდგა **ოქსანა კალაშნიკოვასათვის** (192). ჩვენებურმა ერთეულებში ვერა, მაგრამ წყვილთა თანრიგში იყოჩაღა და ქუანჟოუს (ჩინეთი, 50 ათასი $) ტურნირის ფინალში ითამაშა. ჩვენ თხრობა ნახევარფინალზე შევაჩერეთ, სადაც კალაშნიკოვასა და **იულია ბეიგელციმერის** (უკრაინა, 194) დუეტი ჩინურს (**ჩენ ლიანი და ინ-ინ ლუ**) ხვდებოდა. ეს შეხვედრა მათ 7:5, 7:5 მოიგეს. ასე გავიდა განუთესავი წყვილი ტურნირის ფინალში, სადაც მათი მეტოქეები კვლავ მასპინძლები, მაგრამ ამჯერად მე-4 ნომრად განთესილები, **ვან-ტინ ლიუ** (132 წყვილებში) და **შენ-ნან სუნი** იყვნენ. სამწუხაროდ, ფინალი ჩინელებმა 6:3, 6:2 მოიგეს, კალაშნიკოვას ერთი ნაბიჯილა აშორებდა მორიგ ტიტულთან წყვილთა თანრიგში.

ამით **ანა ტატიშვილისა** (რომელმაც ბრისბენის 220-ათასიან ტურნირში იასპარეზა) და ოქსანა კალაშნიკოვას მოთელვა დასრულდა. შემდეგ კვირაში ისინი „დიდი სლემის" წლის პირველ ტურნირზე, ავსტრალიის ღია პირველობაზე ჩაებმებიან. საუკეთესო ქართველი ჩოგბურთელები, რა თქმა უნდა, საკვალიფიკაციო ბადეში ითამაშებენ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

**სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!**

**„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.**

**დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.**

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. პივოტი; 3. გვახარია; 9. "პალერმო"; 10. ტრიკონი; 11. ტაეკვონდო; 12. ჰომერი; 14. ნაიკი; 16. მაია; 19. ციგა; 20. ტრამპლინი; 21. ჯინჯიხაშვილი; 25. ჟორჟოლიანი; 27. კიი; 28. ანდრია.

**შვეულად:** 1. პაპიტაშვილი; 2. "ვულვერჰემპტონი"; 4. ვიქტორ; 5. "ხულიგანა"; 6. რეკორდი; 7. არბიტრი; 8. კორნერი; 13. მდივანი; 15. ჩოჩიშვილი; 17. აიბა; 18. „სამტრედია"; 21. ჯოჯუა; 22. "ანჟი"; 23. ლიანა; 24. პიკი; 26. ობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ჩემპიონთან ბრივს კაკოვინმა მოაგებინა



მარცხნივ - ვასილ კაკოვინი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-16 ტურის შემდეგ პლეი ოფში გასვლის შანსი ერთბაშად ცხრა გუნდს აქვს. მათ შორისაა ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდი, „მონპელიე“, „კლერმონი“, „ტულონი“ და „კასტრი“.

დღესდღეობით, ყველაზე უკეთესი სატურნირო მდგომარეობა **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჩხაიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს“ აქვს. ჩვენებურთა გუნდმა მე-16 ტურში საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონ „პერპინიანს“ უმასპინძლა და ფრეს დასჯერდა 12:12.

თამაში დაძაბული გამოდგა. ორივე გუნდი დაცვაში თითქმის უშეცდომოდ ირჯებოდა. საბოლოოდ „მონპელიეს“ გარემარბმა **მარტინ ბუსტოს მოიანომ** და „პერპინიანის“ ფულბეკმა **ჟერომ პორიკალმა** ოთხ-ოთხი საჯარიმო გაცვალეს.

გორგოძემ და ჟღენტმა სრულად ითამაშეს, შველიძე, ჩხაიძე და ნარიაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

ძალზე საინტერესო გამოდგა ერთ-ერთი აუტსაიდერის, **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივის“ დაპირისპირება საფრანგეთის ჩემპიონ **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონთან“. ბრიველებმა მეტოქის შერკინების დაჩაგვრა შეძლეს და 29:22 მოიგეს.

ალსანიშნავია, რომ მასპინძლები 43-ე წუთისთვის 23:3-ს იგებდნენ. „ვულკანების“ ახალზელანდიელმა თავკაცმა **ვერნ კოტერმა** სამი ცვლილება განახორციელა. მან მოედანი დაატოვებინა პირველხაზელებს **მარიო ლედესმას** და **ლონელ ფორის**, ცხრა ნომერი **კევინ სენიო** კი **მორგან პარამ** შეცვალა. ამ უკანასკნელმა საგრძნობლად გამოაცოცხლა კლერმონელთა თამაში და 67-ე წუთისთვის ანგარიშის ოთხ ქულამდე შემცირება შეძლეს 26:22.

„ბრივს“ მატჩი ვასილ კაკოვინის აქტიურმა თამაშმა მოაგებინა, რომელიც შეხვედრაში 61-ე წუთზე ხინჩაგიშვილის ნაცვლად ჩაერთო. მასთან ერთად შეცვალეს ზირაქაშვილიც. კაკოვინმა რაკში და შერკინებაში თამაშისას მეტოქე სამჯერ აიძულა წესი დაერღვია. ბრიველებმა ამ სამი საჯარიმოდან ორი გამოიყენეს და მრისხანე მეტოქესთან უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს.

„ბრივს“ 26 ქულა დაუგროვდა და ახლა მე-12 ადგილზეა. დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან ასევე „ლა როშელი“ და **ბექა შეყლაშვილის** „აჟენი“. ბოლოადგილოსანი „ბურგუენი“ კი, ფაქტობრივად, უკვე გავარდნილია. ბურგუენელებს, ყველაფერთან ერთად, ფინანსური სიძნელეებიც შეექმნათ და საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგის საშეჯიბრო კომიტეტმა ხუთი ქულა ჩამოაჭრა.

„აჟენს“ 24 ქულა აქვს და ბოლოსწინა ადგილზეა. შეყლაშვილმა და კომპანიამ მე-16 ტურში სტუმრად „ბიარიცთან“ დიდი ანგარიშით წააგო - 22:65. ბასკებმა სტუმრებს ათი ლელო გაუტანეს. აქედან სამ-სამი **ვენსელას ლორენისა** და **ბენუა ოუგუსტის** ანგარიშზეა. ქართული წარმოშობის ცხრა ნომერმა **დიმიტრი იაშვილმა** 6 გარდასახვა და ერთი საჯარიმო მიითვალა.

შეყლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს.

**აქვსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა“ სტუმრად წააგო „ბაიონთან“ - 22:25. ალსანიშნავია, რომ მასპინძლები მე-20 წუთისთვის 12:0-ს იგებდნენ. თუმცა კასტრელებმა შეძლეს ძალების მობილიზება და თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე 22:18-ს იგებდნენ. სამწუხაროდ, ჩვენებურთა გუნდმა სასურველი ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლო. „ბაიონს“ გამარჯვება მაროკოელი მესამეხაზელის, **ბუტატი აბდელატიფის** ლელომ მოუტანა.

ფეიქრიშვილს და გიორგაძეს არ უთამაშიათ.

### საფრანგეთი. I დივიზიონი

XVI ტური: ბრივი-კლერმონი 29:22, მონპელიე-პერპინიანი 12:12, ბიარიცი-აჟენი 65:22, ბაიონი-კასტრი 25:22, ბურგუენი-ლა როშელი 14:44, სტად ფრანსე-ტულუზი 31:3, მეტრო რასინგი-ტულონი 15:12

### სატურნირო მდგომარეობა

1. ტულუზი - 51 ქულა, 2. მონპელიე - 47, 3. მეტრო რასინგი - 45, 4. ბიარიცი - 44, 5. კლერმონი - 44, 6. კასტრი - 41, 7. ბაიონი - 40, 8. ტულონი - 40, 9. სტად ფრანსე - 40, 10. პერპინიანი - 35, 11. ლა როშელი - 26, 12. ბრივი - 26, 13. აჟენი - 24, 14. ბურგუენი - 5.

### XVII ტური

კლერმონი-მეტრო რასინგი, ბიარიცი-პერპინიანი, ბრივი-ბაიონი, ტულონი-ლა როშელი, აჟენი-ბურგუენი, კასტრი-სტად ფრანსე, ტულუზი-მონპელიე.

მეორე დივიზიონში პლეი ოფში გასვლის შანსი ქართველ მორაგბეთა სამივე გუნდს აქვს. **გურამ კავთიძის** „ლიონმა“ სტუმრად მოუგო ერთ-ერთ აუტსაიდერ „ექსს“ - 34:16. კავთიძე განაცხადში არ იყო.

**მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბმა“ შინ მოუგო „ნარბონს“ - 27:8 და საპლეიოფო ხუთეულს მჭიდროდ მიუახლოვდა. მაგრაქველიძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 51-ე წუთიდან ჩაერთო.

### II დივიზიონი

XVI ტური: ოიონაქსი-პო 17:13, კოლომიე-ბორდო 15:19, ექსი-ლიონი 16:34, კარკასონი-ოში 10:16, ტარბი-ნარბონი 27:8, დაქსი-ორიაკი 24:15, სენტ ეტიენი-ალბი 13:16, მონ დე მარსანი-გრენობლი 30:12

### სატურნირო მდგომარეობა

1. ალბი - 57 ქულა, 2. ლიონი - 54, 3. ბორდო - 46, 4. გრენობლი - 45, 5. კარკასონი - 44, 6. ტარბი - 41, 7. ოიონაქსი - 38, 8. მონ დე მარსანი - 37, 9. ორიაკი - 37, 10. ოში - 35, 11. პო - 34, 12. ნარბონი - 33, 13. კოლომიე - 28, 14. ექსი - 26, 15. დაქსი - 21, 16. სენტ ეტიენი - 11.

### XVII ტური

მონ დე მარსანი-კოლომიე, ორიაკი-ბორდო, ლიონი-კარკასონი, ალბი-დაქსი, ოიონაქსი-სენტ ეტიენი, ნარბონი-ექსი, ოში-პო, გრენობლი-ტარბი.



უკანა პლანზე დავით ზირაქაშვილი

10 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში



ედგარ მობსის მემორიალის ფრაგმენტი

## 1886 წელი

უელსის ნაკრებმა პირველად გამოიყენა საერთაშორისო მატჩში ოთხი უკანახაზელით თამაშის ახალი ტაქტიკა. შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან მარცხის გამო ამ ტაქტიკურ ცვლილებას ორი წელიწადი აღარ იყენებდნენ. მოგვიანებით **ფრენკ ჰენკოკმა** და **არტურ გულდმა** შეიმუშავეს მანამდე უცნობი სქემა, ორი მგეზავი, პლუს სამი უკანახაზელი, პლუს ცხრა ფორვარდი.

## 1897 წელი

არტურ გულდმა უელსის ნაკრებში ბოლო შეხვედრა გამართა. ნიუპორტში უელსელებმა „პომებს“ 11:0 მოუგეს. გულდმა ეროვნულ გუნდში 27 კეპი მოიხვეჭა და 18 ლელო გაიტანა. თაყვანისმცემლებს არ ეთმობოდათ თავიანთი კერპი და გადაწყვიტეს ფული შეეგროვებინათ, რათა გულდისთვის ჰონორარი გადაეხადათ. თუმცა ეს მსოფლიო რაგბის მაშინდელი მმართველი ორგანიზაციის IFRB-ის წესებს ეწინააღმდეგებოდა და ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

## 1909 წელი

ავსტრალიის ნაკრებმა ინგლისის ეროვნულ გუნდს 9:3 მოუგო. ეს იყო ამ გუნდებს შორის გამართული პირველი ტესტმატჩი. ინგლისის ნაკრების მესამე ხაზში ლეგენდარულმა **ედგარ მობსმა** ითამაშა. ის პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა და მის მშობლიურ ქალაქში მის პატივსაცემად მემორიალი გაიხსნა. რამდენიმე წლის განმავლობაში კი მობსის ხსოვნის მატჩში „ბარბაროსები“ აღმოსავლეთ მიდლენდის გუნდს ეთამაშებოდნენ.

## 1954 წელი

ირლანდიის ნაკრებმა „ალსტერის“ გმირობა ვერ გაიმეორა და ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდთან „ლენსდაუნ როუდზე“ 3:14 წააგო. „ოლ ბლექსმა“ მასპინძლებს ორი ლელო გაუტანა. ერთი მესამეხაზელ **ბობ სტიუარტის** ანგარიშზეა, მეორე კი უკანახაზელმა **ბილ კლარკმა** მიითვალა.

## 1965 წელი

შოტლანდიის ნაკრებმა საფრანგეთის ნაკრებთან 8:16 წააგო. ეს მატჩი ბოლო გამოდგა შოტლანდიის ნაკრებში **კენ სკოტლენდისთვის,** რომელმაც ეროვნულ გუნდში 27 კეპი მოიხვეჭა. ალსანიშნავია, რომ თამაში „სტად კოლომბეზე“ გაიმართა, სადაც, რვა წლით ადრე, ეროვნულ ნაკრებში სკოტლენდის დებიუტი შედგა.

## 1982 წელი

ავსტრალიელი „ბარბაროსები“ ევროპულ ტურნეში იმყოფებოდნენ. მათი ბოლო მატჩი კარდიფში, უელსის ნაკრებთან დიდთოვლობის გამო არ შედგა. მასპინძლებმა გუნდი ვერტმფრენით ლონდონის აეროპორტში გადაიყვანეს და ავსტრალიაში მიმავალ რეისს ბოლო მომენტში მიუსწრეს.

## 2008 წელი

**შონ ედვარდსი** უელსის ნაკრების მენეჯერად დაინიშნა, მას შემდეგ რაც „ნიუკასლის“ მთავარმა მწვრთნელმა **სტივ ბეიტსმა** თანხმობა განაცხადა ინგლისის A ნაკრების ხელმძღვანელობაზე. ედვარდსს სანაკრებო კარიერის პარალელურად არც კლუბში შეუწყვეტია მუშაობა და ლონდონის „ვოსფსში“ მუშაობდა.

## 2009 წელი

ახალი ზელანდიის ნაკრების ყოფილი ცხრა ნომერი **ჯასტინ მარშალი** კლუბმა დასაჯა. მან უარი განაცხადა „ტულუზთან“ მატჩის ბოლო წუთებზე შეცვლაზე შესულიყო. ის თამაში „მონპელიემ“ 0:34 წააგო.

ინგლისის ნაკრები

# ენდრიუს ვუდვორდი შეცვლის?

ინგლისის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ჯონ სტილმა** სტრუქტურული ცვლილებები წამოიწყო, რასაც, ცხადია, საკადრო ცვლილებებიც მოჰყვა.

სტილი რაგბის კავშირის ახალი სტრუქტურის პროექტზე, რომელიც აღმასკომმა ახლახან დაამტკიცა, ოთხი თვის განმავლობაში მუშაობდა. ამიერიდან ინგლისის რაგბის კავშირში ერთი კომიტეტი იფუნქციონირებს, რომელსაც მუშაობის სხვადასხვა მიმართულება ექნება. ყველა მიმართულებას აღმასრულებელი დირექტორი ეყოლება.

წინასწარი ინფორმაციით, ცვლილება, უწინარესად, ლეგენდარულ ინგლისელ მორაგბეს **რობ ენდრიუს** შეეხება, რომელიც 2006 წლიდან ელიტური რაგბის დირექტორია. ეს თანამდებობა აღარ იარსებებს. ინგლისის ნაკრების თავკაცი **მარტინ ჯონსონი** „პომების“ ახალი დირექტორის ვინაობას რამდენიმე დღეში გააცხადებს.

ამ თანამდებობაზე, სავარაუდოდ, ყველაზე რეალური კანდიდატი სერ **კლაივ ვუდვორდია**, რომელმაც 2003 წელს ინგლისის ნაკრებს მსოფლიო თასი მოაგებინა. ვუდვორდი ამჟამად დიდი ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორია.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი

# დიდ ცირკში ინდოელი დაბრუნდა

ინდოელი პილოტი **ნარაიან კართიკეიანი** ფორმულა 1-ს უბრუნდება - აზიელმა ავტომრბოლმა 2011 წლისთვის კონტრაქტი გააფორმა ესპანურ საჯინიბო HRT-სთან.

2005 წელს კართიკეიანმა სრული სეზონი ჩაატარა „ჯორდანის" შემადგენლობაში. აქ მისი საუკეთესო შედეგი იყო მეოთხე ადგილი ამერიკის გრან-პრიზე, სადაც „მიშლენის" საბურავებთან ატეხილი სკანდალის გამო ტრასაზე მხოლოდ ექვსი მანქანა გავიდა. ამის შემდეგ ინდოელი „უილიამსის" ტესტპილოტი იყო, გამოდიოდა A1GP-ზე, ლე-მანზე, NASCAR-სა და სუპერლიგაში, სადაც ბრენდს-ჰეტჩის რბოლა მოიგო.

*„მოხარული ვარ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ფორმულა 1-ში დაბრუნებით. ყოველთვის ვამბობდი, რომ ისევ მომეცემოდა მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სერიაში გამოსვლის საშუალება. დარწმუნებული ვარ, ჩემი სისწრაფე და მოტივაცია საკმარისი იქნება ფორმულა 1-ში წარმატების მისაღწევად"*, - განაცხადა ინდოელმა.



ნარაიან კართიკეიანი

პარალელურად ცნობილი გახდა, რომ გაისად HRT-ის შემადგენლობაში ვერ ვიხილავთ **ბრუნო სენას**. გუნდის შეფმა **კოლინ კოლესმა** „როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბრაზილიელთან კონტრაქტი არ გაგრძელდება: *„დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ ბრუნო ჩვენს გუნდში არ იქნება. ეს 100 პროცენტით დადასტურებული ინფორმაციაა".*

ბრუნომ შარშანდელ ჩემპიონატში 18 რბოლა ჩაატარა და საუკეთესო შედეგი - მე-14 ადგილი - კორეის გრან-პრიზე აჩვენა.

ექსპერტების შეფასებით, 2010 წლის სეზონში გამოსვლისთვის სენას ბრაზილიელმა სპონსორებმა ჯამში 20 მილიონი დოლარი გადაიხადეს. HRT-ის შედეგების გათვალისწინებით, ისინი აღარ მოინდომებენ 2011 წელს ასეთივე თანხის გაღებას, არადა, ესპანური გუნდისთვის ფინანსური ფაქტორი უმნიშვნელოვანესია.

ასე რომ, ჯერჯერობით უცნობია, ვინ იქნება კართიკეიანის პარტნიორი ახალ სეზონში. კოლინ კოლესმა ყველაზე სავარაუდო კანდიდატებად **კრისტიან კლინი** და **საკონ იამამოტო** დაასახელა. *„ბევრი კანდიდატი გვყავს, - ამბობს კოლესი. - სიურპრიზებიც შესაძლებელია. არ ვჩქარობთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, რადგან დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საუკეთესო ვარიანტი ავირჩიეთ".*

# მენეჯერი კიმის არ უშვებს

ფორმულა 1-ის 2007 წლის ჩემპიონის **კიმი რაიკონენის** მენეჯერი **სტივ რობერტსონი** უარყოფს ბოლო დროს გავრცელებულ ჭორებს, თითქოს მამის გარდაცვალების გამო ფინელი პილოტი კარიერის დასრულებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ შარშან კიმის „სიტროენის" მანქანით დებიუტი ჰქონდა რალის მსოფლიოს ჩემპიონატში.

*„რა თქმა უნდა, კიმი მამის სიკვდილით ძალიან დათრგუნულია, ეს სავსებით ნორმალურია,* - განაცხადა რობერტსონმა ფინური ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში. - *მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ის დარჩება ავტოსპორტში. კიმი - მსოფლიოს ჩემპიონია და მას კარიერის გაგრძელების უამრავი ვარიანტი გააჩნია. თუმცა ამ მომენტისთვის კონკრეტულად არაფრის თქმა არ შემიძლია. ჩვენი გეგმების შესახებ უახლოეს მომავალში გამოვაცხადებთ".*

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დღეებში გაუვიდა ვადა რალის მსოფლიოს ჩემპიონატში განაცხადების შეტანას, მაგრამ ჯერ უცნობია ფიგურირებს თუ არა სიაში რაიკონენის გვარი. ცოტა ხნის წინ კიმის შტურმანი **კაი ლინდსტრიომი** ამბობდა, რომ უფროსი რაიკონენის სიკვდილის შემდეგ ფინელის მოლაპარაკებები „სიტროენთან" შეწყვეტილია.

კალათბურთი

# ხალხი კობის ირჩევს

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ „ყველა ვარსკვლავის მატჩისთვის" გულშემატკივართა გამოკითხვის მორიგი საშუალედო შედეგები გამოაქვეყნა. ისევე როგორც ორი კვირის წინ, ყველაზე მეტი ხმა ამჯერადაც „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერ **კობი ბრაიანტს** აქვს.

ამ მომენტისთვის მაყურებელთა გამოკითხვის სტატისტიკა ასე გამოიყურება:

### აღმოსავლეთი

**ფორვარდები:** ლებრონ ჯეიმსი - 1 194 091, კევინ გარნეტი - 850 687, ამარე სტაუდმაიერი - 826 628, პოლ პირსი - 465 260, კრის ბოში - 334 921.

**მცველები:** დუეინ უეიდი - 1 167 649, რაჟონ რონდო - 929 781, დერეკ როუზი - 917 753, რეი ალენი - 494 489, ჯონ უოლი - 212 238.

**ცენტრები:** დუაიტ ჰოვარდი - 1 205 159, შაკილ ო'ნილი - 506 621, ჟოაკიმ ნოა - 197 407, ენდრიუ ბოგუტი - 159 560, ელ ჰორფორდი - 149 908.

### დასავლეთი

**ფორვარდები:** კევინ დურანტი - 945 944, კარმელო ენტონი - 742 284, პაუ გასოლი - 702 859, ტიმ დანკანი - 551 226, ბლეიკ გრიფინი - 540 701.

**მცველები:** კობი ბრაიანტი - 1 391 597, კრის პოლი - 724 605, მანუ ჯინობილი - 504 123, სტივ ნეში - 397 975, დერონ უილიამსი - 384 515.

**ცენტრები:** იაო მინი - 754 583, ენდრიუ ბინუმი - 493 237, ნენე - 292 829, მარკ გასოლი - 263 000, ბრენდან ჰეივუდი - 245 737.

გასული უქმეები ბრაიანტისთვის სხვა მხრივადაც იყო მნიშვნელოვანი. კობიმ „ნიუ ორლეანთან" მატჩში 25 ქულა მოუტანა თავის გუნდს და NBA-ის ყველა დროის საუკეთესო სნაიპერთა სიაში მეცხრე ადგილზე გადაინაცვლა. კალიფორნიელს ახლა 26 720 ქულა აქვს, რაც 10 ქულით მეტია **ოსკარ რობერტსონის** შედეგზე.




კობი ბრაიანტი

ამბები

## კარმელო ინდიანაში?

მოულოდნელი გაგრძელება აქვს **კარმელო ენტონის** სატრანსფერო ეპოპეას. როგორც იცით, ცოტა ხნის წინ „დენვერის" ლიდერმა ისევ არ მოისურვა თავის ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივება, ასე რომ, კარმელოს ტრეიდის საკითხი თითქმის გადაწყვეტილია.

როგორც ირკვევა, „ნიუ იორკისგან" და „ნიუ ჯერსისგან" ყველაზე დიდი დაინტერესების მიუხედავად, ენტონიმ, შესაძლოა, „ინდიანაში" ამოყოს თავი, რადგან „ნაგეტსის" ხელმძღვანელობას „პეისერსის" ერთი-ერთი ლიდერის **დენი გრეინჯერის** ხელში ჩაგდება სურს.

ამერიკული პრესა წერს, რომ კლუბებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკებები სავარაუდო გაცვლის შესახებ.

## ნეში ნაიკს აღარ ჩაიცვამს

„ფინიქს სანზის" გამთამაშებელმა **სტივ ნეშმა** შეწყვიტა თანამშრომლობა სპორტული ინვენტარის მწარმოებელ ამერიკულ გიგანტთან, კომპანია „ნაიკთან". ამიერიდან კანადელი კალათბურთელი ჩინურ ფირმა Luyou-თან ითანამშრომლებს.

*„სტივ ნეშს აღარ აკავშირებს „ნაიკთან" კონტრაქტი. ჩვენ ნაყოფიერად ვთანამშრომლობდით წლების განმავლობაში და ახლა ერთმანეთს ყველაფერი საუკეთესო ვუსურვეთ"*, - წერია „ნაიკის" ოფისიდან გავრცელებულ განცხადებაში.

## კლივლენდი გიბსონის გარეშე დარჩა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის აუტსაიდერ „კლივლენდ კავალიერზის" მცველი **დანიელ გიბსონი** თავის გუნდს გასვლით ტურნეში ვერ დაეხმარება. კალათბურთელმა „ტორონტო რეპტორზთან" მატჩში მარცხენა ფეხი დაიზიანა და ამის გამო ხუთი თამაშის გამოტოვება მოუწევს.

გიბსონი „კლივლენდის" საუკეთესო ბომბარდირებს შორის მესამე ადგილზეა, მცველებს შორის კი გუნდში ყველაზე შედეგიანი გახლავთ.

## იაო არ ნებდება

„ჰიუსტონ როკეტსის" ცენტრმა **იაო მინმა** წარმატებით გადაიტანა ტრავმირებულ ფეხზე ოპერაცია და მომავალი სეზონისთვის მოედანზე დაბრუნებას გეგმავს. კალათბურთელის გამოჯანმრთელების ზუსტი ვადა ჯერ დადგენილი არ არის.

*„თითქმის დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ იაო არ აპირებს კარიერის დასრულებას. მას არ უნდა ასეთ ნოტზე კალათბურთიდან წასვლა და ამაში ყველა ექიმი ეთანხმება"*, - ამბობს იაოს მენეჯერი.

მიმდინარე სეზონი, რომლისთვისაც იაო მინს 17.7 მილიონი ეკუთვნის, ბოლოა „როკეტსთან" მოქმედი კონტრაქტის მიხედვით.

## კავალერების კეთილი ჟესტი

„კლივლენდ კავალიერზის" ხელმძღვანელობამ სამსახური შესთავაზა უსახლკარო მამაკაცს, რომელიც ერთ დროს რადიოსადგურის დიქტორი იყო.

ინტერნეტით გავრცელდა ვინმე **ტედ უილიამსის** ვიდეორგოლი, რომელშიც ის თავის უკიდურეს გაჭირვებაზე ყვებოდა და სამსახურს ითხოვდა. ამან „კლივლენდის" შეფობაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა და უსახლკარო დიქტორს ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა.

*„უბედნიერესი ადამიანი ვარ. უდიდეს მადლობას ვუხდი გუნდს, რომელმაც შემიფარა,* - განაცხადა უილიამსმა. - *ღმერთმა არ გამწირა და მეორე შანსი მომცა. ეს დაუჯერებელია".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

### 5 იანვარი

**კლივლენდი–ტორონტო 105:120**

38:26, 25:40, 21:24, 21:30

კ: ჯეიმისონი (32), სეშენსი (16+6 პასი), ეიენგა (16), უილიამსი (11+9 პასი).

ტ: ბარნიანი (25+8 მოხსნა), ბარბოზა (22), კალდერონი (20+17 პასი), რაიტი (15+9 მოხსნა+5 პასი), დეროზანი (13), ჯონსონი (12).

**ნიუ ჯერსი–ჩიკაგო 96:94**

29:26, 21:26, 26:23, 33:22

ნ-ჯ: ჰემფრიზი (20+11 მოხსნა), პარისი (18+11 პასი), ლოპესი (14), ვუიაჩიჩი (13), გრემი (11).

ჩ: როუზი (21), დენგი (17+8 მოხსნა), ბუზერი (12+9 მოხსნა+5 პასი).

**ორლანდო–მილუოკი 97:87**

25:17, 24:16, 22:24, 26:30

ო: ჰოვარდი (28+13 მოხსნა), თურქოგლუ (13), რიჩარდსონი (13), ნელსონი (10+9 პასი+7 მოხსნა), რედიკი (10+7 მოხსნა), ბასი (10+6 მოხსნა).

მ: მაგეტი (21+7 მოხსნა), სანდერსი (15+9 მოხსნა), სალმონსი (13), ბოიკინსი (12).

**ფილადელფია–ვაშინგტონი 109:97**

29:26, 21:26, 26:23, 33:22

ფ: ჰოლიდეი (26+9 პასი), უილიამსი (26), ბრენდი (17+6 მოხსნა), იანგი (11), ნოჩიონი (10+10 მოხსნა).

ვ: იანგი (21), უოლი (18+14 პასი), ლუისი (18+10 მოხსნა), ბლეტჩი (17+6 მოხსნა), ჰაინრიხი (13).

**ბოსტონი–სან ანტონიო 105:103**

27:25, 22:26, 28:21, 28:31

ბ: ალენი (31+6 პასი), დევისი (23), პირსი (18+7 მოხსნა), რონდო (12+22 პასი+10 მოხსნა+6 ჩაჭრა).

ს-ა: ჯინობილი (24+8 მოხსნა+5 ჩაჭრა), პარკერი (18+5 პასი), დანკანი (18), ჯეფერსონი (14), ბონერი (10), ნილი (10).

**ნიუ ორლეანი–გ. სტეიტი 103:110**

34:29, 24:18, 24:25, 21:38

ნ-ო: პოლი (24+13 პასი+6 მოხსნა), უესტი (16+9 მოხსნა+5 პასი), ბელინელი (16), არიზა (15+10 მოხსნა), გრინი (11).

გ-ს: ელისი (29), კარი (21), ლი (13), რაიტი (13).

**მინესოტა–შარლოტი 105:108 (ო)**

23:24, 20:33, 30:14, 22:24, 10:13

მ: ლავი (35+15 მოხსნა+5 პასი), ბიზლი (28+12 მოხსნა), ჯონსონი (10).

შ: ტომასი (21+11 მოხსნა), ოგუსტინი (16+8 პასი), დიაო (17+7 პასი), ნახერა (11), მაკგუაიერი (10).

**ჰიუსტონი–პორტლენდი 100:103**

25:31, 22:24, 33:19, 20:29

ჰ: მარტინი (45), ბატიე (13).

პ: ოლდრიჯი (27+13 მოხსნა), მილსი (14), ფერნანდესი (12+5 პასი), მილერი (11), კემბი (10+8 მოხსნა), კანინგემი (10), ბატუმი (10).

**იუტა–ატლანტა 87:110**

17:30, 24:25, 28:31, 18:24

ი: უილიამსი (19+9 პასი), კირილენკო (19+6 მოხსნა), ჯეფერსონი (13+7 მოხსნა).

ა: ჯონსონი (28), კროუფორდი (26+6 მოხსნა), ჰორფორდი (18+8 მოხსნა), ევანსი (13), სმიტი (12+6 მოხსნა).

**კლიპერსი–დენვერი 106:93**

30:23, 21:20, 31:31, 24:19

კ: გორდონი (28), გრიფინი (22+18 მოხსნა+7 პასი), დევისი (16+8 პასი), ჯორდანი (14+20 მოხსნა), გომესი (13).

დ: ენტონი (31+9 მოხსნა), ბილაპსი (25), ნენე (12+9 მოხსნა), აფლალო (10).

**ფინიქსი–ლეიკერსი 95:99**

24:31, 26:18, 23:31, 22:19

ფ: დადლი (21+6 მოხსნა), კარტერი (13), გორტატი (12+9 მოხსნა), ნეში (11+10 პასი), ჰილი (10), ფრაი (10).

ლ: ბრაიანტი (24+7 მოხსნა+5 პასი), ბინუმი (14+7 მოხსნა), ბრაუნი (13), ოდომი (12+10 მოხსნა), არტესტი (11).

### 6 იანვარი

**დალასი–ოკლაჰომა 95:99**

30:23, 25:28, 15:22, 25:26

დ: მერიონი (25), ტერი (19), ჩენდლერი (14+18 მოხსნა), სტივენსონი (14), ბარეა (14), კიდი (0+10 მოხსნა+7 პასი).

ო: დურანტი (28), გრინი (16+9 მოხსნა), უესტბრუკი (15+9 პასი), იბაკა (13+8 მოხსნა).

**საკრამენტო–დენვერი 122:102**

29:27, 40:28, 22:26, 31:21

ს: ევანსი (27+12 პასი), კაზინსი (20+6 მოხსნა), უდრიხი (17), გარსია (14), ლენდრი (14), კასპი (13+6 მოხსნა).

დ: ენტონი (26), ნენე (17+8 მოხსნა), ბილაპსი (16), ჰარინგტონი (15).

### 7 იანვარი

**ინდიანა–სან ანტონიო 87:90**

20:19, 27:29, 28:16, 12:26

ი: ჰენსბრო (23+12 მოხსნა), გრეინჯერი (15), დანლივი (14), კოლისონი (12+6 პასი), ჰიბერტი (10+14 მოხსნა).

ს-ა: ჯინობილი (25), ჰილი (16), დანკანი (15+15 მოხსნა+5 დაფარება), ნილი (11), პარკერი (10).

**ფილადელფია–ჩიკაგო 105:99**

28:30, 26:26, 32:18, 19:25

ფ: მიქსი (24), უილიამსი (20), ჰოლიდეი (19+6 პასი), ბრენდი (11+8 მოხსნა), ნოჩიონი (11).

ჩ: ბუზერი (31+13 მოხსნა), როუზი (27+9 პასი), დენგი (22).

**ვაშინგტონი–ნიუ ჯერსი 97:77**

30:13, 26:24, 15:20, 26:20

ვ: ლუისი (16+13 მოხსნა+6 პასი), იანგი (16+5 პასი), მაკგი (15+7 მოხსნა+6 დაფარება), ბლეტჩი (14+7 მოხსნა), ჰაინრიხი (10).

ნ-ჯ: ფარმარი (14), ლოპესი (14), ფეივორსი (12+6 მოხსნა).

**ბოსტონი–ტორონტო 122:102**

34:22, 33:23, 27:32, 28:25

ბ: პირსი (20), ჰარანგოდი (17+11 მოხსნა), ალენი (17+6 მოხსნა), რობინსონი (15), დევისი (14), შ. ო'ნილი (12+6 მოხსნა).

ტ: დეროზანი (20), კლეიზა (17+6 მოხსნა), ბარნიანი (17), ბარბოზა (15) კალდერონი (11+9 პასი), ჯონსონი (10).

**მინესოტა–პორტლენდი 98:108**

27:37, 16:26, 29:25, 26:20

მ: ლავი (30+19 მოხსნა), ბიზლი (17), უებსტერი (11), რიდნური (10+11 პასი), ტოლივერი (10), ბრიუერი (10)

პ: მეტიუზი (36), ოლდრიჯი (28+10 მოხსნა), მილერი (16+10 პასი), მილსი (10).

**ორლანდო–ჰიუსტონი 110:95**

27:28, 26:22, 39:21, 18:24

ო: ბასი (18+9 მოხსნა), რიჩარდსონი (18), ანდერსონი (16+7 მოხსნა), ჰოვარდი (13+11 მოხსნა), თურქოგლუ (12+6 პასი), ნელსონი (10+8 პასი).

ჰ: მარტინი (27), სკოლა (14), პატერსონი (12), უილიამსი (11), ბადინგერი (10), ბატიე (10).

**მემფისი–იუტა 110:99**

27:23, 22:21, 27:21, 34:34

მ: გეი (28+9 მოხსნა), რენდოლფი (26+11 მოხსნა), მაიო (13), გასოლი (12), კონლი (10).

ი: მილსეპი (20+8 მოხსნა), უილიამსი (19+6 პასი), ჯეფერსონი (16+13 მოხსნა+5 დაფარება), უოტსონი (12).

**მილუოკი–მაიამი 95:101 (ო)**

18:30, 30:25, 24:20, 19:16, 4:10

მილ: დუგლას-რობერტსი (30), სალმონსი (15), ბოიკინსი (14), ბოგუტი (12+27 მოხსნა), მბა ა მუტე (10).

მაი: ჯეიმსი (26+10 მოხსნა+6 ჩაჭრა+5 პასი), ბოში (16+12 მოხსნა), აროიო (15), უეიდი (14+7 მოხსნა+5 პასი).

**გ. სტეიტი–კლივლენდი 116:98**

33:24, 32:25, 23:28, 28:21

გ-ს: ელისი (32+10 პასი), ლი (22+14 მოხსნა+5 პასი), რაიტი (20+6 მოხსნა), კარი (15) რადმანოვიჩი (13).

კ: ჯეიმისონი (21), ჰიქსონი (17+9 მოხსნა), ჰარისი (16+10 მოხსნა), უილიამსი (16+7 პასი), სეშენსი (13+5 პასი).

**ლეიკერსი–ნიუ ორლეანი 101:97**

27:24, 24:22, 29:25, 21:26

ლ: ბრაიანტი (25), გასოლი (21+13 მოხსნა+7 პასი), ოდომი (17+13 მოხსნა), ბინუმი (17), არტესტი (12).

ნ-ო: უესტი (23+12 მოხსნა), არიზა (17+7 მოხსნა+6 პასი), ბელინელი (17), ოკაფორი (13+13 მოხსნა), პოლი (12+10 პასი).

**ფინიქსი–ნიუ იორკი 96:121**

22:30, 23:25, 26:38, 25:28

ფ: კარტერი (19), დრაგიჩი (17), ნეში (14+9 პასი), დადლი (11+6 მოხსნა), ჰილი (10).

ნ-ი: ფელტონი (23+11 პასი+10 მოხსნა), სტაუდმაიერი (23+9 მოხსნა), ჩენდლერი (16+6 მოხსნა), უილიამსი (15+7 მოხსნა), ფილდსი (14+10 მოხსნა), დუგლასი (11).

### 8 იანვარი

**ატლანტა–ინდიანა 108:93**

29:24, 26:26, 29:18, 24:25

ა: სმიტი (27+10 მოხსნა+6 პასი), ჯონსონი (24+6 პასი), კროუფორდი (20), ბიბი (15), ჰორფორდი (14+10 მოხსნა+6 პასი).

ი: გრეინჯერი (16), კოლისონი (13), ჯორჯი (10+6 მოხსნა), ჰენსბრო (10).

**ნიუ ჯერსი–მილუოკი 92:115**

15:28, 30:27, 20:33, 27:27

ნ-ჯ: ჰემფრიზი (22+8 მოხსნა), ფარმარი (20+10 პასი), ფეივორსი (12+6 მოხსნა), ვუიაჩიჩი (11), უზო (11).

მ: დუგლას-რობერტსი (24), ილიასოვა (22+13 მოხსნა), მაგეტი (20+6 მოხსნა), ბოიკინსი (17+6 პასი), სალმონსი (12).

**შარლოტი–ვაშინგტონი 104:89**

26:20, 23:26, 28:25, 27:18

შ: ჯექსონი (21+10 მოხსნა+5 პასი), ოგუსტინი (20+9 პასი), ჰენდერსონი (19+9 მოხსნა), დიაო (11+10 მოხსნა).

ვ: ჰაინრიხი (18+5 პასი), უოლი (16+11 პასი), ტორნტონი (13+7 მოხსნა), ბლეტჩი (10+8 მოხსნა).

**დეტროიტი–ფილადელ. 112:109 (ო)**

30:34, 22:22, 19:18, 28:25, 13:10

დ: პრინსი (23+8 მოხსნა), სტაკი (20+7 მოხსნა), მონრო (16+13 მოხსნა), დეი (15+6 მოხსნა).

ფ: ტერნერი (19+5 პასი), ბრენდი (17+14 მოხსნა), ჰოლიდეი (15+12 პასი), უილიამსი (14+5 პასი), იანგი (12), მიქსი (11), სპეიტსი (10+7 მოხსნა).

**ჩიკაგო–ბოსტონი 90:79**

22:21, 24:21, 21:22, 23:15

ჩ: როუზი (36), ბუზერი (22+10 მოხსნა), ბრიუერი (10+6 მოხსნა).

ბ: პირსი (21), ალენი (19), რონდო (13+8 პასი+5 ჩაჭრა), დევისი (11).

**ოკლაჰომა–მემფისი 109:100**

27:20, 22:27, 34:30, 26:23

ო: დურანტი (40+8 მოხსნა), უესტბრუკი (22+11 პასი), გრინი (15+6 მოხსნა).

მ: რენდოლფი (27+16 მოხსნა), გეი (20), მაიო (11), კონლი (10).

**დალასი–ორლანდო 107:117**

28:19, 29:32, 24:29, 26:37

დ: სტივენსონი (24), მერიონი (18+8 მოხსნა), ტერი (16+9 პასი).

ო: ჰოვარდი (23+13 მოხსნა), რიჩარდსონი (20), ნელსონი (16), არენასი (14), თურქოგლუ (13+17 პასი+5 ჩაჭრა), ანდერსონი (11+6 მოხსნა).

**ჰიუსტონი–იუტა 99:103 (ო)**

27:19, 25:19, 15:26, 22:25, 10:14

ჰ: სკოლა (24+10 მოხსნა), მარტინი (20), ბატიე (10+6 მოხსნა).

ი: მილსეპი (27+10 მოხსნა), ჯეფერსონი (24+13 მოხსნა), მაილზი (16), უილიამსი (14+15 პასი).

# უცხოური სპორტი

## კრივი

# ჰეი კლიჩკოების გეგმებში არ არის



კლიჩკო-ჩისორა ისევ დაინიშნა

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონმა **ვლადიმირ კლიჩკომ** 2011 წლისთვის ორი ბრძოლის ჩატარებაზე მიაღწია შეთანხმებას. WBO-სა და IBF-ის ვერსიით საუკეთესო მოკრივე 30 აპრილს ბრიტანელ **დერეკ ჩისორას** შეხვდება, სექტემბერში კი პოლონელ **ტომაშ ადამეკთან** იჩხუბებს. ჩისორასთან ბრძოლა გერმანიის ქალაქ მანჰაიმში გაიმართება, ადამეკს კი უკრაინელი პოლონეთის ქალაქ ვროცლავში შეხვდება.

ძმები კლიჩკოების ოფიციალურ ვებგვერდზე ოფიციალურად არის დადასტურებული ჩისორასთან ბრძოლაზე კონტრაქტი, რაც შეეხება ადამეკს, პოლონელი მოკრივის წარმომადგენელმა fightnews.com-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ უკრაინულ მხარესთან პრინციპული შეთანხმება მიღწეულია და მოკრივეებს მხოლოდ კონტრაქტზე ხელის მოწერა სჭირდებათ.

შეგახსენებთ, რომ უმცროსი კლიჩკო ჩისორას გასული წლის დეკემბერში უნდა შეხვედროდა, მაგრამ ზურგის ტრავმის გამო ეს შეხვედრა ჩაიშალა.

ნაწილობრივ ცნობილია ვლადიმირის ძმის - **ვიტალი კლიჩკოს** გეგმები. WBC-ის ჩემპიონს მარტში ტიტულის აუცილებელი დაცვა უწევს კუბელ **ოდლანიერ სოლისთან**. გარდა ამისა, კლიჩკოების მენეჯერმა **ბერნდ ბენტემ** განაცხადა, რომ გარკვეული გარემოებების შემთხვევაში, სექტემბერში ადამეკის მეტოქე, შესაძლოა, ვიტალი კლიჩკო გახდეს.

როგორც ხედავთ, ძმების გეგმებში არ ფიგურირებს WBA-ის ჩემპიონი, ბრიტანელი **დევიდ ჰეი**. არადა, ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს უკრაინულ და ბრიტანულ მხარეებს შორის მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობდა. მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა. ვლადიმირ კლიჩკომ ჩისორასთან ხელმეორე ბრძოლის დანიშვნის შემდეგ გამოაცხადა, რომ ჰეის 2 ივლისს შეხვდებოდა, მაგრამ დევიდმა თავის მხრივ განაცხადა, რომ ვლადიმირი ასეთ მოკლე დროში ორი ბრძოლის ჩატარებას ვერ მოასწრებდა. ჰეიმ უკრაინელს ტრადიციულად „მხდალი“ უწოდა და მოლაპარაკებები შეწყვიტა.

ახლა ჰეი **რუსლან ჩაგაევთან** აწარმოებს მოლაპარაკებებს. უზბეკი მოკრივე WBA-ის ტიტულის ოფიციალური პრეტენდენტია. ბრიტანელი ამ ბრძოლის გამართვას აპრილში გეგმავს. როგორც იცით, ჰეიმ შარშან განაცხადა, რომ 2011 წლის ოქტომბერში დაასრულებს კარიერას. მან ეს სიტყვები ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში დაადასტურა.

## ამბები

### ავტოსპორტი

# ახალ მაკლარენს 4 თებერვალს ნახავთ

ბრიტანულმა საჯინიბო „მაკლარენმა“ ახალი მანქანის პრეზენტაციის თარიღი დაადასტურა. MP4-26-ს საზოგადოებას 4 თებერვალს ბერლინში, ზამთრის პირველი ტესტების დასრულების შემდეგ წარუდგენენ.

ვალენსიაში პირველ ტესტებზე გუნდი შარშანდელი მანქანის გაუმჯობესებული ვერსიით იმუშავებს, რათა მაქსიმალური ინფორმაცია შეაგროვოს „პირელის“ საბურავებზე, აგრეთვე შეამოწმოს შასის საიმედოობა.

ვალენსიაში შარშანდელ მანქანებს სხვა გუნდებიც ჩაიყვანენ - „ფორს ინდია“, „ვირჯინი“ და HRT...

# ფეტელი ევროპის სპორტსმენია

2010 წლის სეზონის ტრიუმფატორი, „რედ ბულის“ პილოტი **სებასტიან ფეტელი** მორიგი გამოკითხვის გამარჯვებული გახდა - საერთაშორისო სპორტული პრესის ასოციაციის წევრმა ჟურნალისტებმა გერმანელი გასული წლის სპორტსმენად დაასახელეს.

ფეტელმა 79 ქულა დააგროვა და სულ ერთი ქულით გაუსწრო ფრანგ სპრინტერ **კრისტოფ ლემეტრს**. 74 ქულით მესამეზე გავიდა შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი**.

23 წლის გერმანელი ფორმულა 1-ის მეორე პილოტია, ვინც ასეთ აღიარებას მიაღწია. 1994, 2001, 2002 და 2003 წლებში ასოციაცია საუკეთესოდ **მიხაელ შუმახერს** ასახელებდა.

### ჰოკეი

# ეშმაკების კაპიტანი დალასში წავიდა

„ნიუ ჯერსი დევილზის“ კაპიტანი **ჯეიმი ლანგენბრუნერი** „დალას სტარზში“ გააგრძელებს კარიერას. „ეშმაკებისა“ და „ვარსკვლავების“ ხელმძღვანელობამ მოილაპარაკეს ტრეიდზე, რომლის მიხედვითაც 35 წლის ლანგენბრუნერი „დალასში“ აღმოჩნდება, სანაცვლოდ კი ეს კლუბი 2011 წლის დრაფტის მესამე რაუნდში სასურველი მოთამაშის უფლებას დათმობს.

ლანგენბრუნერი 1993 წელს სწორედ „დალასმა“ აირჩია დრაფტზე 35-ე ნომრად. ფორვარდს 17 წლის განმავლობაში მხოლოდ „სტარზსა“ და „დევილზში“ უთამაშია. რეგულარულ ჩემპიონატში მის ანგარიშზეა 996 მატჩი და 620 ქულა (232 გოლი+388 შედეგიანი პასი).

# კროსბი ერთი კვირა დაისვენებს

ერთკვირიანი პაუზის ალებამ მოუწია „პიტსბურგ პინგვინზის“ კაპიტან **სიდნი კროსბის**. რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა „მონრეალ კანადიენსთან“ მატჩში ტვინის შერყევა მიიღო - კროსბი **ვიქტორ ჰედმანის** მიერ შესრულებული ძალისმიერი ილეთის გამო დაზარალდა.

ახლა კროსბი ერთი კვირა ვერ შეძლებს თამაშს. ასეთი სახის ტრავმა პირველია სიდნის კარიერაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| ტორონტო-საკრამენტო | 118:112 |
| **საბერძნეთი** | |
| მარუსი-ილისიაკოსი | 80:75 |
| პანიონიოსი-ირაკლისი | 94:76 |
| **ესპანეთი** | |
| ალიკანტე-სარაგოსა | 57:58 |
| მანრესა-ვალენსია | 72:82 |
| რეალი-მენორკა | 95:84 |
| ვალიადოლიდი-კახასოლი | 70:68 |
| ხუვენტუდი-ფუენლაბრადა | 100:86 |
| ხირონა-კახა ლაბორალი | 80:83 |
| გრან კანარია-გრანადა | 86:71 |
| **გერმანია** | |
| ულმი-ბამბერგი | 69:81 |
| ჯაიანტსი-ბრემერჰავენი | 67:69 |
| ტელეკომ ბონი-გისენი | 71:53 |
| ჰაგენი-ტიუბინგენი | 99:91 |
| სკაილაინერსი-ოლდენბურგი | 76:71 |
| **იტალია** | |
| სკავოლინი-აველინო | 69:80 |
| ვანოლი-მილანი | 71:78 |
| ბოლონია-რომა | 87:79 |
| კაზერტა-ტერამო | 89:81 |
| კანტუ-ბენეტონი | 75:65 |
| მონტეგრანარო-ვარეზე | 107:77 |
| მონტეპასკი-სასარი | 92:83 |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი-ოლინი | 63:70 |
| ბანვითი-ბორნოვა | 92:74 |
| ალიაგა-ტრაბზონი | 74:88 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **NHL** | |
| კაროლინა-ატლანტა | 4:3 (ო) |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-მეტალურგი (ნ) | 4:3 (ო) |
| ბარისი-მეტალურგი (მ) | 1:3 |
| ავტომობილისტი-სიბირი | 0:4 |
| ტრაქტორი-ნეფტიხიმიკი | 6:5 |
| აკ ბარსი-ამური | 3:2 |
| **ავსტრია** | |
| ზაგრები-ზალცბურგი | 5:2 |
| ვენა-ალბა | 4:2 |
| გრაცი-ვილახი | 1:3 |
| კლაგენფიურტი-აკრონი | 3:2 (ბ) |
| ოლიმპია-ლინცი | 7:0 |
| **ბელარუსი** | |
| იუნოსტი-ნემანი | 3:4 (ბ) |
| ლიეპაიასი-ბრესტი | 5:4 (ბ) |
| გომელი-შინიკი | 2:0 |
| სოკილი-მეტალურგი | 2:1 |
| **გერმანია** | |
| კიოლნი-ჰანოვერი | 2:1 |
| აუგსბურგი-ნიურნბერგი | 4:1 |
| კრეფელდი-შტრაუბინგი | 2:3 (ბ) |
| მიუნხენი-აისბარენი | 4:5 (ბ) |
| ჰამბურგი-ინგოლშტადტი | 3:2 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-მანგლერუდი | 4:0 |
| რუსენბორგი-ლორენსკოგი | 3:0 |
| სტავანგერი-ლილეჰამერი | 3:1 |
| ფრისკ ასკერი-სტორჰამარი | 1:5 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-ჟილინა | 3:2 |
| მარტინი-კოშიცე | 1:2 (ბ) |
| პოპრადი-ნიტრა | 3:2 |
| სკალიცა-ბისტრიცა | 1:3 |
| ტრენჩინი-სლოვანი | 0:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ჟლინი-პლზენი | 2:3 (ო) |
| სპარტა-კარლოვი ვარი | 2:3 (ბ) |
| ტრშინეცი-ვიტკოვიცე | 6:1 |
| ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 4:0 |
| ლიტვინოვი-კლადნო | 3:1 |
| ბოლესლავი-პარდუბიცე | 6:8 |
| სლავია-ბრნო | 4:1 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-ბერნი | 5:1 |
| ლუგანო-ცუგი | 4:1 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ბრისბენი** | |
| სიოდერლინგი-როდიკი | 6:3, 7:5 |
| **ATP. ჩენაი** | |
| მალისე-ვავრინკა | 5:7, 6:4, 1:6 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| მორიტა-ამანმურადოვა | 3:6, 6:1, 7:6 |
| ვინჩი-ოპრანდი | 7:6, 6:3 |
| ერანი-ჩაკვეტაძე | 7:6, 6:3 |
| კერბერი-დატე | 7:5, 7:6 |
| **WTA. სიდნეი** | |
| კლაისტერსი-დულგერუ | 6:1, 6:2 |
| კუზნეცოვა-დოკიჩი | 6:2, 6:2 |

## TV პროგრამა

### 10 იანვარი. ორშაბათი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**23:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ერკულესი-ატლეტიკო (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**05:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-დეტროიტი (LIVE).

**EUROSPORT**

**17:30** სნუკერი. მასტერსი. II დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ფიფას საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოების ცერემონია. ციურიხი. შვეიცარია (LIVE).
**23:15** რალი-რეიდი დაკარი. VIII ეტაპი. არგენტინა (LIVE).

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 5 იანვარი

**რეინჯერსი-კაროლინა 2:1 (ო)**

0:0, 0:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 გილროი-3 (ცუკარელო-2, დუბინსკი-17), 1:1 ე. სტაალი-19 (კორვო-10, გლისონი-8), 2:1 ცუკარელო-1 (დუბინსკი-18, ლუნდკვისტი-1).

**პიტსბურგი-ტამპა ბეი 8:1**

5:0, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 მალკინი-15, 2:0 კონერი-5 (ლავჯოი-4, კუკი-11), 3:0 ტაილერ კენედი-6 (ლეტანგი-28), 4:0 კუნიტცი-11 (კროსბი-34, დუპუი-10), 5:0 კუნიტცი-12 (გოლიგოსკი-13, ლეტანგი-29), 6:0 ლეტესტუ-9 (ტაილერ კენედი-12, გოლიგოსკი-14), 7:0 კუნიტცი-13 (გოლიგოსკი-15, ლეტანგი-30), 7:1 ა. ჰოლი-5 (ტომპსონი-9, ტირელი-6), 8:1 გოლიგოსკი-7 (კონერი-4, ლავჯოი-5).

**ფლორიდა-ატლანტა 2:3**

1:2, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ბერგფორსი-8 (ლედი-20), 1:1 უეისი-13 (ჰიგინსი-8, ფროლიკი-18), 1:2 პევერლი-10 (ანტროპოვი-12, ენსტრიომი-28), 1:3 პევერლი-11 (ლედი-21, ბოგოსიანი-5), 2:3 ჰიგინსი-8 (ვიდერი-6, გარისონი-4).

**ჩიკაგო-დალასი 2:4**

0:2, 2:0, 0:2

**გოლები:** 0:1 მოროუ-17 (ლ. ერიქსონი-27, ნისკანენი-6), 0:2 რიბეირო-7 (ბ. რიჩარდსი-28, მოროუ-10), 1:2 პიზანი-6 (ბიკელი-12, ჰიალმარსონი-3), 2:2 კოპეცკი-7 (პ. კეინი-19, კლიმორი-8), 2:3 რიბეირო-8 (ბ. რიჩარდსი-29, დელეი-12), 2:4 ოტი-9 (ლ. ერიქსონი-28).

**ანაჰაიმი-ნეშვილი 1:4**

0:1, 0:1, 1:2

**გოლები:** 0:1 სმიტსონი-4 (სპალინგი-2), 0:2 ჰორნკვისტი-11 (ს. კოსტიცინი-10, რ. სატერი-15), 1:2 ს. კოივუ-11 (სექსტონი-3, სელიანე-25), 1:3 ს. კოსტიცინი-9 (ჰორნკვისტი-9, გოკი-9), 1:4 შ. უებერი-7.

**ვანკუვერი-კალგარი 3:1**

2:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 კესლერი-20 (რეიმონდი-13, ბაროუზი-12), 2:0 ბიექსა-5 (ტორესი-7, ჰამჰუისი-8), 3:0 დ. სედინი-22 (ბიექსა-9, ბაროუზი-13), 3:1 ტ. ჯეკმენი-6 (ბეკლუნდი-5).

### 6 იანვარი

**ბოსტონი-მინესოტა 1:3**

0:0, 1:1, 0:2

**გოლები:** 0:1 ჰავლატი-9 (ო'სალივანი-5), 1:1 კამპფერი-3 (სეგუინი-8, პ. ბერჟერონი-17), 1:2 კლატერბეკი-12, 1:3 მ. კოივუ-10 (მადენი-6, კლატერბეკი-6).

**ნიუ ჯერსი-ფილადელფია 2:4**

1:0, 1:2, 0:2

**გოლები:** 1:0 ზუბრუსი-5 (ვოლჩენკოვი-2, ელიაში-19), 1:1 ჰარტნელი-11 (ლეინო-18, მ. კარლი-18), 2:1 კლარკსონი-5 (გრინი-10), 2:2 ჰარტნელი-12 (ლეინო-19, ტიმონენი-16), 2:3 ბრიერი-19 (ლეინო-20, მ. კარლი-19), 2:4 ბრიერი- 20.

**ტორონტო-სენტ ლუისი 6:5 (ბ)**

1:2, 3:0, 1:3, 0:0

**გოლები:** 1:0 კ. არმსტრონგი-4 (ვერსტეეგი-16, ბოისი-2), 1:1 სტინი-14 (ბეკსი-21), 1:2 ბეკსი-11 (დ'აგოსტინი-10), 2:2 გრაბოვსკი-15 (მაკარტური-20, კულემინი-12), 3:2 ვერსტეეგი-11 (კ. არმსტრონგი-3, ბოშემენი-6), 4:2 კესელი-15, 5:2 კესელი-16 (კომისარეკი-7, ბოშემენი-7), 5:3 ვინჩესტერი-6 (მაკლემანი-4, ბოიესი-11), 5:4 ბრიუერი-6 (ბოიესი-12, მაკლემანი-5), 5:5 დ'აგოსტინი-9 (სობოტკა-12).

**ბულიტები გაიტანეს:** სტინი (სტ. ლუისი), გრაბოვსკი (ტორონტო), ბოიესი (სტ. ლუისი), ვერსტეეგი (ტორონტო), ბოჟაკი (ტორონტო).

**მონრეალი-პიტსბურგი 2:1 (ბ)**

0:1, 1:0, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ეშემი-5 (ლავჯოი-6, გოლიგოსკი-16), 1:1 პუიოლ-8 (დერჩი-7, დეშარნე-1).

**ბულიტები გაიტანეს:** პუიოლ (მონრეალი).

**კოლორადო-ფინიქსი 0:2**

0:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 პიატი-8 (ფიდლერი-7, სტემპნიაკი-9), 0:2 პიატი- 9 (დოუნი-18).

**ედმონტონი-აილენდერსი 2:1**

2:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ბრული-6 (კოლიანო-8, პენერი-15), 2:0 პენერი-12 (კოლიანო-9), 2:1 კომო-9 (მრემპი-8, ბელეი-5).

**ლოს ანჯელესი-ნეშვილი 2:5**

0:0, 2:3, 0:2

**გოლები:** 1:0 კლიფორდი-3 (მტურმი-2, კოპიტარი-28), 2:0 სტოლი-9 (რ. სმიტი-10, კოპიტარი-29), 2:1 კოლინ უილსონი-10 (რ. სატერი-16, ს. კოსტიცინი-11), 2:2 სვატოსი-1 (კოლინ უილსონი-10, შ. უებერი-15), 2:3 ჰორნკვისტი-12 (კოლინ უილსონი-11, რ. სატერი-17), 2:4 ს. კოსტიცინი-10 (კლეინი-8, ო'ბრაიენი-5), 2:5 ჰორნკვისტი-13 (შ. უებერი-16, ს. კოსტიცინი-12).

**სან ხოსე-ბაფალო 0:3**

0:2, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ადამი-3 (მაკორმიკი-6, რ. ნიდერმაიერი-8), 0:2 პეხტი-6 (ენისი-10), 0:3 ვანეკი-16 (სტეფორდი-8, ლეოპოლდი-13).

### 7 იანვარი

**ატლანტა-ტორონტო 3:9**

1:2, 0:6, 2:1

**გოლები:** 1:0 ენსტრიომი-8 (იგერი-7), 1:1 ვერსტეეგი-12 (კ. არმსტრონგი-4, გუნარსონი-4), 1:2 გრაბოვსკი-16 (კესელი-12, ტ. კაბერლე-24), 1:3 კ. არმსტრონგი-5 (ვერსტეეგი-17, ბოშემენი-8), 1:4 კულემინი-14 (გრაბოვსკი-15, კომისარეკი-8), 1:5 გრაბოვსკი-17 (მაკარტური-21, კულემინი-13), 1:6 კულემინი-15 (ტ. კაბერლე-25), 1:7 მაკარტური-11 (კულემინი-14, ტ. კაბერლე-26), 1:8 მაკარტური-12 (ვერსტეეგი-18, ტ. კაბერლე-27), 1:9 კესელი-17 (ბოშემენი-9, ბოჟაკი-9), 2:9 კორმიე-1, 3:9 ლედი-14 (ლიტლი-13, ბერგფორსი-14).

**ფლორიდა-კაროლინა 3:5**

2:0, 0:2, 1:3

**გოლები:** 1:0 ბუტი-11 (სანტორელი-9, ოლეში-8), 2:0 რისონერი-7 (ვიდემანი-16, ალენი-6), 2:1 სკინერი-12 (ტ. რუუტუ-20, მაკბეინი-12), 2:2 სკინერი-13 (დუაიერი-6, ტ. რუუტუ-21), 2:3 ე. სტაალი-20 (ბოიჩუკი-2), 2:4 კოული-9 (სკინერი-18, ტ. რუუტუ-22), 2:5 კოული-10, 3:5 რისონერი- 8 (ვიდერი-7, დვორაკი-7).

**ჩიკაგო-ოტავა 3:2 (ბ)**

0:0, 1:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ალფრედსონი-13 (ე. კარლსონი-17, გონჩარი-14), 1:1 შარპი-24 (ბ. კემპბელი-12, მარიან ჰოსა-13), 2:1 პ. კეინი-12, 2:2 მ. მიხალეკი-8 (კამპოლი-6, ალფრედსონი-13).

**ბულიტები გაიტანეს:** ტეუვზი (ჩიკაგო), პ. კეინი (ჩიკაგო).

**დალასი-რეინჯერსი 2:3 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 სატერბი-2 (სეგალი-5, ბერჩი-1), 1:1 ფედოტენკო-8, 2:1 რიბეირო-9 (ლ. ერიქსონი-29, ვოივიტკა-5), 2:2 ანისიმოვი-10 (მ. სტაალი-11, ლუნდკვისტი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** ცუკარელო (რეინჯერსი).

**კალგარი-დეტროიტი 4:5 (ბ)**

2:1, 2:2, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 გლენკროსი-8 (სტაიანი-17, ბაბჩუკი-12), 1:1 ჰელმი-4 (ფრანცენი-15), 2:1 იგინლა-17 (გლენკროსი-6, ბოუმისტერი-11), 2:2 რაფალსკი-1 (ჯ. ერიქსონი-8), 3:2 გლენკროსი- 9 (ბაბჩუკი-13, პაგმანი-10), 4:2 ბაბჩუკი-6 (ჯორდანო-18, იგინლა-20), 4:3 ივსი-12 (ჰუდლერი-9, ბერტუცი-20), 4:4 რაფალსკი-2 (ზეტერბერგი-31, ჰელმი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** ბერტუცი (დეტროიტი).

**ანაჰაიმი-კოლამბუსი 6:0**

1:0, 2:0, 3:0

**გოლები:** 1:0 სელიანე-11 (ს. კოივუ-12, ვიშნოვსკი-24), 2:0 სელიანე- 12 (ფაულერი-16, ვიშნოვსკი-25), 3:0 ბელეკსი-2 (ლაპიერი-4, ლიდმანი-15), 4:0 რაიანი-16 (პერი-24, ფაულერი-17), 5:0 რაიანი-17 (ფაულერი-18, ლუპული-4), 6:0 მაკმილანი-3 (ბელეკსი-4, სბისა-2).

**ვანკუვერი-ედმონტონი 6:1**

0:0, 3:1, 3:0

**გოლები:** 1:0 დ. სედინი-23 (ჰ. სედინი-42, ბიექსა-10), 2:0 კესლერი-21 (ალბერტსი-6), 3:0 დ. სედინი-24 (ჰ. სედინი-43, ბაროუზი-14), 3:1 ჰემსკი-9 (ჰოლი-11, შმიდი-4), 4:1 კესლერი-22 (ჰამჰუისი-9, ტორესი-8), 5:1 კესლერი-23 (ერჰოფი-17), 6:1 ედლერი-4 (დ. სედინი-29, ჰ. სედინი-44).

### 8 იანვარი

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 2:1**

2:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ვან რიმსდიკი-10 (ჯ. კარტერი-18), 2:0 ბრიერი-21 (ჟირუ-20, ტიმონენი-17), 2:1 გრინი-3.

**კოლორადო-აილენდერსი 3:4 (ო)**

2:2, 0:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ჰეიდუკი-12 (გალიარდი-6, ფუტი-6), 2:0 კოჩი-1 (ო'ბირნი-5, დუპუი-8), 2:1 კოლიტონი-1 (სიმი-3, ენდრიუ მაკდონალდი-11), 2:2 კომო-10 (ოურჩინა-3, ჰილენი-3), 2:3 კოლიტონი-2 (ბელეი-6, კომო-14), 3:3 ჰეიდუკი-13 (ფლიშმანი-16, შატენკირკი-15), 3:4 ტავარესი-14 (ჰილენი-4, მოულსონი-8).

**მონრეალი-ბოსტონი 3:2 (ო)**

0:0, 0:2, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 პ. ბერჟერონი-9 (ველერი-7, მარჩანდი-9), 0:2 პ. ბერჟერონი-10 (რეკი-17, ხარა-12), 1:2 გომესი-6 (დერჩი-8), 2:2 ჯონტა-15 (ვიშნიევსკი-22, პასიოტერი-4), 3:2 პასიოტერი-3 (სუბანი-10, გილი-3).

**ოტავა-ტამპა ბეი 1:2**

0:0, 1:0, 0:2

**გოლები:** 1:0 სმიტი-3 (ვინჩესტერი-5, შენონი-6), 1:1 ა. ჰოლი- 6 (მური-8), 1:2 სენტ ლუისი-18 (სტემკოსი-26, მელოუნი-21).

**პიტსბურგი-მინესოტა 0:4**

0:2, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 კობესიუ-7 (მ. კოივუ-26, ბრუნეტი-13), 0:2 ჰავლატი-10 (ბუშარი-8, ბროძიაკი-4), 0:3 კლატერბეკი- 13 (ო'სალივანი-6, კულენი-16), 0:4 ბროძიაკი-9 (ჰავლატი-28).

**ვაშინგტონი-ფლორიდა 3:2**

0:1, 1:0, 2:1

**გოლები:** 0:1 სანტორელი-11 (კულიკოვი-8, ბუტი-11), 1:1 ფერი-8 (მ. გრინი-12, მ. პერო-3), 2:1 მ. გრინი-8 (ფერი-9, ოვეჩკინი-29), 3:1 ოვეჩკინი-15 (ნუბლი-9, ბექსტრიომი-27), 3:2 დადონოვი-3 (ბუტი-12, უეისი-13).

**ფინიქსი-ბაფალო 1:2 (ო)**

0:0, 1:1, 0:0: 0:1

**გოლები:** 0:1 ლეოპოლდი-10 (მიერსი-11, ვანეკი-15), 1:1 აპშოლი-12 (ა. ოკუანი-15, ეკმან ლარსონი-7), 1:2 სტეფორდი-14 (ლეოპოლდი-14).

**სან ხოსე-ნეშვილი 1:2**

0:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ლეგვანდი-3, 1:1 კუტური-19 (ქლოუ-25), 1:2 ს. კოსტიცინი-11 (ჰორნკვისტი-10, გოკი-10).

**სენტ ლუისი-რეინჯერსი 1:2**

0:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ვინჩესტერი-7 (ბრიუერი-5, ბოიესი-13), 1:1 სტეპანი-12 (ცუკარელო-3, დუბინსკი-19), 1:2 ეივერი-2 (გაბორიკი-12, დუბინსკი-20).

**ვანკუვერი-დეტროიტი 1:2 (ბ)**

0:0, 1:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 დ. სედინი-25 (კესლერი-17, ჰ. სედინი-45), 1:1 ფრანცენი-18 (ზეტერბერგი-32, რაფალსკი-27).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰუდლერი (დეტროიტი).

**ლოს ანჯელესი-კოლამბუსი 6:4**

3:0, 1:1, 2:3

**გოლები:** 1:0 დ. ბრაუნი-17 (კოპიტარი-30, დაუტი-19), 2:0 მარტინესი-3 (ჯ. ჯონსონი-25, შტურმი-3), 3:0 სტოლი-10 (დაუტი-20, რ. სმიტი-11), 4:0 სტოლი-11 (შტურმი-4, ჯ. ჯონსონი-26), 4:1 კალსერტი-1, 4:2 ნეში-19 (ვორაჩეკი-16, სტრალმანი-10), 4:3 ტოუტინი-3 (ვერმეტი-14, უმბერგერი-15), 5:3 რ. სმიტი-17 (ჯასტინ უილიამსი-19, ჰანძუში-10), 5:4 ნეში-20 (ვორაჩეკი-17), 6:4 ჯასტინ უილიამსი-6 (ჯ. ჯონსონი-27, ჰანძუში-11).

ეროვნული ბიბლიოთეკა


გრეტა არნი

# სეზონი ზღაპრებით დაიწყო

WTA-ის ახალი სეზონი ტრადიციულად ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში გაიხსნა. და ასევე ტრადიციულად, ბევრმა წამყვანმა ჩოგბურთელმა ოფიციალურ ტურნირებს საჩვენებელ მატჩებში გამოსვლა ამჯობინა, ამიტომაც ოკლენდსა და ბრისბენში რეიტინგის საუკეთესო ათეულიდან მხოლოდ ერთი მოთამაშე იყო წარმოდგენილი - ავსტრალიელი **სამანტა სტოსური**.

ოკლენდის ტურნირმა რუსი ჩოგბურთელების შარშანდელი კრიზისი გაგვახსენა. ახალ ზელანდიაში ამ ქვეყნის ვარსკვლავები მრავლად იყვნენ წარმოდგენილი, მაგრამ ღირსეულად გამოსვლა ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო. **დინარა საფინამ** პირველივე წრეში წააგო ბელგიელ **იანინა ვიკმაიერთან**. მეორე წრეში შესაბამისად **შუაი პენგთან** (ჩინეთი) და **სიმონე ჰალეპთან** (რუმინეთი) დამარცხდნენ **სვეტლანა კუზნეცოვა** და **ელენა ვესნინა**. რუსთაგან ყველაზე შორს **მარია შარაპოვა** წავიდა - მან მეოთხედფინალში გააღწია და თითქოს პრობლემა არ უნდა ჰქონოდა 31 წლის ნაკლებად ცნობილ უნგრელ **გრეტა არნთან**. მაგრამ პირიქით მოხდა, პრობლემა უნგრელს არ შექმნია, შარაპოვამ კი 20 გეიმში 30 უნებლიე შეცდომა დაუშვა და შედეგიც შესაბამისი მიიღო - 2:6, 5:7.

არნი კი ამაზე არ გაჩერდა და ნახევარფინალში გერმანელ **იულია გორგესთან** სამიდან სამი ბრეიკ-პოინტის გამოყენებით ორი სეტში მოიგო - 7:6(3), 6:3. ფინალში მისი მეტოქე საფინას მძლეველი ვიკმაიერი გახდა, რომელმაც გადამწყვეტი მატჩის საგზური პენგთან სამსაათიან ბრძოლაში მოიპოვა - 7:6(3), 7:5.

როგორც ჩანს, იანინამ ჩინელთან შეხვედრას დიდი ძალა შეალია და ფინალში ტემპი დაბალი ჰქონდა. ორივე სეტში არნმა 2:2-ზე გააკეთა ბრეიკი და მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე - 6:3, 6:3. ვიკმაიერს მხოლოდ ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და შანსი ვერ გამოიყენა. მსოფლიოს 88-ე ჩოგანმა ოთხი განთესილი დაამარცხა და მოულოდნელად გახდა ჩემპიონი. ეს არნის კარიერაში მეორე ტიტულია (პირველი 2007 წელს ეშტორილში).

შარშან ბრისბენში ბრწყინვალე ფინალი აჩუქეს მაყურებელს **კიმ კლაისტერსმა** და **ჟუსტინ ანენმა**, თუმცა ამჯერად ბელგიელებმა უარი თქვეს თამაშზე და ტურნირის მთავარ ფავორიტად ადგილობრივი სამანტა სტოსური იქცა. თუმცა ის და მეორე ვარსკვლავი - **შაარ პეერი** ადრეული ეტაპიდან გამოეთიშნენ ბრძოლას. საერთოდაც, მეოთხედფინალამდე მხოლოდ ორმა განთესილმა - ფრანგმა **მარიონ ბარტოლიმ** (4) და რუსმა **ანასტასია პავლიუჩენკოვამ** (5) გააღწიეს.

ორივეს ნახევარფინალში მოეცარა ხელი. პავლიუჩენკოვამ ჩეხ **პეტრა კვიტოვასთან** სამსეტიან მარათონს ვერ გაუძლო - 4:6, 6:4, 2:6, ბარტოლიმ კი მოულოდნელად იოლად დათმო ორთაბრძოლა გერმანელ **ანდრეა პეტკოვიჩთან**.

კვიტოვა და პეტკოვიჩი თანაბარი ძალის მეტოქეები არიან - ორივეს თითო ტიტული ჰქონდა მოგებული, რეიტინგის მეოთხე ათეულში იმყოფებიან და პირადი ანგარიშიც თანაბარი ჰქონდათ - 2:2, თანაც ოთხივე შეხვედრა ორ სეტში დასრულდა. ამჯერად კვიტოვა გაცილებით კარგად მომზადებული შეხვდა ფინალს, თავიდანვე მოახვია მეტოქეს საკუთარი თამაში და მეორე სეტის შუაში მცირეხნიან ჩავარდნას ხელი არ შეუშლია მისთვის ახალი სეზონში პირველი ტიტულის მოგებაში - 6:1, 6:3.

**WTA**

**Brisbane International**

ბრისბენი (ავსტრალია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

**ფინალი**

**პეტრა კვიტოვა (ჩეხ)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 6:1, 6:3.

**ASB Classic**

ოკლენდი (ზელანდია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

**ფინალი**

**გრეტა არნი (უნგ)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ, 2) 6:3, 6:3.

# ამერიკამ თასი დაიბრუნა

ავსტრალიის ქალაქ პერტში 23-ედ გათამაშდა ჰოფმანის თასი. ტურნირს გასული საუკუნის 30-40-იანი წლების სახელგანთქმული მოთამაშის (შემდეგ მწვრთნელის) **გარი ჰოფმანის** სახელი ჰქვია. ჩემპიონატი მისი სიკვდილის შემდეგ მეორე ავსტრალიელი ჩოგბურთელის **პოლ მაკნამის** მიერ არის დაარსებული.

„შერეულ წყვილებს შორის ჩემპიონატი" (ასეთია ჰოფმანის თასის მეორე სახელწოდება) არაოფიციალური ტურნირია. მასში გამარჯვება საპატიოა, მაგრამ, რა თქმა უნდა, სერიოზული მოთამაშეები მის მოსაგებად თავს არ იკლავენ. თუმცა ჰოფმანის თასის მნიშვნელობა ოდნავ ამაღლდა მას შემდეგ, რაც ოლიმპიადის პროგრამაში მიქსტი შეიტანეს - პერტის ტურნირი ერთადერთია „დიდი სლემის" ჩემპიონატების გარდა, სადაც ამ თანრიგში თამაშია შესაძლებელი.

A ჯგუფში აშკარა ფავორიტად სერბეთის ნაკრები მიიჩნეოდა, რომლის ღირსებას **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **ანა ივანოვიჩი** იცავდნენ. ისინი 2006 წელსაც თამაშობდნენ აქ და ჯგუფში ჩარჩნენ. 2008 წელს ნოვაკი **ელენა იანკოვიჩთან** ერთად გავიდა ფინალში და იქ ამერიკასთან წააგო.

სერბეთმა ყაზახეთთან იოლი მოგებით დაიწყო - სამ მატჩში ანამ და ნოვაკმა მხოლოდ ერთი სეტი წააგეს. შემდეგ ასევე მარტივად გაუსწორდნენ ავსტრალიას, რამაც თითქმის გაუნაღდა ამ დუეტს ფინალში თამაში - საკმარისი იყო ბელგიასთან ერთი მატჩის მოგება. ჯოკოვიჩმა პროგნოზისამებრ ეს ქულა **რუბენ ბემელმანსთან** მოგებით მოიპოვა. მართალია, ბელგიამ ეს მატჩი 2:1 მოიგო, მაგრამ მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა. თუმცა ბოლო მომენტში, ჯგუფში ყველა მატჩის დასრულების შემდეგ, ივანოვიჩს მუცლის კუნთი დაეჭიმა და ექიმებმა ტურნირიდან გამოსვლა ურჩიეს. სერბეთი ჰოფმანის თასიდან მოიხსნა და ფინალში მისი ადგილი ბელგიამ დაიკავა.

B ჯგუფში პირველი ადგილისთვის ამერიკისა და ბრიტანეთის ბრძოლას წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მოტყუვდნენ. ბრიტანელთა სუსტი წერტილი აღმოჩნდა ქალთა ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეული **ლორა რობსონი**, რომელიც არ იყო მზად უმაღლეს დონეზე სათამაშოდ. მისმა პარტნიორმა **ენდი მიურეიმ** სამივე ერთეულთა მატჩი მოიგო, მაგრამ მარტომ გუნდის ფინალში გაყვანა ვერ შეძლო. ბრიტანელებმა წააგეს მიქსტი იტალიასთან და საფრანგეთთან, ამერიკასთან კი რობსონმა ტრავმის გამო თქვა უარი კორტზე გასვლაზე.

ამერიკამ **ჯონ ისნერისა** და **ბეტანი მატეკის** შემადგენლობით სამივე მატჩი დამაჯერებლად მოიგო, არადა, თავდაპირველად ამ გუნდის რიგებში **სერენა უილიამსს** უნდა ეთამაშა, თუმცა მის გარეშეც ამერიკელები ღირსეულად გამოვიდნენ.

ფინალი - აშშ-ბელგია ქალთა ჩოგბურთის ტრადიციების დაცვით დაიწყო. ანენისა და მატეკის მატჩში ჩოგბურთელებმა საკუთარი მოწოდებები გაცვალეს, რის შემდეგაც ზედიზედ რვა გეიმში ბრეიკი დაფიქსირდა. მოკლედ, პირველი სეტი აბსოლუტურად თანაბარ და არასტაბილურ რბოლაში გაილია. ტაი-ბრეიკზე ამერიკელი 6:4-ს იგებდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. თუმცა ამას ბეტანიზე ფსიქოლოგიურად არ უმოქმედია და მეორე სეტში 3:1 დაწინაურდა. სწორედ ამ დროს იპოვა ანენმა ნამდვილი თამაში. ბელგიელმა სისწრაფეს მოუმატა და 15 წუთში ზედიზედ 5 გეიმი აიღო - 7:6(6), 6:3.

მეორე მატჩის შედეგიც ლოგიკური იყო - ისნერი უფრო მაღალი კლასის ჩოგბურთელია, ვიდრე ბემელმანსი, რომელმაც პერტში მხოლოდ ყაზახი **ანდრეი გოლუბევი** დაამარცხა. ამერიკელმა ორივე სეტის დასაწყისში ბრეიკი გააკეთა, ბელგიელმა კი ვერაფერი მოუხერხა ჯონის მოწოდებებს - 6:3, 6:4.

მამაკაცთა მატჩის გაგრძელება გახდა გადამწყვეტი მიქსტი: ისნერი თავის მოწოდებებზე არავის აძლევდა შანსს, ბემელმანსი კი ხშირად ცდებოდა, თანაც ანენთან შეთამაშებაც სერიოზულად მოიკოჭლებდა. პირველი სეტი ამერიკულმა დუეტმა ერთი ამოსუნთქვით მოიგო - 6:1 22 წუთში. მეორე სეტში ინტრიგა ხუთი წუთით გაჩნდა, როცა ბადესთან ისნერის უხეში შეცდომებით ბელგიამ ბრეიკი გააკეთა. თუმცა ამერიკელებმა სულ მალე დაიბრუნეს დაკარგული მოწოდება და იქვე მეორე ბრეიკით მეორე სეტიც მოიგეს - 6:1, 6:3. აშშ მეექვსედ გახდა ჰოფმანის თასის გამარჯვებული, რაც ტურნირის აბსოლუტური რეკორდია.

**ჰოფმანის თასი**

პერტი (ავსტრალია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 1 000 000 დოლარი

**A ჯგუფი**

1. **სერბეთი** - 2/1 (სეტები: 7-2); 2. **ბელგია** - 2/1 (6-3); 3. **ავსტრალია** - 2-1 (5-4); 4. **ყაზახეთი** - 0/3 (0-9)

**B ჯგუფი**

1. **აშშ** - 3/0 (7-2); 2. **საფრანგეთი** - 2/1 (5-4); 3. **იტალია** - 1/2 (3-6); 4. **ბრიტანეთი** - 0/3 (3-6)

**ფინალი**

ბელგია-აშშ 1:2 (**ჟუსტინ ანენი**-ბეტანი მატეკი 7:6(6), 6:3; რუბენ ბემელმანსი-**ჯონ ისნერი** 3:6, 4:6; ანენი/ბემელმანსი-**მატეკი/ისნერი** 1:6, 3:6.


ამერიკამ თასი მოიგო

## ამბები

### ვოზნიაცკიმ ჩოგანი გამოცვალა

ქალთა მსოფლიოს პირველმა ნომერმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** რუს **მარია შარაპოვას** მიბაძა და ახალი სეზონის წინ ჩოგანი შეცვალა. დანიელი აქამდე მუდმივად ფირმა Babolat-ის ჩოგნით თამაშობდა, მაგრამ ახლა მას Yonex-ის პროდუქცია ამჯობინა. ექსპერტების აზრით, ვოზნიაცკი სწრაფად უნდა შეეჩვიოს ახალ ჩოგანს, რადგან Babolat-ისგან განსხვავებით, Yonex-ის ჩოგნის თავი არა ოვალური, არამედ მართკუთხედის ფორმისაა.

ორი დღის წინ კაროლინმა ახალი ჩოგნით პირველი მატჩი ჩაატარა - ჰონ კონგის საჩვენებელ ტურნირზე მან ჩინელი **ნა ლი** დაამარცხა - 6:4, 6:3, თუმცა მეორე დღეს სასტიკი მარცხი იწვნია რუს **ვერა ზვონარევასგან** - 1:6, 0:6.

### მორესმო დირექტორი გახდა

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ფრანგი **ამელი მორესმო** პარიზის ტურნირის თანადირექტორის თანამდებობაზე დაუბრუნდა WTA-ის ტურს. მორესმო „პრემიერ" კატეგორიის ტურნირს კომპანია IMG-ის წარმომადგენელ **რეჟი ბრიუნესთან** ერთად უხელმძღვანელებს. აღსანიშნავია, რომ „დიდი სლემის" ტურნირების ორგზის ჩემპიონისთვის პარიზის ტურნირი ერთ-ერთი საყვარელია - 14-წლიანი კარიერის განმავლობაში ამელიმ ეს შეჯიბრება მხოლოდ ერთხელ გამოტოვა.

*„ამ კორტზე ჩემი კარიერის საუკეთესო მომენტები განვიცადე. მადლობა ორგანიზატორებს იმისთვის, რომ ახლა ისევ მაქვს შეხება ამ ტურნირთან. იმედია, მოთამაშის გამოცდილება ახალ როლთან შეგუებას გამიადვილებს"*, - განაცხადა მორესმომ.

### კიმი და ჟუსტინი ფედერაციის თასზე ითამაშებენ

2011 წელს ბელგიის ქალთა ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით გამოვა ფედერაციის თასზე. მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგანი - **კიმ კლაისტერსი** და **ჟუსტინ ანენი** მზად არიან 5-6 თებერვალს, ანტვერპენში ამერიკის წინააღმდეგ ითამაშონ. ბელგიელთა შემადგენლობაში აგრეთვე იქნებიან **იანინა ვიკმაიერი** (23-ე ჩოგანი) და **კრისტენ ფლიპკენსი** (78-ე ჩოგანი).

შეგახსენებთ, რომ კლაისტერსისა და ანენის მონდომებით ბელგია 2001 წელს ფედერაციის თასის მფლობელი გახდა, თუმცა შემდეგ ეს ჩოგბურთელები იშვიათად ჩნდებოდნენ ეროვნულ გუნდში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**